ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

№092 (12 467) 19 აპრილი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი





**საოცნებო ფინალი ჰიტცფელდისთვის**

დღეს ბაიერნი-ბორუსიაა

» 8

**ლიპიმ ბარსელონა ახსენა**

მსოფლიო ფეხბურთი

» 7-10

# ივანკოვიჩი 99 პროცენტით

EXCLUSIVE

## მზად ვარ, საქართველოში ჩამოვიდე!

**ბრანკო ივანკოვიჩი: ნაკრების მწვრთნელი იმ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, სადაც მუშაობს. თუ დავინიშნე, თბილისში ვიცხოვრებ!**



ხორვატი მწვრთნელი ბრანკო ივანკოვიჩი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ პოსტზე ტოპ-ფავორიტია. სფფ-ის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი 54 წლის სპეციალისტს უკვე ესაუბრა. ივანკოვიჩი, რომელიც ივო შუშაკისა და პეტარ სეგრტის მეგობარია, მზადაა, საქართველოს ნაკრები გაწვრთნას. ის არ არის ისეთი ცნობილი, როგორიც კლაუს ტოპმიოლერი იყო, მაგრამ თუ მის სამწვრთნელო კარიერას გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ საკმაოდ საინტერესო სპეციალისტია, საინტერესო წარსულით. რაც მთავარია, ტოპმიოლერისგან განსხვავებით, ივანკოვიჩს სანაკრებო გამოცდილება არ აკლია და უმთავრესი მიღწევები სწორედ სანაკრებო ასპარეზზე (ხორვატია, ირანი) აქვს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, ივანკოვიჩი მიიჩნევს, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა აუცილებლად იმ ქვეყანაში უნდა იცხოვროს, სადაც მუშაობს. გეხსომებათ, ტოპმიოლერს ყველაზე მეტად სწორედ იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ საქართველოში არ ცხოვრობდა...

მოკლედ, ბრანკო ივანკოვიჩს გუშინ ზაგრებში შევეხმიანეთ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა...

ინტერვიუ » 4



# ფრე დინამოს სასარგებლოდ

## სამი ძელი, ჩხუბი და ნულები მცხეთაში



მიმოხილვა » 2-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXII ტური

# ვისთვის ზეიმი, ვისთვის დრამა

**ვიტ ჯორჯია-დინამო**

**0:0**

18.04.მცხეთა. არმაზი
1000 მაყურებელი

83 წუთზე რაზმაძემ პენალტი ვერ გამოიყენა (ხარიხა)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე (90. ბერიაშვილი), ბეჟვაია (46. კლიმიაშვილი) - სახოკია (65. ლიპარტია), ლუჭაშვილი

***სათადარიგოები:*** *მიქაბერიძე, ყველაშვილი, კვალინიძე, მაისაშვილი*

**დინამო:** ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია - ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე (90. ნერგაძე), გ. მერებაშვილი, ვაწაძე (75. სპასოევიჩი) - აკირემი

***სათადარიგოები:*** *ლორია, თომაშვილი, დობეში, ფირცხალავა, გველესიანი*

**გაფრთხილება:** გ. კაშია (29), ოდიკაძე (39), ა. კვახაძე (45), კლიმიაშვილი (52), შ. კაშია (63), ოვონო (82), დ. ლომაია (84), გ. მერებაშვილი (89), ა. კვახაძე (90)

**გაძევება:** კვახაძე (90)

**არბიტრი:** ლ. კვარაცხელია

**16** წთ. **ოდიკაძის** დარტყმა საჯარიმოს მისადგომებიდან არაზუსტი გამოდგა.

**20**. **რაზმაძის** მიერ ჯარიმიდან დარტყმული ბურთი "დინამოს" კარის ხარიხას მოხვდა.

**20**. მელქაძე მახვილი კუთხიდან ცდილობდა გოლის გატანას - **ოვონომ** საიმედოდ ითამაშა.

**26**. სახიფათო მომენტი "დინამოს" კართან - რაზმაძე მკერდით ცდილობდა გოლის გატანას.

**37**. **სახოკია** შორიდან აპირებდა კარიდან წინ გამოსული ოვონოსთვის ბურთის თავზე გადავლებას.

**43**. **პავლე დათუნაიშვილის** ფლანგური შეტევა ოვონომ გაანეიტრალა.

**45**. **აკირემის** პასით მერებაშვილი მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

**51**. რაზმაძემ საჯარიმოდან ამჯერად ძელს გაარტყა ბურთი.

**59**. ოდიკაძე მახვილი კუთხიდან ურტყამს - მასპინძლები **ბედიაშვილმა** გადაარჩინა.

**66**. მერებაშვილის შორეული დარტყმა ბედიაშვილმა მოიგერია, დამატებაზე კი ოდიკაძემ რეალური შანსი ვერ გამოიყენა.

**70**. **გურამ კაშიამ** კინაღამ ავტოგოლი მიითვალა.

**83**. მატჩის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო ეპიზოდი - სტუმართა კარში დანიშნული პენალტი რაზმაძემ ვერ გამოიყენა.



ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე "დინამომ" კვლავაც შეინარჩუნა ოთხქულიანი უპირატესობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, დუშან უპრინის გუნდი სეზონს ტრიუმფატორის რანგში დაასრულებს. დუშან უპრინი შემთხვევით არ გვიხსენებია - საქართველოში ჩამოსვლის მერე, გამოცდილი ჩეხი მწვრთნელი ასეთი ემოციური არ გვინახავს. სხვანაირად ვერც იქნებოდა - "დინამომ" გუშინ სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩი ითამაშა. მატჩი, რომლის შედეგსაც ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და საბოლოოდ, ერთობ არამშვიდობიანი საყაიმო ანგარიშით დასრულდა. სხვათა შორის, ეს "დინამოსთვის" პირველი ფრე იყო ამ ჩემპიონატში, მაგრამ ამ ერთ ქულას სეზონის ბოლოსთვის ოქროს ფასი დაედება...

...ორივე გუნდის ქომაგთა სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ტრიბუნებზე, სტუმართა კარის ძელს სამჯერ მოხვედრილი ბურთი, ცხრა გაფრთხილება, ერთი გაძევება, წარბ და თავგატეხილი ორი დაბინტული ფეხბურთელი, გაცუდებული პენალტი და ლამის გუნდი-გუნდზე ორწუთიანი ჩხუბი - აი, ყველაფერი ის, რაც გუშინ მცხეთაში ვნახეთ. ჰო, არბიტრების თემაც არ დაგვავიწყდეს - "დინამოს" ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, ხელმძღვანელთა თუ ქომაგთა აზრით, ლევან კვარაცხელია აშკარად მიკერძოებულად მსაჯობდა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, **ლუკა რაზმაძეს** პენალტი რომ გაეტანა; ყოველ შემთხვევაში, მოედანზეც და ტრიბუნებზეც დამუხტულზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი სიტუაცია იყო. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა და სასიამოვნოზე მეტი გახლდათ ის მომენტი, დინემოელებს წარმატება მეტოქემ მოედანზევე რომ მიულოცა.

...2008 წლის 18 აპრილს ლუკა რაზმაძე, ალბათ, არასდროს დაივიწყებს. "ვიტ ჯორჯიას" ცენტრალურ ნახევარმცველს სულ თავისუფლად შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, მაგრამ გუშინ მისი დღე არ იყო! არა, ამას დანავსვაზე მეტი ერქვა: პირველ ტაიმში ჯარიმიდან ჯერ ხარიხას გაარტყა ბურთი, მეორეში ისევე ჯარიმიდან - ძელს; მატჩის მიწურულს კი პენალტის ნიშნულიდან ისევ ხარიხას მოხვდა ბურთი! რა თქმა უნდა, ყველა გადაწყვეტილებას მსაჯი იღებს და ტრიბუნებიდან ძნელია დაბეჯითებით რაიმე ამტკიცო; მაგრამ, პენალტიც და ორივე ჯარიმაც, ცოტა არ იყოს, საკამათოდ გვეჩვენა. არადა, სწორედ რაზმაძემ გაიტანა ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ერთადერთი გოლი (თანაც, პენალტით), მაგრამ, გუშინ იღბალმა აშკარად ზურგი შეაქცა. მთლიანობაში, უნდა ვთქვათ, რომ საბოლოო შედეგი მაინც ლოგიკურად მიგვაჩნია. ბოლოს და ბოლოს, "დინამოსაც" ორი ზღაპრული მომენტი ჰქონდა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ჯერ **გიორგი მერებაშვილმა** ვერ გამოიყენა მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გასვლა; მეორე ტაიმში კი **დავით ოდიკაძემ** ახლო მანძილიდან **გრიგოლ ბედიაშვილს** ვერ აჯობა.

მერებაშვილი მეორე ტაიმში გააქტიურდა და რამდენიმე მწვავე შეტევაც წამოიწყო. თუმცა საუკეთესო დინამოელთაგან **დავით დილმელაშვილი** იყო - სტუმართა კაპიტანმა ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ დიდი მონდომებით და, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა. ისე, ალბათ, თავიდანვე უნდა გვეთქვა - "დინამოს" ამ მატჩში უდიდესი დანაკლისი ჰქონდა დისკვალიფიცირებული **მიხეილ ხუციშვილის** სახით. გუნდის ერთ-ერთი ლიდერის არყოფნის გამო **დუშან უპრინმა** შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა: ხუციშვილის ადგილი მერაბაშვილმა დაიკავა, მარცხენა ინსაიდის პოზიციაზე **მათე ვაწაძე** ვიხილეთ, ხოლო ცენტრფორვარდად - **ჯორჯ აკირემი**.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ცვლილებები განახორციელა **ნესტორ მუმლაძემაც** - სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდნენ **გიორგი ბერიაშვილი** და **ირაკლი კლიმიაშვილი**. ეს უკანასკნელი მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე და ერთობ აქტიურადაც ჩაერთო თამაშში, ისევე როგორც ახალგაზრდა **ჯაბა ლიპარტია**. დიდი მონდომებით თამაშობდა **ვასილ ლუჭაშვილიც**, რომელმაც ლიპარტიას მსგავსად თავშეხვეულმა დაასრულა თამაში. თუმცა ამ ფეხბურთელების აქტიურობას შედეგი არ მოუტანია და საერთოდაც, "ვეტერინარების" უმთავრესი პრობლემა კვალიფიცირებული ცენტრფორვარდის არყოლაა. აი, თუნდაც ისეთის, **ნიკა გელაშვილი** რომ იყო პირველ წრეში...

ცალკე საუბრის თემაა "დინამოს" გაბონელი მეკარე **დიდიე ოვონო**. ჩემპიონატის უდავოდ, საუკეთესო კიპერი გუშინ უცნაურობებს სჩადიოდა და "დინამოსთვის" საბედნიეროდ, მისმა ზედმეტად თავდაჯერებულობამ საბოლოო შედეგზე არ იმოქმედა...



## მატჩის შემდეგ

დუშან უპრინი ("დინამო"): "ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვქონდა. რომ წაგვეგო, სატურნირო სიტუაციას ვირთულებდით. 35 წელიწადია, მწვრთნელი ვარ და ასეთი არაობიექტური მსაჯობა არ მინახავს. მოედანიც არასახარბიელო მდგომარეობაში იყო და ყველივე ამან ჩემი გუნდის თამაშზე გავლენა იქონია. შედეგი მაინც ლოგიკურად მიმაჩნია - რეალური მომენტები ჩვენც გვქონდა და მასპინძლებსაც".

ნესტორ მუმლაძე ("ვიტ ჯორჯია"): "დაძაბული შეხვედრა იყო და, ვფიქრობ, მოგებაც შეგვეძლო. ჩემი ფეხბურთელების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს - რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. რაც შეეხება მსაჯობას, მიმაჩნია, რომ ნორმალური იყო და პენალტიც სამართლიანად დაინიშნა. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ოთხი ტურია და ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებთ, ანუ ისევ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ".

გია ტუხაშვილი

**XXII ტური**

**დღეს**

| | |
|---|---|
| **16:00** | ამერი-ბათუმი |
| **16:00** | ლოკომოტივი-ბორჯომი Live |
| **16:00** | მგლები-ოლიმპი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 22 | 19 | 1 | 2 | 53-12 | 58 |
| 3. ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 51-12 | 54 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 22 | 17 | 3 | 2 | 40-10 | 54 |
| 4. ამერი | 21 | 12 | 2 | 7 | 37-23 | 38 |
| 5. ოლიმპი | 21 | 11 | 4 | 6 | 19-15 | 37 |
| 6. მესხეთი | 22 | 9 | 5 | 8 | 23-23 | 32 |
| 7. ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 25-26 | 28 |
| 8. მგლები | 21 | 8 | 3 | 10 | 21-22 | 27 |
| 9. სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 23-30 | 26 |
| 10. სპარტაკი | 22 | 4 | 6 | 12 | 8-23 | 18 |
| 11. ლოკომოტივი | 21 | 4 | 5 | 12 | 14-26 | 17 |
| 12. მერანი | 22 | 5 | 1 | 16 | 12-45 | 16 |
| 13. ბათუმი | 21 | 4 | 3 | 14 | 12-37 | 15 |
| 14. დილა | 22 | 1 | 5 | 16 | 8-43 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| **ხუციშვილი (დინამო)** | 14 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| **ვიეირა (ზესტაფონი)** | 11 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| **სპასოევიჩი (დინამო)** | 8 |
| **გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ./ბათუმი)** | 8 |
| **გელაშვილი (ვიტ./ზესტაფონი)** | 8 |
| **ინასარიძე (მესხეთი)** | 8 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი;** მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში;** გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62;** ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XXII ტური

# თავზურთით დაჩაგრული ჭაბუკები

**ზესტაფონი-მერანი**

**6:1**

**18.04. ზესტაფონი. ცენტრალური**
**3.00 მაყურებელი**

1:0 ნ.კვასხვაძე (9. ვიეირას პასით), 2:0 ბ. გოცირიძე (12. ლობჟანიძის პასით), 3:0 ბ. გოცირიძე (13. რ. ონიანის პასით), 4:0 ბ. გოცირიძე (34. ვიეირას პასით), 5:0 კესანი (51. ნ. კვასხვაძის პასით), 6:0 ვიეირა (54. ნ. კვასხვაძის პასით), 6:1 ტიელიძე (81)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე – ს. თოდუა, ლობჟანიძე, საჯაია, აკუასაგა (53. ხიდეშელი) – რ. ონიანი, ვიეირა (56. გელაშვილი), კესანი, ნ.კვასხვაძე – ბიტოო (46. საცერაძე), ბ. გოცირიძე

*სათადარიგოები:* ჭანტურია, შ. ლონლაძე, იონანიძე, დაუშვილი

მერანი: დგებუაძე – ქავთარაძე, არაყიშვილი, კიკალიშვილი, პატარქალიშვილი – ფირანიშვილი, ნაკაშიძე (56. კობახიძე), მახვილაძე (79. მახარაშვილი), ტიელიძე – ცქვიტინიძე, ქობალია (66. სალირაშვილი)

*სათადარიგოები:* ბლაგიძე, ჯაჯანიძე, ჯანგულაშვილი, ოქიტაშვილი

გაფრთხილება: ქავთარაძე (16)

მსაჯი: ოთარ ხეცაძე

**7**. ზესტაფონელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, **კვასხვაძემ გოცირიძის** მისამართით ფლანგური გადაცემა გააკეთა, ამ უკანასკნელის სახიფათო თავური მცირედით ასცდა მიზანს.

**8**. აკუასაგას პასის შემდეგ **ბიტოოს** უნდა გაეტანა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ხარიხას გადააცილა.

**9**. 1:0 **ვიეირამ** მარცხენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში შეჭრილ **კვასხვაძეს** გამოზომილი პასით ბურთი თავზე დაასვა....

**12**. 2:0 **ლობჟანიძის** პასის შემდეგ, **გოცირიძემ** თავით დალაშქრა **დგებუაძის** კარი.

**13**. 3:0 ზესტაფონელებმა კვლავ სწრაფი შეტევა განახორციელეს, **ონიანმა** მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, მისი ჩაწოდების შემდეგ კი გოცირიძემ ისევ ლამაზი თავური დარტყმით გაიტანა.

**26**. აკუასაგას წამოწყებული შეტევა გოცირიძემ გააგრძელა, მან მცველი ჩამოიცილა და კარში დაარტყა, მაგრამ ბურთს მეკარე გადაელობა.

**34**. 4:0 ვიეირამ მარჯვენა ფრთიდან მოაწოდა კუთხური, მერანელთა საჯარიმოში არსებული არეულობით გოცირიძემ კარგად ისარგებლა და ბურთი ორიოდე მეტრიდან გადაგზავნა კარში.

**38**. **ბიტოოსთან** გათამაშებული ორსვლიანი კომბინაციის შემდეგ, ვიეირამ საჯარიმოში კარგად გახსნილი გოცირიძე მონახა, ამ უკანასკნელის დარტყმა კი მეკარემ მოიგერია.

**42**. ბიტოოს პასის შემდეგ გოცირიძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ დგებუაძეს ვერ აჯობა.

**47**. ონიანის პასის შემდეგ, გოცირიძემ ძლიერად დაარტყა და ოდნავ ააცილა.

**51**. 5:0 **კვასხვაძის** კუთხურს **კესანიმ** მორიგი თავური გოლი გაიტანა.

**54**. 6:0 კვასხვაძემ ამჯერად მცველებისგან უყურადღებოდ მიტოვებულ ვიეირას ჩაუწოდა და ბრაზილიელმაც თავით დალაშქრა სტუმართა კარი.

**67**. გოცირიძემ ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

**69**. მერანელებმა პირველად დაარტყეს კარში, თუმცა **მახვილაძემ** კვასხვაძეს ვერ გაუტანა.

**72**. **საჯაიას** ძლიერი დარტმა მცირედით აცდა მიზანს.

**80**. საცერაძის სახიფათო დარტმა მეკარემ მოიგერია.

**81**. 1:6 მერანის იშვიათი კონტრშეტევისას **ტიელიძემ** იყოჩაღა და თოდუასთან ორთაბრძოლისას კვასხვაძეს ახლო დაბალ კუთხეში გაუტანა.

**83**. **გელაშვილმა** მცველებთან ჭიდილში შემობრუნებით დაარტყა, თუმცა მეკარემ შეძლო ბურთის მოგერიება, დამატებაზე ისევ გელაშვილმა იყოჩაღა, მაგრამ ბურთს ისევ დგებუეძე გადაელობა.



„ზესტაფონსა“ და „მერანს“ გუშინდელ შეხვედრაში განსხვავებული ამოცანები ჰქონდათ გადასაჭრელი. მასპინძლებს ჯერ კიდევ აქვთ ჩემპიონობის შანსი და ამ მიზნისთვის ბრძოლა რომ განაგრძონ, დარჩენილ შეხვედრებში ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ. თბილისელები კი გასავარდნ ზონაში იმყოფებიან და მათთვისაც თითოეულ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. კლასში აშკარა სხვაობის მიუხედავად, ამ გუნდებს შორის საინტერესო შეხვედრა იყო მოსალოდნელი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შარშანდელ ჩემპიონატში „მერანმა“ „ზესტაფონს“ თავისივე მოედანზე სენსაციური ფრე გაუგორა და დასანანი ორი ქულა დააკარგვინა...

თუმცა გუშინდელ შეხვედრაში „მერანი“ სენსაციის ავტორად რომ ვერ მოგვევლინებოდა, შემადგენლობის გაცნობისთანავე ცხადი გახდა. ისედაც არასახარბიელო სათამაშო ფორმაში მყოფი თბილისელები ზესტაფონს მთლიანად ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებით ეწვივენ. როცა ამის მიზეზი „მერანის“ მწვრთნელს **დავით ეჯიბიშვილს** ვკითხეთ, გვიპასუხა, რომ გუნდში გარკვეული პრობლემებია, თუმცა ეს „მერანის“ შიდა სამზარეულოა და მას სააშკარაოზე ვერ გამოვიტანო.

როცა „ზესტაფონი“ ფორმის პიკშია, მასთან თამაში გაცილებით ძლიერ გუნდებს უჭირთ და გაახალგაზრდავებული „მერანი“ რომ წასაგებად იყო განწირული, პირველი წუთებიდანვე გამოჩნდა. მასპინძლებმა მერანელებს მაღალი ტემპი შესთავაზეს, რასაც სტუმრებმა ვერ გაუძლეს და ამის გამო შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდათ. ფეროელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს, განსაკუთრებით კი მეორე სართულზე თამაშში. ზესტაფონელთა ექვსი გოლიდან ხუთი თავური დარტყმით გავიდა. მასპინძლებმა „მერანს“ პირველ ტაიმშივე მოუთავეს საქმე. ჯერ ხუთწუთიან მონაკვეთში **კვასხვაძემ** და **გოცირიძემ** სამი გოლი შეაგდეს, ტაიმის მიწურულს კი გოცირიძემ ჰეთ თრიკიც გაიფორმა.

მეორე ტაიმი პირველის ანალოგიურად დაიწყო, მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და შემდეგაც კარის აღების არაერთი შანსი ჰქონდათ, განსაკუთრებით შეცვლაზე შემოსული **ნიკა გელაშვილი** აქტიურობდა, თუმცა მას რამდენჯერმე მეკარემ აუღო. მატჩის მიწურულს შეტევაში გართულ ზესტაფონელებს "მერანის" კონტრშეტევა გამოეპარათ და **ტიელიძემ** პრესტიჟის გოლი გაიტანა.

ამ გამარჯვებით „ზესტაფონმა“ მინიმუმ მესამე საპრიზო ადგილზე გასვლა გაინაღდა, თუმცა იმერლებს უკეთესი შედეგის მიღწევაც შეუძლიათ.

## მატჩის შემდეგ

დავით ეჯიბიშვილი: *„ზესტაფონის“ წინააღმდეგ ჭაბუკთა ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელები გამოვიყვანეთ. კლასში აშკარა სხვაობა იყო და უშანსოდ დავმარცხდით. მძიმე დღეში ვართ, მაგრამ დარჩენილ შეხვედრებში ყოველნაირად ვეცდებით, რომ ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ.“*

თემურ მახარაძე: *„მოწინააღმდეგემ ახალგაზდა ფეხბურთელები დაგვიპირისპირა, რაც შეეძლოთ იბრძოლეს, მაგრამ ამ ჭაბუკებს მეტი არ მოეთხოვებათ.“*

რჩეული - **ბექა გოცირიძე**: ზესტაფონელთა ფორვარდი ვერცხლისწყალივით მოძრაობდა და მცველებს სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ჰეთთრიქი კი შეასრულა, მაგრამ ერთი ამდენის გატანა კიდევ შეეძლო.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

# მე კი გავალ პატივცემულო, მაგრამ...

**დილა-სიონი**

**0:1**

**18.04. გორი. ბურჯანაძე**
**100 მაყურებელი**

0:1 შ. ჯიქია (80. ქურასბედიანის პასით)

დილა: ცერცვაძე - რატიანი, გვეტაძე, ბერიანიძე, ბალაშვილი - ბალიაშვილი, ლაცაბიძე (51. შატაკიშვილი), სადალაშვილი (86. ნინამძღვრიშვილი), ტლაშაძე, სულთანიშვილი - მიქაძე (81. იჩქითი)

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, გაგნიძე, ვარდოსანიძე

სიონი: იაშვილი - სვანიძე, ბოიომო, კობაური, ქურასბედიანი – გ. ოქროპირიძე, ბაჯელიძე (84. ზ. ჭელიძე), სანიკიძე, შავგულიძე – შ. ჯიქია (82. ავალიანი), ჩასემი

*სათადარიგოები:* ბობლიაშვილი, ვაშაკიძე, კეტაშვილი, ბ. ნოზაძე, ნაკანი

გაფრთხილება: ლაცაბიძე (15), კობაური (40), ბალაშვილი (43), ბაჯელიძე (66)

გაძევება: ბერიანიძე (63)

არბიტრი: მ. ურუშაძე

**7**. შოთა **ჯიქია** ურტყამს გორელთა საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად, თუმცა **ცერცვაძე** კარის ძელთან იგერიებს ბურთს.

**26**. **საბა სულთანიშვილის** ფლანგური პასს ზუსტად ეუფლება სახეირო პოზიციაზე მყოფი **გიორგი მიქაძე**, შემოტრიალებას და დარტყმასაც ახერხებს, მაგრამ **იაშვილი** არ აძლევს მას გატანის საშუალებას.

**34**. **ჩასემის** მიერ დარტყმულს **რატიანი** ჩაუწვა.

**38**. **ზაზა ლაცაბიძის** მიერ 30 მეტრიდან ძლიერად დარტყმულის მოგერიებას კარის ძელთან ახერხებს „სიონის“ გოლკიპერი.

**41**. იაშვილი ვერ შესწვდა **დავით ტლაშაძის** მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტმას, მაგრამ ძელმა მაინც იხსნა მისი გუნდი.

**54**. სტუმართა შეტევას არეულობა მოჰყვა გორელთა კართან, რა დროსაც **ოქროპირიძემ** მოახერხა ბურთის თავით კარისკენ გადაგზავნა, თუმცა ხარიხამ ახლა უკვე „დილა“ გადაარჩინა.

**78**. სულთანიშვილს მოზომილი პასით მეკარესთან პირისპირ გაჰყავს **მიქაძე**, რომელიც ცუდად ურტყამს და ბურთი იაშვილის ლუკმა ხდება.

**80**. 0:1. ფლანგზე გაჭრილი **ქურასბედიანი** საჯარიმოში აწვდის ბურთს, მასზე გამოხმაურებული ჯიქია კი ფეხით კარში აგზავნის მას.

სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, მატჩი სანახაობას არ გვპირდებოდა და არც ყოფილა. გამარჯვებისთვის ბრძოლას კი უფრო მეტად „დილასგან“ ველოდით და გორელებმა ის თამაში მართლაც ითამაშეს, რაც შეეძლოთ. ცალკე საკითხავია, რა შესაძლებლობების გუნდია ამჟამინდელი „დილა“, რომელსაც „ლოკომოტივთან“ მომხდარი ინციდენტის მერე, ლამის ნახევარი გუნდი დისკვალიფიცირებული ჰყავდა. ისედაც განახევრებულ გორელთა კრებულს კი ამ მატჩში არბიტრმა **ურუშაძემ ჯაბა ბერიანიძეც** მიუმატა, რომელსაც გინება არ აპატია. ცოტა კი გაიბრძოლა „დილას“ ცენტრალურმა მცველმა, არ შემიგინებიაო, მაგრამ რომ შეატყო, ვერაფერს შეცვლიდა ერთი ქართული ფილმის პერსონაჟივით დატოვა მოედანი, კლასიდან გაძევებული რომ ჩაილაპარაკებს: *„მე კი გავალ, პატივცემულო, მაგრამ აქ ვინლა დარჩება?“*

ისედაც წყალწაღებული "დილა" მართლაც თანდათან იცლება როგორც ფეხბურთელებისაგან, ისე სამომავლო იმედისგან...

თუმცა ბერიანიძის გაძევების მერე, წარმატების უმცირესი იმედი მაინც დარჩენოდათ გორელებს, რომელიც კაცნაკლულ გუნდს მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე **შოთა ჯიქიამ** ზუსტი დაბალი დარტმულით საბოლოოდ მოუკლა.

არადა, ადვილი შესაძლებელი იყო, გორელებს პირველ ტურში მოგებული მატჩის მერე ამ სეზონში მეორედ ეზეიმათ გამარჯვება, რომ არა მათს უამრავ პრობლემათაგან უმთავრესი, ალბად უკვე აქილევსის ქუსლად ქცეული — საგოლე მომენტის გოლად ვერგარდასახვის პრობლემის.

გატანა შეეძლო „სიონსაც“. ბოლნისელებს ეს განსაკუთრებით პირველი და მეორე ტაიმების საწყის წუთებში მართებდათ, როცა ტერიტორიული უპირატესობით სჯობდნენ კიდეც მასპინძლებს.

მერე დგებოდა პერიოდი, როდესაც შემორჩენილ ენერგიას და ჟინს დილელები სრულად გასცემდნენ, მაგრამ სანაცვლოდ ილებდნენ მხოლოდ ტერიტორიულ უპირატესობას და გაცუდებულ მეტ-ნაკლებად სახეირო მომენტებს.

გორელები ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ცუდ მდგომარეობაში არიან. ნერვების მოთოკვა ხშირად უჭირთ ფეხბურთელებს მოედანზე, მაგრამ ახლა რაღა გაეწყობა. უნდა შეეგუონ აზრს, რომ ყველაფერი ისევ ცუდად არის.

ასე თუ ისე, ფაქტობრივად დასრულდა შიდა ქართლის ერთ დროს საკმაოდ სიმპათიური და მებრძოლი გუნდის მორიგი კრიზისული სეზონი და დროებით კიდევ ერთხელ დასრულდა უკანასკნელ წლებში გამუდმებული საუბარი გუნდის გადარჩენაზე, უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე და ა. შ.

სამაგიეროდ, იოლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლა ძველებურად დაიწყება მითქმა-მოთქმა ვიღაც მითიურ პიროვნებაზე, რომელიც უამრავ ფულს მოიტანს, შექმნის სახარბიელო პირობებს და მართლაც აალორძინებს „დილას“. ნეტარ არიან მორწმუნენი...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# სპარტაკის ახალციხური შენაძენი

**მესხეთი-სპარტაკი**

**0:0**

**18.04. ახალციხე. მ. იაძე**
**1000 მაყურებელი**

მესხეთი: სომხიშვილი - რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, თ. ლონლაძე - კ. ხანიშვილი (70. მ. თაყაძე), ნადირაშვილი, ინასარიძე, კოშკაძე, გვირჯიშვილი - კიკნაძე (50. სამადაშვილი)

*სათადარიგოები:* ძამუნაშვილი, თელიშვილი, ვ. თაყაძე, მუშკუდიანი, გ. სუდაძე.

სპარტაკი: ქვილითაია - ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, ქორიძე, მამუკაშვილი - თარხნიშვილი, ძარია (67. კუპრეიშვილი), გოგოხია(37. ტყეშელაშვილი), ხიდეშელი (46. მ. ლონლაძე) - კვარაცხელია

*სათადარიგოები:* ხიზანიშვილი, მედოევი, კოდალაევი, დათუნაშვილი.

გაფრთხილება: ნადირაშვილი (38), მ. ლონლაძე (75), კ. ხანიშვილი (78)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**19** წთ. **გვირჯიშვილის** დარტყმული მცირე მანძილით ასცდა კარს.

**39**. **ინასარიძის** დარტყმას სტუმართა მეკარე გადაეფარა.

**42**. **ხიდეშელის** ჩინებული პასი **ტყეშელაშვილმა** მიიღო, კარგად დაარტყა, მაგრამ მცირედით ააცილა.

**60**. კუთხურს ცხინვალელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. ამით კარგად ისარგებლა **სამადაშვილმა**, მაგრამ დარტყმა დაახანა. საბოლოოდ მაინც დაარტყა, მაგრამ მცველმა დაასწრო და დაუფარა.

**82**. მორიგ კუთხურს ისევ არეულობა მოჰყვა სტუმართა საჯარიმოში. **რაქვიაშვილმა** იმარჯვა, კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა სტუმართა კარს.

ახალციხეში გამართული მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მართალია, თამაში საგოლე მომენტების სიმრავლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ დაძაბულობა აშკარად იგრძნობოდა. თამაშს მასპინძლები აკონტროლებდნენ, სტუმრებმა კი კონტრშეტევითი ტაქტიკა ირჩიეს და მეტოქეს ეტაპობრივად ალიზიანებდნენ.

როგორც გამოჩნდა, ახალციხელები ფიქრობდნენ, რომ შინ "ბორჯომისა" და სტუმრად "მერანის" ძლევის შემდეგ, იოლად მოიპოვებდნენ მორიგ გამარჯვებას, მაგრამ შეცდნენ. "სპარტაკი" მეტოქეს მაგრად დაუხვდა. ახალციხელთა მწვრთნელი **კობა თედიაშვილი** შეეცადა შეცვლებით გამოეცოცხლებინა გუნდი და სეხნია **ყორყიკაშვილის** კრებული გაეტეხა. "ახალმა სისხლმა" კარგად იმოქმედა და მასპინძლებმა შეტევები გაამწვავეს. თუმცა სტუმრები დაცვაში ყურადღებით და საიმედოდ თამაშობდნენ ბოლომდე მშრალად შეძლეს კარის შენახვა.

ზემოთ სტუმართა კონტრშეტევები ვახსენეთ. ცხინვალელებს 42-ე წუთზე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ **ხიდეშელის** კარგი პასი **ტყეშელაშვილმა** ვერ გამოიყენა. მანამდე მასპინძლებმაც არაერთხელ შეაწუხეს სტუმრები, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ და გამორჩეული საგოლე მომენტი არ ჰქონიათ. ახალციხელებმა შესვენების შემდეგ მეტოქეზე დაწოლა გააძლიერეს. მე-60 წუთზე მოწოდებულ კუთხურს "სპარტაკის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. **სამადაშვილმა** კარგ პოზიციაში მიიღო ბურთი, დარტყმა დაახანა, საბოლოოდ კარში მაინც გადაგზავნა, მაგრამ მცველმა მოასწრო და ფეხი დაუფარა. 82-ე წუთზე კი კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **რაქვიაშვილმა** მახვილი კუთხიდან კარში ძლიერად დაარტყა, მაგრამ მილიმეტრებით ააცილა.

საბოლოოდ, აუტსაიდერთა შორის მყოფმა "სპარტაკმა" მაინც გაუძლო მასპინძელთა დაწოლას და ცხელ წერტილად მიჩნეული ახალციხიდან საჭირო ქულა წამოიღო. სეზონის დასრულებამდე 4 ტურიღა დარჩა და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ცხინვალელებს მომდევნო მატჩებშიც გვარიანი ბრძოლა მოუწევთ.

**ნიკა გვათუა**
ახალციხიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ ფეხბურთს ხორვატებს აბარებენ

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვაკანტური პოსტის მფლობელს მალე საჯაროდ გამოაცხადებენ. როგორც შევიტყვეთ, ფაქტობრივად, 99 პროცენტით გადაწყვეტილია ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობა. ის ხორვატი **ბრანკო ივანკოვიჩი** იქნება.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის სიმპათია მისკენ იმიტომ გადაიხარა, რომ ხორვატი სპეციალისტი საქართველოში ცხოვრებაზე არამარტო თანახმაა, თავად სურს კარგად შეისწავლოს ადგილზე ის ქვეყანა, სადაც, დიდი ალბათობაა, რომ მუშაობა მოუხდეს.

ბრანკო ივანკოვიჩის კანდიდატურა ბოლოს **ლუის ვან გაალთან** ერთად განიხილებოდა, მაგრამ ჰოლანდიელმა საქართველოში მუშაობა არ ისურვა და დარჩა ხორვატი. გამოცდილებაც თავისას შვება – ბოლო წლების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ უცხოელში ყველაზე უკეთ საქართველოს ხორვატები შეეჩვივნენ და ყველაზე უკეთაც მუშაობდნენ.

ივანკოვიჩი რომ 99 პროცენტით გადაწყვეტილია, ფედერაციის კულუარებშიც შევიტყვეთ – თუკი გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სწორედ ის გაწვრთნის საქართველოს ნაკრებს.

ქართულ ფეხბურთში ყველაზე იოლად ადაპტირება, გარემოსთან და ხალხთან შეგუება ხორვატმა სპეციალისტებმა მოახერხეს. გავიხსენოთ თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი **ივო შუშაკი**, იგივე **პეტარ სეგრტი**, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში გულიანად მუშაობს. პატარა მიკერძოება ყველას აქვს, მაგრამ ტოპმიოლერივით საქმეს გულგრილად არ ეკიდება.

რაც შეეხება თავად ბრანკო ივანკოვიჩს, ჩვენ დიდ ხანია უცხოელებზე ხბოს ალტკინებამ გადაგვიარა და ზუსტად არც ვიცი, ეს კაცი სინამდვილეში ვინაა და რას წარმოადგენს.

დრო ყველაფერს გამოაჩენს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ბრანკო ივანკოვიჩთან

# მზად ვარ, საქართველოში ჩამოვიდე!

## ივანკოვიჩი: ნაკრების მწვრთნელი იმ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, სადაც მუშაობს. თუ დავინიშნე, თბილისში ვიცხოვრებ!

### დოსიე

დაიბადა: 1954 წლის 28 თებერვალს

დაბადების ადგილი: ჩაკოვეცი, ხორვატია (ყოფილი იუგოსლავია)

ფეხბურთელი: „ნკ ვარტექსი" – 263 თამაში, 31 გოლი

### მწვრთნელის კარიერა

1991-1995: „ნკ ვარტექსი" (ხორვატია)

1995-1996: „ნკ სეგესტა"

1996-1997: „ნკ რიეკა"

1997-1999: ხორვატიის ნაკრები (მთავარი მწვრთნელის თანაშემწე)

1999-2000: „ჰანოვერ 96" (გერმანია)

2000-2001: ხორვატიის ნაკრები (მთავარი მწვრთნელის თანაშემწე)

2001: ირანის ნაკრები (მთავარი მწვრთნელის თანაშემწე)

2002: ირანის 23-წლამდელთა ნაკრები

2003-2006: ირანის ნაკრები

2006-2008: „დინამო" ზაგრები (ხორვატია)



**- როდის და ვისგან შეიტყვეთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის კანდიდატი ხართ?**

- პირველად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა, ჩემმა კარგმა მეგობარმა პეტარ სეგრტმა დამირეკა და მკითხა, ვიყავი თუ არა დაინტერესებული საქართველოში მუშაობით. ასეთ შემოთავაზებას არ ველოდი და მინდა გითხრათ, რომ ძალიან გამიხარდა, თან გამიკვირდა კიდეც. სეგრტს დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, რომ საქართველოში უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს, რის გამოც თქვენს ქვეყანაში ძალიან აფასებენ და უყვართ. მე მას ვუთხარი, მოლაპარაკებების დასაწყებად მზად ვარ-მეთქი.

**- და ამის შემდეგ დაიგეგმა შეხვედრა ნოდარ ახალკაცთან?**

- დიახ და მას გუშინ (ხუთშაბათს - ავტ) შევხვდი.

**- როგორ შეაფასებდით ამ შეხვედრას?**

- შექმნილ ვითარებაზე ვისაუბრეთ. პრეზიდენტმა დეტალურად ამიხსნა, თუ რა ხდება ქართულ ფეხბურთში. მესაუბრა სამომავლო გეგმებზე და მითხრა, რომ ერთ-ერთი კანდიდატი მეც ვარ. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია.

**- რაზე შეთანხმდით?**

- შეხვედრით უაღრესად კმაყოფილი დავრჩი და ისლა დამრჩენია, ახალკაცის ზარს დაველოდო. ის სხვა მწვრთნელებსაც უნდა შეხვდეს. ეს ნორმალურია, პრეზიდენტი რამდენიმე სპეციალისტს უნდა ესაუბროს, რომ საბოლოოდ საუკეთესო ვარიანტი შეარჩიოს. მოკლედ, ახალკაცის ზარს ველოდები და თუ დამირეკავენ, უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოვალ, სიტუაციას ადგილზე გავეცნობი და მერე უფრო დეტალურად დავილაპარაკებთ.

**- ამჟამად არსად მუშაობთ?**

- ახლა ტელევიზიასთან მაქვს კონტრაქტი. საფეხბურთო ექსპერტი ვარ.

**- ჩვენი ინფორმაციით, თქვენი დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილია...**

- როგორც გითხარით, ზარს ველოდები, მაგრამ თუ ეს მართალია, გულწრფელად გეუბნებით, ძალიან ვამაყობ.

**- თუ იცნობთ ქართველ ფეხბურთელებს და საერთოდ, ქართულ ფეხბურთს?**

- მეც ის ვიცი, რაც ყველამ. მიმაჩნია, რომ კახა კალაძე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველია, მაგრამ ამით ახალს არაფერს ვამბობ. ქართულ ფეხბურთზე ინფორმაციები შუშაკისგან და სეგრტისგან მაქვს. ივო ჩემი უახლოესი მეგობარი გახლავთ. ხორვატიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მას 20 წელიწადია ვიცნობ. ვიცი ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი და ვიცი არველაძე, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკრებში აღარ თამაშობს. მას მერე, რაც თქვენმა გუნდმა შოტლანდია დაამარცხა, მთელი ევროპა ლევან ყენიასა და ლევან მჭედლიძეზე ალაპარაკდა...

**- საქართველოზე რა იცით?**

- ვიცი, რომ ქართველები და ხორვატები მენტალიტეტით ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ქართველებიც ისეთივე ემოციური და ტემპერამენტიანი ხალხი ხართ, როგორც ჩვენ, ხორვატები. სეგრტმა მითხრა, ამ მხრივ საოცარი მსგავსებააო. ის თქვენს ქვეყანაზე შეყვარებულია და მისი სიტყვები საკმარისი იყო იმისთვის, რომ საქართველოზე დადებითი შთაბეჭდილება შემქმნოდა.

**- სეგრტი საქართველოს ნაკრების პოტენციალზე თუ გესაუბრათ?**

- რა თქმა უნდა. მან მითხრა, რომ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს.

**- როგორია თქვენი საფეხბურთო ფილოსოფია?**

- ვმუშაობდი როგორც ვარსკვლავებთან, ასევე, უცნობ ფეხბურთელებთან. 7 წელიწადი ხორვატიის ნაკრებში გავატარე, 5 კი - ირანში. ჩემი ფილოსოფია? გუნდმა აუცილებლად სერიოზული ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

**- "სერიოზულ ფეხბურთში" რას გულისხმობთ?**

- პრაგმატული, მაგრამ აუცილებლად შემტევი, აგრესიული ფეხბურთი. როცა საჭიროა, დაცვაზეც უნდა გააკეთო აქცენტი, მაგრამ ფეხბურთი იმისთვისაა, რომ შეუტიო და გოლები გაიტანო. სწორედ ესაა ფეხბურთის ფილოსოფია. ირანის ნაკრებს, როცა საჭირო იყო, დაცვითი ტაქტიკითაც ვათამაშებდი. ერთი სიტყვით, გააჩნია, როგორი გუნდი მყავს და ვის ვეთამაშებით. საერთოდ კი, შემტევი ფეხბურთის მოყვარული ვარ.

**- საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს კლაუს ტოპმიოლერს ყველაზე მეტად იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ საქართველოში არ ცხოვრობდა. თუ თქვენი დანიშვნა გადაწყდა, სად იცხოვრებთ?**

- მიმაჩნია, რომ ნაკრების დამრიგებელი იმ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, სადაც მუშაობს. ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ხუთი წელიწადი ირანში ვცხოვრობდი.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენია იმის შანსი, რომ საქართველოში ჩამოხვიდეთ?**

- როგორც გითხარით, ზარს ველოდები. თუ მოისურვებენ, მზად ვარ საქართველოში ჩამოვიდე და ყველაფერი ადგილზე ვნახო. ვამაყობ იმით, რომ დამიკავშირდნენ და კანდიდატად მომიაზრებენ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.**

- მადლობა თქვენ. იმედია, მალე საქართველოში შევხვდებით.

**გოტფრიდ ლენცი,**
**მერაბ მამულაშვილი**

# სანამ ჰორიზონტზე საქართველო გამოჩნდებოდა...

მაშ ასე, თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრებს 54 წლის ხორვატი მწვრთნელი **ბრანკო ივანკოვიჩი** უხელმძღვანელებს. ივანკოვიჩმა ფეხბურთელობისას უჩვეულოდ უერთგულა მის კლუბ „ვარტექსს", სადაც 12 სეზონი გაატარა და იუგოსლავიის ჩემპიონატში ჯამში 31 გოლი გაიტანა. კარიერის დასრულების მერე ბრანკო ოთხი წელიწადი კვლავ ვარაჟდინში დარჩა, ამჯერად უკვე „ვარტექსის" თავკაცის პოსტზე. კიდევ ორი კლუბის გამოცვლის შემდეგ ის **მიროსლავ ბლაჟევიჩმა** ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში თანაშემწედ მიიწვია. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებმა სენსაცია შემოგვთავაზა და მესამე ადგილი დაიკავა.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბრანკო ივანკოვიჩი გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ჰანოვერს" ედგა სათავეში, შემდეგ კი ისევ ხორვატიის ნაკრებში დაბრუნდა, **მირკო იოზიჩის** თანაშემწედ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამის შემდეგ იწყება ივანკოვიჩის აზიური კარიერა. ის მუშაობს ჯერ ირანის ნაკრების მთავარი მწვრთნელის (კვლავ მიროსლავ ბლაჟევიჩთან) თანაშემწედ, შემდეგ ახალგაზრდულის თავკაცად, ხოლო 2003 წლის მარტიდან ირანის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად. 2004 წლის აზიის თასზე ივანკოვიჩის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, მან ირანის ნაკრები 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც გაიყვანა.

ირანში ბრანკო ივანკოვიჩს კრიტიკაც ბევრი მოუსმენია. მას ტაქტიკურ განსწავლულობას უწუნებდნენ, დაცვითი ფეხბურთის სიყვარულსა და ურისკო თამაშს აბრალებდნენ. 2006 წლის ჩემპიონატამდე ბრანკო ერიდებოდა ძლიერ ოპონენტებთან ამხანაგური მატჩების ჩატარებას – ყოველ შემთხვევაში, მისი ოპონენტები ხორვატ სპეციალისტს ამასაც აბრალებდნენ. მიუხედავად ამისა, ბრანკო ივანკოვიჩმა შეძლო ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაყვანა. მსოფლიო ჩემპიონატზე ირანის ნაკრებმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. 2006 წლის 8 ივნისს ბრანკო ივანკოვიჩი თანამდებობიდან გადადგა და მიზეზად ირანული სპორტული მედიის ზეწოლა მოიყვანა. თუმცა ირანის ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის თქმით, ხორვატმა უბრალოდ დაასწრო მოვლენებს, მის კონტრაქტს მაინც აუქმებდნენ. 2006 წლის შემოდგომით ბრანკო ხორვატიაში დაბრუნდა და ზაგრების „დინამო" ჩაიბარა. 2007 წელს „დინამომ" ოქროს დუბლი შეასრულა, თანაც ისე, რომ ერთი მატჩიც არ წააგია. 2008 წლის იანვარში ბრანკო ივანკოვიჩი, მოულოდნელად, „დინამოდან" წავიდა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ზდრავკო მამიჩთან** უთანხმოების გამო. მის მომავალს, თითქოს, **ჯაბა მუჯირის** გუნდ „სეფაჰანთან" აკავშირებდნენ, მაგრამ ჰორიზონტზე საქართველოს ნაკრები გამოჩნდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დიდი სტუმრიანობა



გასულ კვირას თელეთისა და გარდაბნის საფეხბურთო მოედნებზე გარდაბნის საფეხბურთო-სასპორტო სკოლამ რაიონის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების დახმარებით ორი ტურნირი ჩაატარა. ერთი - 1992 წელს დაბადებულთა შორის - მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრის **გოჩა გურულიშვილის** ხსოვნას, მეორე კი - 1994 წელს დაბადებულებში - დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის, **ნოდარ ახალკაცის** 70 წლის იუბილეს.

საერთო ჯამში, ორივე ტურნირში 20 გუნდი მონაწილეობდა - 8 უფროსებში, 12 უმცროსებში, რომელთა შორისაც იყო ერევნის "პიუნიკი".

1994 წელს დაბადებულთა შორის გაიმარჯვა თბილისის "მერანმა", მეორე იყო "პიუნიკი", ხოლო მესამე - "თბილისი 70".

ორი წლით უფროსებში პირველობა არავის დაუთმო თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიის გუნდმა, მეორე ადგილი ერგო გოჩა გურულიშვილის სახელობის სკოლის გუნდ "შავნაბადას", ხოლო მესამე ადგილი - თბილისის "მერანს".

**სანდრო კოტორაშვილი**

# ცხადაძეს ჩემპიონთან ფრე არ უნდა

აზერბაიჯანის ჩემპიონატის 22-ე ტურში „ბაქი" ზაქათალის „ქარვანს" უმასპინძლებს. **ალექსანდრე გოგობერიშვილისა და ამირან მუჯირის** გუნდი კრიზისშია, „ბაქის" 28 ქულით ჩემპიონატში მერვე ადგილი უკავია, „ქარვანი" 21 ქულით მე-11 ადგილზეა. „შაფას" სტადიონზე „ბაქის" **ამირან მუჯირი** დააკლდება, რომელმაც აზერბაიჯანული წყაროების მტკიცებით, ვერ მოასწრო ტრავმის მორჩენა. „ქარვანში" სამი ქართველია: **ალექსანდრე ინწკირველი, გოჩა ტრაპაიძე** და **რომან ახალკაცი. კახი ცხადაძის** „სტანდარდი" ჩემპიონ „ხაზარს" უმასპინძლებს. ტურის წინ ქართველმა მწვრთნელმა განაცხადა: *„ჩვენ არ გვეყოლება კაპიტანი რუსლან გაფიტულინი, კიდევ გვაკლია ძირითადის ფეხბურთელები, მეტოქე კი სერიოზულია. „ხაზარი" საპრიზო სამეულისთვის გააფთრებით იბრძვის. ყველაფრის მიუხედავად ფრეზე არც არავინ ფიქრობს, მხოლოდ მოგება გვსურს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეადარეთ ძველი და ახალი ცამეტს


ბილიჩმა ხორვატია ევროპაზე ძალიან იაფად გაიყვანა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გასაიდუმლოებული ჰქონდა **კლაუს ტოპმიოლერის** ხელფასი. ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მითხრა, მწვრთნელების ხელფასი მეტწილად კონფიდენციალურიაო. სიმართლე გითხრათ, არ დამითვლია, რამდენი ნაკრების მწვრთნელის ხელფასია გასაიდუმლოებული და რამდენის - არა. ჟურნალმა World Soccer-მა კი გამოაქვეყნა ცამეტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ყოველწლიური ჯამაგირი. არაოფიციალური, მაგრამ ზუსტი წყაროთი ცნობილია, რომ ტოპმიოლერის თვიური გასამრჯელო 80 000 ევრო გახლდათ, ანუ წლიური 960 000 ევრო.

ახლა კი World Soccer-ის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებს გთავაზობთ. ვფიქრობთ, საინტერესოა ამ ციფრების შედარება ტოპის 960 000-თან.

**ბობ ბრედლი**, აშშ-ს ნაკრები - 220 000 გირვანქა (278 300 ევრო).

**სტივ მაკლარენი**, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევრო 2008-ის შესარჩევში - 2 500 000 გირვანქა (3 162 500) ევრო.

**ლუიშ ფელიპე სკოლარი**, პორტუგალია - 1 380 000 გირვანქა (1 745 700) ევრო.

**ლუის არაგონესი**, ესპანეთის ნაკრები - 350 000 გირვანქა (442 750 ევრო).

**სლავენ ბილიჩი**, ხორვატიის ნაკრები - 47 000 გირვანქა (59 455 ევრო).

**ბერტი ფოგტსის** ხელფასი ნიგერიის ნაკრებში- 300 000 გირვანქა (379 500 ევრო).

ფოგტსი ახლა აზერბაიჯანის ნაკრების თავკაცად დაინიშნა, სადაც მისი ხელფასი კონფიდენციალურია.

**რაიმონ დომენეკი**, საფრანგეთის ნაკრები - 310 000 გირვანქა (392 150 ევრო).

**ხავიერ კლემენტე**, სერბეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი - 260 000 გირვანქა (328 900 ევრო).

**კარლოს ალბერტო პარეირა**, სამხრეთი აფრიკა - 1 470 000 გირვანქა (1 859 550 ევრო).

**ლარს ლაგერბაკი**, შვედეთის ნაკრები - 100 000 გირვანქა (126 500 ევრო).

**იოახიმ ლიოვი**, გერმანიის ნაკრები - 1 750 000 გირვანქა (2 213 750 ევრო).

**გუს ჰიდინკი**, რუსეთის ნაკრები - 2 000 000 გირვანქა (2 530 000 ევრო).

**ოტო რეჰაგელი**, საბერძნეთის ნაკრები - 700 000 გირვანქა (885 500 ევრო).

თუ საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელის ხელფასი გამომზეურდება, ალბათ საინტერესო იქნება მისი შედარებაც ამ ჩამონათვალთან.

**დავით თავართქილაძე**

# ლომიძე ზიმბრუს თვის ფეხბურთელია



მოლდოვაში თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. „ნისტრუსა" და „ზიმბრუს" დაპირისპირებას ათასი გულშემატკივარი დაესწრო. მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს. გადამწყვეტი საპასუხო მატჩი იქნება. „ზიმბრუს" ქართველმა მცველმა **მამუკა ლომიძემ** შეუცვლელად ითამაშა. მეორე ნახევარფინალურ წყვილში გოლები არ გასულა – „ტირასპოლი" და „შერიფი" დაზავდნენ. ამ გუნდებმა რამდენიმე დღის წინათ ჩემპიონატის მორიგ ტურში ითამაშეს ერთმანეთში, მაშინ „შერიფმა" 2:0 მოიგო. თასის შეხვედრაში „შერიფის" კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა.

სხვათა შორის, მამუკა ლომიძე „ზიმბრუს" გულშემატკივრებმა მარტის თვის საუკეთესო ფეხბურთელად აირჩიეს. 23 წლის მარცხენა მცველმა მარტში სტაბილურად ითამაშა დედაქალაქელთა რიგებში და ერთი გოლიც გაიტანა. „ზიმბრუს" ოფიციალურ საიტზე ტრადიციულ გამოკითხვაში მან 830 ხმა მიიღო და სულ ცოტათი აჯობა ნახევარმცველ **სერგეი კოჟოკარს** (8 ხმით). მამუკამ ოფიციალური საიტის სტუმრებს მათთვის საინტერესო კითხვებზე გასცა პასუხი.

**- როგორ გესახებათ „ზიმბრუს" მომავალი?**

- მეიმედება, რომ მალე „ზიმბრუ" მოლდოვურ ფეხბურთში დაიბრუნებს მოწინავე პოზიციებს. ამისთვის ჩვენი დიდი შრომის გაწევა მოგვიწევს, რასაც ვაკეთებთ კიდეც.

**- რა განსხვავებაა ქართველ და მოლდოველ გულშემატკივრებს შორის?**

- მოლდოვის ჩემპიონატში ფანები უფრო აქტიურად უჭერენ მხარს თავიანთ კლუბებს. მხოლოდ თბილისის „დინამოს" და „ამერის" ფანები თუ შეედრებიან მოლდოველებს. აქ „ზიმბრუს", „შერიფს", „ოლიმპიას" და „დაჩიას" უფრო სტაბილური გულშემატკივრები ჰყავთ.

**- რას იტყვით თქვენს და „ზიმბრუს" თამაშზე მარტის თვეში?**

- ზამთრის შესვენების მერე გუნდი გაახალგაზრდავდა, თუმცა გუნდმა სტაბილურად ითამაშა და ერთხელაც არ დამარცხებულა.

**- გოლი რა სიხშირით გაგაქვთ და რომელი გოლია თქვენთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი?**

- წელიწადნახევარია, რაც „ზიმბრუში" ვარ და ამ ხნის განმავლობაში 4 გოლი გოლი გავიტანე. ყველა სტანდარტული მდგომარეობიდან, თავით. გადამწყვეტი გოლები ჯერ არ გამიტანია, ასე რომ ჯერ საამაყოც არაფერია. ჩემი მთავარი ამოცანა კარის დაცვაა მეტოქის თავდამსხმელებისგან.

**- თქვენი ჰობი?**

- კითხვა. მიყვარს ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გაცნობა.

**- რომელ ადგილს დაიკავებს „ზიმბრუ" ამ სეზონში?**

- ჩვენ აუცილებლად უნდა დავასრულოთ სეზონი საუკეთესო სამეულში. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, წინ კონკურენტებთან მატჩებია.

**- რამდენჯერ გაუძევებიხართ და მიიჩნევთ თუ არა თავს უხეშ მცველად?**

- არა, ნამდვილად არ ვარ უხეში ფეხბურთელი. ბურთისართმევა უხეშობის გარეშეც შეიძლება. „ზიმბრუში" თამაშისას მხოლოდ ერთხელ გამაძევეს, უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის.

**- რა დამოკიდებულება გაქვთ ინტერნეტთან?**

- ძალიან კარგი საშუალებაა მეგობრებთან სასაუბროდ, თუმცა კომპიუტერული თამაშები არ მიზიდავს.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# იმედაშვილი და მარცვალაძე ნეფთჩიში?

**კიევის "დინამოს" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ ყოფილი ფეხბურთელები გაიხსენა. კიევიდან გათავისუფლებულ დემიანენკოს წლის დასაწყისში ბაქოს "ნეფთჩი" ჩააბარეს და ის ევროთასებისთვის კლუბის გაძლიერებას გეგმავს.**

**დემიანენკომ აზერბაიჯანულ სააგენტო "აპა-სპორტთან" კლუბის გაძლიერების საჭიროებაზე ისაუბრა და სასურველი ფეხბურთელებში დავით იმედაშვილი და ოთარ მარცვალაძე ახსენა.**

**გუშინ ორივე მათგანს დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.**

## ოთარ მარცვალაძე:

**- ოთარ, ტრავმა თუ მოირჩინე?**

- მოვირჩინე და თავს უკვე კარგად ვგრძნობ, მაგრამ ჯერ თამაში არ დამიწყია. ფორმის აღსადგენად ინდივიდუალური გეგმა დამინიშნეს და რეაბილიტაციას გავდივარ. სეზონის ბოლომდე ფორმა უნდა აღვიდგინო. თუმცა სეზონი რომ გამიცდა, ეს უკვე ფაქტია.

**- სიმართლე გითხრათ, იმიტომ დაგიკავშირდით, რომ დავაზუსტოთ, მართალია, თითქოს დემიანენკო ბაქოს „ნეფჩიში" გიწვევს?**

- საიდან სადაო?

**- შეთავაზება არ მიგილია? დემიანენკომ ეს აზერბაიჯანულ სააგენტო "აპა-სპორტს" გაუმხილა.**

- არათუ არ შემოუთავაზებია, თქვენგან პირველად მესმის.

## დავით იმედაშვილი:

- „ნეფთჩი"? პირველად მესმის. დემიანენკო მე არ დამკავშირებია. ისე, არ გამოვრიცხავ, მართლა სურდეს ჩემი მიწვევა და ჯერ კიეველებს დაელაპარაკა. არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

**- საერთოდ, აზერბაიჯანში თამაში შენთვის მისაღებია?**

- რა გითხრათ, ახლა ოლონდ ვითამაშო და... ისე, მისაღები ვარიანტი კიევის "დინამოს" ძირითადში თამაშია, მაგრამ უთამაშებელი ვარ, დიდი დრო გამიცდა და დროებით, შეიძლება, მიუღებელი არც იყოს. თუმცა, ჩემი ამბიციები უფრო მაღალ დონეზე თამაშია.

**- კიევის „დინამოში" მხოლოდ კალაძემ ითამაშა მაღალ დონეზე. ხელს რა გიშლით?**

- ყველა მიზეზზე ვერც ვისაუბრებ, მაგრამ ფეხბურთელისთვის მთავარი მარტო თამაში არ ყოფილა. სხვა საკითხებშიც უნდა გაგიმართლოს.

სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ჩემგან რა უნდათ და რას ითხოვენ. არც მათამაშებდნენ და არც მიშვებდნენ. თუმცა დარწმუნებული ვარ, სიომინისა და ჭოხონელიძის დროს რომ მოვსულიყავი, ძირითადში მოხვედრის გაცილებით მეტი შანსი მექნებოდა.

**- მათი მოსვლით გუნდში რა შეიცვალა?**

- რა და ის, რომ ფეხბურთელებს ენდობიან, თავის გამოჩენის შანსს აძლევენ ყველას, მაგრამ ხომ იცით, გუნდში სამი წელიწადი რომ ხარ და ძირითადში არ თამაშობ, ნდობის დამსახურება ძალიან ძნელია.

**- პაოკ-ში რატომ ვერ მოხვდი?**

- საბერძნეთში ცუდ დროს ჩავედი. ლატვიიდან ფეხნატკენი გამოვბრუნდი. მერე შესვენება იყო და მეგონა, ფეხი მოვირჩინე. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მიმიწვია პაოკ-მა. ჩავედი საბერძნეთში, მაგრამ დატვირთვებზე ტკივილები ისევ ვიგრძენი და კიევში დავბრუნდი. უბრალოდ, ველარც დავრბოდი.

**- ახლა როგორ ხარ?**

- ვარჯიშიც დავიწყე და სიმფეროპოლის "ტავრიასთან" დუბლებშიც ვითამაშე.

**- თემურ ფარცვანიაზე რას გვეტყვი? კიევის "დინამოში" ისე აღმოჩნდა, საქართველოში არ ვიცნობდით.**

- კარგი ბიჭია. ცენტრალურ მცველად თამაშობს. ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ ისეთი მაღალი და ათლეტურია, ცენტრალურ მცველს რომ სჭირდება. მე მგონია, რომ პერსპექტიული ბიჭია, რომელიც დავკარგეთ.

**- რატომ დავკარგეთ?**

- იმიტომ, რომ უკრაინის მოქალაქე გახდა და ახლა უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრებში იძახებენ. არადა, მანამდე, საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს და უკრაინელებმა არ გაუშვეს. ეს თვითონ მითხრა.

**მერაბ მამულაშვილი**


კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი

# ჯაბა კანკავამ ჩემპიონობის იმედი დაკარგა

საქართველოს ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ნახევარმცველ **ჯაბა კანკავას** კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ჟურნალისტი ესაუბრა და საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. თუმცა ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი თუ იქნება.

"დონეცკის "შახტიორთან" წაგების შემდეგ, ფაქტობრივად, ჩემპიონობის შანსი დავკარგეთ. საერთოდ, საგაზაფხულო ეტაპი ცუდად დავიწყეთ. რა თქმა უნდა, ბოლო ტურამდე ვიბრძოლებთ, მაგრამ ლიდერობა ძალიან გაგვიჭირდება. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ცუდად დაწყების შემდეგ, ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდა.

უკრაინის თასის ფინალისტების გარკვევის შემდეგ, გასაგები გახდა, რომ უეფას თასზე გამოსვლის უფლებას მეოთხე ადგილიც მოგვცემს, მაგრამ "დნეპრი" უფრო მაღალი ადგილისთვის იბრძოლებს. დარჩენილი ხუთი შეხვედრა რაც შეიძლება უკეთ უნდა ჩავატაროთ და გულშემატკივრებსა და საკუთარ თავსაც დავუმტკიცოთ, რომ კარგი გუნდი გვყავს."

ჯაბას შეკითხვა საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელზეც დაუსვეს.

"ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ნაკრებს ვის ჩააბარებენ. რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ. როგორც ვიცი, მათ შორის, ბევრი ცნობილი პიროვნებაა, თემურ ქეცბაია, შოთა არველაძე, მაგრამ დანამდვილებით ჯერ არავინ არაფერი. იყო საუბარი ლუის ვან გაალზეც. მე კი ნაკრებში თამაში ნებისმიერი მწვრთნელის ხელში მსურს."

**მერაბ მამულაშვილი**

# ლევანის თამაშებს არ ვარჩევ, ამ დონის სპეციალისტი არ ვარ

დღეს, ახალი რუბრიკის პრემიერაა. შაბათობით, სტუმრად მანდილოსნები გვეყოლებიან, ჩვენი ფეხბურთელების მეუღლეები. გეცოდინებათ პოპულარული ტელესერიალი "ფეხბურთელების ცოლები". ისინი ინგლისური პრემიერლიგიდან არიან. ჩვენს შემთხვევაში, საქმე ქართული პრემიერლიგის ცოლებს ეხება. პირველ სტუმრად, საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისის "ლოკომოტივის" ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილის მეუღლეს, მაკა გეწაძეს (ახლა უკვე ცქიტიშვილს) წარმოგიდგენთ. საუბრის დროს ცქიტიშვილების უფროსი შვილი, 8 წლის ნუცაც აქტიურობდა...



- მე და ლევანი 11 წლის წინათ დავქორწინდით. მეზობლები ვიყავით და ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ. ლევანი ფეხბურთელი იყო, დაკავებული გახლდათ და ქუჩაში დგომისთვის არ ეცალა. როცა წამოვიზარდეთ, უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. 16 წლისაც არ ვიყავი, ლევანმა სიყვარული რომ ამიხსნა და წელიწადნახევარში ვიქორწინეთ კიდეც.

**- ერთ სკოლაში ხომ არ სწავლობდით?**

- არა, სხვადასხვა სკოლაში დავდიოდით.

**- თქვენი პროფესია?**

- ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი დავამთავრე გერმანულის სპეციალობით. ცოტა ინგლისურსაც ვახერხებ.

**- და-ძმა გყავთ?**

- ძმა და სამი და მყავს. მე უფროსი ვარ.

**- როგორია თქვენი ჩვეულებრივი დღის რეჟიმი?**

- ჯერჯერობით, დიასახლისი ვარ და არ ვმუშაობ. გერმანიასა და საბერძნეთშიც არ მიმუშავია. დილით, ბავშვები ხან მე მიმყავს სკოლაში, ხან ლევანს. სკოლის გარდა, ნუცა ქართულ ცეკვებზე დაგვყავს ქორეოგრაფიულ სტუდიაში, სალომე კი ბალეტს ეუფლება.

**- ძნელია ფეხბურთელის ცოლობა?**

- ძნელია და მიჭირს-თქო, ნამდვილად ვერ ვიტყოდი. მოდით, ასე გიპასუხებთ: თავისებური და სპეციფიკურია. მათ განსაკუთრებული რეჟიმი, ცხოვრების წესი აქვთ და ხელშეწყობა სჭირდებათ. მართალი გითხრათ, ადრე ფეხბურთელის ცოლობაზე არც კი მიფიქრია. მეტიც, ფეხბურთი, საერთოდ, არ მაინტერესებდა. მერე კი ნელ-ნელა თამაშის წესებიც ვისწავლე და დღეს გულშემატკივარიც ვარ.

**- ზოგიერთი, ასე ვთქვათ, თქვენი კოლეგა, მეუღლის თამაშებსაც არჩევს და შეცდომებზეც მიუთითებს...**

- (იცინის). არა, ჩემს შემთხვევაში ასე ნამდვილად არ ხდება. ამ დონის სპეციალისტი არ ვარ.

**- ხშირად, ფეხბურთელები ცოლებს, სხვადასხვა მიზეზით, თამაშებზე დასწრებას უშლიან... ზოგი იმას იმიზეზებს, ცოლს იღბლიანი ფეხი არ აქვსო...**

- ამ მხრივ, ლევანს გართულება არ აქვს... მართალი გითხრათ, ასეთ რალაცეებს არც ვაკვირდები. როცა მის თამაშებს ვესწრები, ხან იგებენ, ხან აგებენ, ზოგჯერაც თამაში ფრედ მთავრდება.

**- ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდათ?**

- ... (ფიქრობს). ალბათ, "ფრაიბურგსა" და საქართველოს ნაკრებს შორის გამართული მატჩი. ის თამაში 1:1 დასრულდა... ასევე კარგად მახსოვს იტალიასთან თბილისური მატჩი. ის თამაში ლევანმა კარგად ჩაატარა, ჩვენი გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში რომ არ დარჩენილიყო, შესაძლოა, არც წაგვეგო.

**- მეუღლეობის გარდა, ალბათ, ფსიქოლოგის ფუნქციებსაც ითავსებთ ხოლმე...**

- რა თქმა უნდა. როცა ფეხბურთელი ნაგებული თამაშის შემდეგ შინ ბრუნდება, მას გამხნევება, გვერდში დგომა, სასიამოვნო გარემოს შექმნა სჭირდება. სხვათა შორის, ესეც კარგად გამომდის.

**- წლების განმავლობაში, ლევანი გერმანიაში თამაშობდა. ალბათ, იქ ხშირად იკრიბებოდით ფეხბურთელების ოჯახები...**

- ყოველთვის არა, მაგრამ დღესასწაულებსა და საიუბილეო საღამოებზე კლუბის ხელმძღვანელობა ოჯახებით გვეპატიჟებოდა ხოლმე. ასეთი შეხვედრები თვეში ერთხელ მაინც ეწყობოდა. ხან გოლფს ვთამაშობდით, ხან სუშის და როლის (კერძები იაპონური სამზარეულოდან - ავტ) ვამზადებდით. სხვათა შორის, ამ კერძების მომზადებაში სერთიფიკატიც კი ავიღე. ისე, ცოლები უფრო ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე.

**- რომელი ფეხბურთელების მეუღლეებთან მეგობრობდით?**

- ფრაიბურგში იაშვილის, კობიაშვილის, კიკნაძის ცოლებთან. სხვებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. ვოლფსბურგში კი არგენტინელ მოთამაშეთა მეუღლეებთან უფრო ახლოს ვიყავი, ვიდრე გერმანელებთან.

**- გერმანიიდან საბერძნეთში გადაბარგდით. ეს ქვეყნები, ცხოვრების წესით, საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. არ გაგიჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება?**

- გერმანელები პუნქტუალურები და წესრიგის მოყვარულნი არიან. ბერძნები კი უფრო ჩვენ გვგვანან, წესრიგი ნაკლებად უყვართ. ამ პრობლემას ხშირად ვაწყდებოდი, როცა საბერძნეთში ავტომანქანით მიწევდა ქუჩაში გადაადგილება.

**- რამდენადაც ვიცი, ზაფხულისა და ზამთრის არდადეგებს უცხოურ კურორტებზე ატარებთ ხოლმე...**

- კი... მალაგა, სან ტროპე, მონტე კარლო...

**- უცხოეთში არა ერთი ქალაქი გინახავთ. ყველაზე უფრო რომელი დაგამახსოვრდათ?**

- ყველა ქვეყანა და ქალაქი თავისებურად კარგია. ამ მხრივ, იტალიასა და ესპანეთს გამოვარჩევ, პარიზზე რაღა ვთქვა...

*საუბარში ნუცაც ჩაერთო:*

- პატარაობისას მეც ვიყავი სან ტროპეში. იტალია ძალიან მომეწონა, მაგარი იყო...

**- იაპონური კერძების მომზადებაში სერთიფიკატის მფლობელი, საკუთარ ოჯახში დიდ დროს ატარებთ სამზარეულოში?**

- თავიდან, მე და ლევანი მარტო ვცხოვრობდით და კერძების მომზადება მიწევდა. ცოტა მიჭირდა კიდეც, მაგრამ ნელ-ნელა კულინარიაც ავითვისე.

**- ლევანს თქვენი მომზადებული რომელი კერძი უყვარს ყველაზე მეტად?**

- უფრო ხორციანი კერძები უყვარს... და საცივი.

*ისევ ნუციკოს რეპლიკა:*

- მე ბაჟე მიყვარს ძალიან და დედიკო რომ გააკეთებს, მე და მამას ძალიან გვიხარია... ერთად ვჭამთ ხოლმე. დედიკო ძალიან გემრიელ ტორტებსაც აცხობს.

**- რომელია თქვენი ფავორიტი სუნამო და ტანსაცმელი?**

*ისევ ნუციკო:*

- "დოლჩე და გაბანას" ტანსაცმელი ჩემს დაიკოს, სალომეს ჰქონდა, მაგრამ დაუპატარავდა.

- ტანსაცმელს ბრენდის გამო არ ვარჩევ. რომელიც მომეწონება, იმ ფირმის ტანსაცმელს ვყიდულობ.

**- ჩაცმის რომელ სტილს ამჯობინებთ?**

- უფრო ხშირად ჯინსები მაცვია. კლასიკური სტილიც მომწონს და არც ამაზე ვამბობ უარს.

**- სუნამოზე არ გითქვამთ...**

- ტკბილი სურნელი არ მიყვარს, "მარკ ჯეკობსს", "სტელა მაკარტნის" ვხმარობდი... ახლა ფეხმძიმედ ვარ და სუნამოებს ვერიდები.

**- და ჰობი?**

- ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ახალი ქალაქების დათვალიერება, ბუნებაში გასვლა... შაბათ-კვირას, შეძლებისდაგვარად, მთელი ოჯახით გავდივართ ხოლმე პიკნიკზე. ასევე ძალიან მიყვარს ცურვა, ქსოვა, ქარგვა...

*ნუციკო საუბარში კიდევ ერთხელ ჩაერთო:*

- ჩემ დედიკოს ყვავილები უყვარს, ხშირად კრეფავს ხოლმე.

**- ბუნებით რომანტიკოსი ხართ?**

- გარკვეული დოზით...

**- იქნებ, ლექსებსაც წერდით?**

- არა, არა...

**- სიურპრიზი დაბადების დღეზე, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ, ლევანის ცოლობისას იყო თუ მანამდე?**

- ეს შარშანდელ იუბილეზე იყო. ბავშვებს არდადეგები ჰქონდათ და მათთან ერთად ორიოდე დღით თბილისში ჩამოვედი. საბერძნეთში ჩემპიონატი მიმდინარეობდა და ამის მეტი სიურპრიზი რა გინდათ, ლევანი უცებ თბილისში რომ გამოგვეცხადა.

*ნუციკო:*

- ჰო, ჰო, როგორ ჩამოგვეპარა, მაშინ მამიკო...

**- მეუღლის ნაჩუქარი რომელი ნივთია თქვენთვის ყველაზე ძვირფასი?**

- ... (ფიქრობს) "როლექსის" საათი. ლევანმა ჩვენი შეუღლების 10 წლისთავზე მაჩუქა. შარშან იყო ეს, 14 დეკემბერს...

**- მესამე შვილს როდის ელოდებით?**

- აგვისტოში.

**- ბიჭია თუ გოგო?**

- სიმართლე გითხრათ, არ დავინტერესებულვართ.

*ნუციკოს კიდევ ერთი რეპლიკა:*

- დედა, დედიკო, მე დაიკო მინდა, რა...

**- დღეს ოჯახში სამი შვილი იშვიათობაა. თქვენ რამდენს გეგმავთ, თუ შეიძლება ასე ითქვას?**

- იცით, ამაზე არც მიფიქრია. ჯერ ახალგაზრდები ვართ... ბევრ ბავშვს რა სჯობს? მთავარია, ცხოვრების პირობები იყოს ნორმალური.

*ნუცამ დაამატა:*

- ... და სიცივე რომ არ იყოს.

**- რა სფეროში წარმოგიდგენიათ მეუღლის საქმიანობა, როცა კარიერას დაასრულებს?**

- თავისი საქმე ისე ძალიან უყვარს, ალბათ, ფეხბურთში დარჩება. მაგრამ რა სტატუსით, ეს ნამდვილად არ ვიცი.

**- სხვადასხვა დოზით, კამათი ყველა ოჯახშია. პირველი ვინ თმობს: თქვენ თუ ლევანი?**

- ხან მე, ხან ლევანი... ისე, გააჩნია რაზე ვკამათობთ.

**- რა ჟანრის ფილმები გიყვართ?**

- უფრო ცხოვრებისეული. ახლა რომელიმეს გამორჩევა გამიჭირდება.

**- რომელია თქვენი საყვარელი მსახიობი?**

- ჯულია რობერტსი, შარლიზ ტერონი, მეთიუ მექონი...

**- ტელესერიალებს თუ უყურებთ?**

- "ფეხბურთელების ცოლებს" ვუყურებ. "სასოწარკვეთილი დიასახლისებიც" ვნახე...

**- რა ჟანრის ლიტერატურას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ისტორიული ჟანრი მიყვარს, რომანებს ვკითხულობ, კლასიკოსებსაც. ბავშვობაში დეტექტივები მომწონდა, მაგრამ ახლა აღარ მიტაცებს.

**- თქვენი საყვარელი ქართველი მწერალი რომელია?**

- აკაკი წერეთელი და ნოდარ დუმბაძე.

**- შვილებს სახელები ერთად შეურჩიეთ?**

- დიახ, გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ.

**- თქვენი საყვარელი რიცხვი?**

- შვიდი.

**- თვე?**

- უფრო გაზაფხული მიყვარს, თვეებიდან კი აპრილი.

**- ჰოროსკოპის თუ გჯერათ?**

- ნაწილობრივ. ამაზე "ჩაციკლული" ნამდვილად არ ვარ და ვერ ვიტყოდი, რომ ჰოროსკოპის მიხედვით ვცხოვრობ. ისე, კი გადავიკითხავ ხოლმე, მაგრამ დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

**- რამდენადაც ვიცი, მორწმუნე ხართ?**

- დიახ, მარხვასაც ვიცავ და ბავშვებიც დამყავს ზიარებაზე. ადრე უჭირდათ, მაგრამ უკვე შეეჩვივნენ. სხვათა შორის, ნუციკო აღსარებასაც ამბობს ხოლმე.

**- საქართველოს გარდა, რომელ ქვეყანაში ისურვებდით ცხოვრებას?**

- ალბათ, მაინც იტალიაში... (იცინის). ლევანსაც მოვუხსნიდი დიდ პრობლემას, სერია A-ში ითამაშებდა.

**- მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებიდან რომელს გამოარჩევდით?**

- ლევან, მომეხმარე, რომელი ვთქვა?

**- ზიდანი, რონალდინიო, რონალდო... - შეეშველა ლევანი მეუღლეს.**

- შაბლონები არ მიყვარს... კაკას დავასახელებდი.

**- ნამცხვრები გემრიელი გამოგდით?**

- კი, კარგად გამომდის. ახლახან, სამარხვო ნამცხვარი გამოვაცხვე. ყველას მოეწონა.

**- ყველაზე დიდი დღესასწაული?**

- შობა, აღდგომა და ოჯახის წევრთა დაბადების დღეები.

**- ბავშვები დამჯერები არიან თუ...**

- არა, ჭკვიანები არიან. მათზე ერთ კურიოზს გავიხსენებდი. უმცროსს, სალომეს, ყელი სტკიოდა, ნუცას კი ძალიან უყვარს ნაყინი. საღამოს, შინ რომ დავბრუნდით, ნუცა რაღაცაზე გააბრაზა სალომემ. მანაც, ნიშნის მოგებით უთხრა: ერთ საიდუმლოს არ გეტყვიო. სალომე გადაეკიდა, ლამის სამი საათი ეხვეწებოდა ნუცას, მითხარი რა საიდუმლოო. ბოლოს ნუცა დაიღალა და უთხრა: კარგი რა, დამანებე თავი, ნაყინი არ მიჭამიაო.

## რატომ არ თვლის დედამთილი რძლად ლევანის მეუღლეს?

საინტერესოა, თუ როგორი რძალია მაკა დედამთილის თვალით. ლევან ცქიტიშვილის დედას, ქალბატონ დალი ფალავას, სამზარეულოში გავესაუბრეთ.

**- როგორია დედამთილის თვალით დანახული რძალი?**

- გადაჭარბებულად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მაკას რძლად არ ვთვლი. ყოველთვის ვამბობ, რომ ორი ქალიშვილი მყავს: თამუნა და მაკა. ლევანი და მაკა ადრეულ ასაკში დაქორწინდნენ და ამის გამო, ორივე მხარე წინააღმდეგი ვიყავით. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან, უაღრესად კმაყოფილი ვარ. გერმანიაში რომ წავიდნენ, ვშიშობდი, უცხო ქვეყანაში გაუჭირდებათ-მეთქი... მაგრამ, მაკა ისე ამოუდგა მხარში ლევანს და ისე მალე აუწყო ფეხი ევროპული ცხოვრების რიტმს, გავვოცდი. ყოველდღიურად ვგრძნობ, რომ ერთმანეთისადმი სიყვარული ულრმავდებათ და ჩემთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს.

**- მაკას პიროვნულ თვისებებზე რას იტყვით?**

- თვითდაჯერებულია, აქტიური, გამოვნებიანი... ამ ახალი ბინის ინტერიერიც მისი შემოქმედებაა. შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. ისე, სიჯიუტე ორივეს აქვს. ლევანი ფიცხია, მაგრამ წყენას ორ წუთში ივიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXXIV ტურის წინ

# გაუგებრობა იბრაჰიმოვიჩის გარშემო: ინტერი თუ შვედეთი?

**დღეს**

რომა-ლივორნო
ფიორენტინა-პალერმო

**ხვალ**

ატალანტა-იუვენტუსი
მილანი-რეჯინა
სამპდორია-უდინეზე
პარმა-ნაპოლი
სიენა-ჯენოა
კატანია-ლაციო
კალიარი-ემპოლი
ტორინო-ინტერი

სერია A გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. უკვე აშკარად გამოიკვეთა ჯგუფები, რომელთაც სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტა მოუწევთ. "ინტერი" და "რომა" სკუდეტოს გაიყოფენ. რომაელებს შედარებით უკეთესი კალენდარი აქვთ, "ნერაძურის" კი, ყველაფერთან ერთად, მილანური დერბი ელის. შეიძლება ითქვას, ხელუხლებელია "იუვენტუსის" მესამე ადგილი, დარჩენილი ერთი საჩემპიონთალიგო საგზურისთვის კი "ფიორენტინა", "მილანი", "სამპდორია" და "უდინეზე" იბრძოლებენ. ცხადია, პირველ ორს უკეთესი შანსი აქვს. ამის ქვემოთ, თითქმის ყველა გუნდი თანაბარი ძალისაა. თეორიულად, მე-8 ადგილზე მყოფ "ჯენოასაც" კი არ აქვს გადაწყვეტილი სერია A-ში დარჩენის საკითხი, თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საამისოდ 40 ქულაც საკმარისი იქნება. ამდენად, გასავარდნ ზონაში და მის მეზობლად 7 გუნდი უნდა მოვნიშნოთ: "ტორინო", "კატანია", "კალიარი", "პარმა", "რეჯინა", "ემპოლი" და "ლივორნო".

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ყველა მატჩი მოტივაციითაა დატვირთული. მაგალითად, ტური "რომა"-"ლივორნოს" შეხვედრით იწყება და ორივე გუნდისთვის ნაბორძიკება ავისმომასწავებელი იქნება, ამიტომ, საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს. "ჯალოროსის" ტრავმირებული ჰყავს **აკვილანი, ვუჩინიჩი** და **ფერარი**, თუმც შემადგენლობა, რომელსაც დღეს **ლუჩანო სპალეტი** დააყენებს, ისედაც ოპტიმალურია და აბსოლუტურად საკმარისი იქნება ტოსკანური გუნდის დასამარცხებლად. დიდი დანაკლისი არც "ლივორნოს" აქვს, ასე რომ, **ჯანკარლო კამოლეზეც** საბრძოლო შემადგენლობას მოუყრის თავს. დედაქალაქში "ლივორნოს" ერთადერთი თამაში აქვს მოგებული და ისიც შორეულ 1947 წელს, ბოლო სამ დაპირისპირებაში კი "ოლიმპიკოზე" ერთი გოლიც არ გაუტანია.

ქულების დაკარგვის უფლება არც "ფიორენტინას" აქვს. **ჩეზარე პრანდელის** გუნდი უპირობო ფავორიტად უნდა ჩავთვალოთ "პალერმოსთან" შეხვედრაში, რომელშიც სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშე დააკლდებათ, მეკარე **ფონტანას**, მცველ **ბარძალის**, შუახაზელ **სიმპლისიუსა** და ფორვარდ **კავანის** სახით. ფლორენციულ მატჩამდე სიცილიელები ზედიზედ ორი გამარჯვებით მივიდნენ, ურთიერთშეხვედრებში კი, "არტემიო ფრანკიზე", ბოლო 3 მატჩიდან 2 მოიგეს.

"მილანის" ყოველი საშინაო მატჩი თავისებური ინტრიგაა. თუ რატომ, ამ პრობლემაზე აღარ შევჩერდებით, უბრალოდ, პატარა სტატისტიკური შეხსენება: ამ სეზონში შინ გამართული 16 მატჩიდან "როსონერიმ" მხოლოდ 5 (!) მოიგო. თუ რას შეძლებს "რეჯინა" "სან სიროზე" (სადაც არასოდეს მოუგია), ამის თქმა ძნელია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ **კარლო ანჩელოტის** კრებული 3 ქულისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს. გუნდს **კალაძე** და **ნესტა** უბრუნდებიან, მაგრამ დისკვალიფიცირებულია **ამბროზინი**, რომელიც ადგილს **გურკუფს** დაუთმობს. წინა ხაზზე კვლავ **კაკა** და **ინძაგი** იქნებიან. "რეჯინას" რაიმე განსაკუთრებული დანაკლისი არ აქვს.

მოტივაციითაა დახუნძლული "სამპდორიასა" და "უდინეზეს" მატჩი, რომელიც ამავე დროს, სატურნირო მეზობელთა ჯახიცაა. გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსებს გაიუმჯობესებს. მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ საკადრო პრობლემების გამო მასპინძელს 3 ქულის აღება ძალიან გაუჭირდება. მცველი **გასტალდელო** და ნახევარმცველი **სამარკო** დისკვალიფიცირებულნი არიან, ძირითადი მეკარე **კასტელაცისთვის** სეზონი დასრულებულია, ასევე მწყობრიდანაა გამოსული მცველი **კამპანიარო**. უდინელთა ერთადერთი პრობლემა კი მარცხენა მცველ **ფელიპეს** ტრავმაა. ფრიულის კრებულმა გენუაში ბოლოს 2004 წელს გაიმარჯვა (3:1), ხოლო უკანასკნელი ორი მატჩი ფრედ დაასრულა.

"იუვენტუსი", რომელმაც ზედიზედ ორი მატჩი მოიგო, ბერგამოში "ატალანტას" ხვდება. მასპინძელთათვის მნიშვნელოვან შეხვედრას მათი კაპიტანი **დონი** დააკლდება. მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და ამ თამაშის გამოტოვებაც უწევს. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს არგენტინელი მცველი **ტალამონტი**. "იუვეს" დანაკლისიც საყურადღებოა: **სისოკო** და **იაკვინტა**. ორივეს ტრავმა აწუხებს. სისოკოს ადგილზე **ნოჩერინოს** დააყენებენ. სამაგიეროდ, სასტარტოში **ნედვედი** ბრუნდება. ბერგამოელებმა ტურინული გრანდი შინ ბოლოს 2001 წელს დაამარცხეს (2:1). თუმც საერთო ჯამში "ქალბატონს" სოლიდური უპირატესობა აქვს: 18 მოგება, 21 ფრე და მხოლოდ 7 მარცხი.

"პარმას" შინ სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში აქვს "ნაპოლისთან", რომელმაც "ენიო ტარდინიზე" უკანასკნელად 14 წლის წინათ გაიმარჯვა. პოსტზე მოსვლის დღიდან, **ექტორ კუპერმა** ექვს მატჩში მხოლოდ ერთხელ მოიგო. ასე რომ, გუნდს მისი ხელი ჯერ არ დასტყობია. არადა, დრო არ ითმენს. ვნახოთ, რა იქნება "ნაპოლისთან". მაგრამ კუპერს ჯერ ის აქვს საფიქრალი, რით უშველოს ამდენ ტრავმასა და დისკვალიფიკაციას. "იუვენტუსთან" ოთხშაბათის მატჩში ზღვარგადასული უხეშობისთვის (ამაზე გუშინდელ მიმოხილვაში ვწერდით) **ფერნანდო კოუტუს** 4-მატჩიანი სასჯელი გამოუწერეს. ფეხბურთის ფედერაციამ ფაქტი ვიდეოგარჩევის შედეგად დაადასტურა და ვეტერანი მცველი დამნაშავედ სცნო. ასევე დისკვალიფიცირებულია (ოღონდ, ერთი მატჩით) ბრაზილიელი ფორვარდი **რეჟინალდო**, ხოლო მეორე თავდამსხმელ **კორადის** ტრავმა აქვს. რაც შეეხება **დესენას**, რომელმაც "იუვესთან" შეხვედრაში მუხლი იტკინა, მისი თამაში საეჭვოა. პრობლემები "ნაპოლისაც" აქვს, თუმცა **ედი რეიას**, კოლეგასთან შედარებით, უფრო მშვიდი ძილის საშუალება ექნება.

"სიენა" "ჯენოას" უმასპინძლებს და 5-მატჩიანი წაუგებელი სერიის შენარჩუნებას ეცდება. მაგრამ **მარიო ბერეტასთვის**, ზედიზედ 3 ფრის შემდეგ, აუცილებელია გამარჯვებაც, რათა ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში წინ დიდი ნაბიჯი გადადგას. მას ეს ორი წამყვანი მცველის, **პორტანოვასა** (დისკვალიფიკაცია) და კაპიტან **ბერტოტოს** (ტრავმა) გარეშე მოუწევს, დაშავებულია პერსპექტიული ნახევარმცველი **დე ჩელიეც**. პრობლემები არც "ჯენოას" აკლია: ნახევარმცველ **მილანეტოსა** და მცველ **ალესანდრო ლუკარელის** მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გაუცდებათ.

კატანიაში იტალიის თასის ნახევარფინალისტთა დაპირისპირებაა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ფაქტია: "ლაციომ" ამ სიცილიურ ქალაქში ერთადერთხელ, 1961 წელს მოიგო (1:0). "კატანიამ" "ბიანკოჩელესტეს" გამწარება (3:1) შეძლო შარშანაც, როცა რომაულ კლუბს წარმატებული სეზონი ჰქონდა. **ვალტერ ძენგას** საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს, რასაც ვერ ვიტყვით მის კოლეგა **დელიო როსიზე**, რომელსაც ნახევარმცველი **მუდინგაი**, მცველი **სივილია** და ფორვარდი **ბიანკი** არ ეყოლება.

"კალიარი", რომელიც დეკემბერ-იანვარში განწირული ჩანდა, ჩემპიონატის მეორე ნაწილს მშვენივრად ატარებს და "ემპოლისაც" თუ მოუგო, უფრო უკეთ წაუვა საქმეები. მაგრამ **დავიდე ბალარდინის** 3 წამყვანი მოთამაშე ჰყავს დისკვალიფიცირებული, **კანინის, კოსუსა** და **პაროლას** სახით. **ლუიჯი კანის** საკადრო პრობლემები ნაკლებად აწუხებს. მისი მთავარი საფიქრალი გუნდის ფსიქოლოგიური მზაობაა. შეგახსენებთ, რომ პოსტზე დაბრუნების შემდეგ, კანიმ "ემპოლის" ორ მატჩში 4 ქულა მოაპოვებინა.

დაბოლოს, "ტორინო"-"ინტერი" ტურინულ კლუბში მწვრთნელ **ჯანი დე ბიაზის** ხელმეორე დებიუტი შედგება. **შოთა არველაძის** ყოფილ დამრიგებელს არ გაუმართლა: პირველი მატჩი და ეგრევე "ინტერი", თან "ტორინოს" მძიმე სატურნირო მდგომარეობაც გავითვალისწინოთ. ამას ემატება **ლანას, დი მიკელესა** და **რეკობას** დისკვალიფიკაციები, **კომოტო, ნატალი** და **პაოლო ძანეტი** კი ტრავმებს იმუშებენ. არანაკლებ სერიოზული დანაკლისი აქვს "ინტერს", რომელსაც სხვადასხვა მიზეზით **კორდობა, ფიგუ, ვიეირა** და **იბრაჰიმოვიჩი** არ ეყოლება.

საინტერესოა ამ უკანასკნელის გარშემო შექმნილი სიტუაცია, რომელიც ნელ-ნელა სკანდალის სახეს იღებს. "იბრა" შვედეთში გაემგზავრა, სადაც მკურნალობის ბოლო ეტაპს გაივლის. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სადამდე გაგრძელდება ეს ეტაპი, არავინ იცის. ზლატანი იმასაც კი ფიქრობს, სეზონის ბოლომდე "ინტერში" აღარ ითამაშოს და თავი ევროპის ჩემპიონატისთვის შემოინახოს. ბუნებრივია, "ნერაძურის" ხელმძღვანელობა შეშფოთებულია. ისინი ეჭვობენ, რომ ამაში შვედეთის ნაკრების ხელმძღვანელთა ხელი ურევია. **რობერტო მანჩინი** კი დარწმუნებულია, რომ იბრაჰიმოვიჩი დაბრუნდება მაშინვე, როგორც კი ტრავმას მოირჩენს. თუმც ნათელი იყო, რომ მომდევნო ორ მატჩში ის ისედაც ვერ ითამაშებდა. "ინტერის" თავკაცს იმედი აქვს, რომ ზლატანი მილანური დერბისთვის (4 მაისი) მომჯობინდება.



რობერტო მანჩინის იბრაჰიმოვიჩი არ ეთმობა

**გიორგი გელაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 33 | 22 | 9 | 2 | 61-21 | 75 |
| 2. რომა | 33 | 21 | 8 | 4 | 61-33 | 71 |
| 3. იუვენტუსი | 33 | 18 | 10 | 5 | 59-30 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 33 | 16 | 8 | 9 | 47-34 | 56 |
| 5. მილანი | 33 | 14 | 10 | 9 | 50-31 | 52 |
| 6. სამპდორია | 33 | 15 | 7 | 11 | 46-38 | 52 |
| 7. უდინეზე | 33 | 14 | 9 | 10 | 44-43 | 51 |
| 8. ჯენოა | 33 | 12 | 9 | 12 | 43-46 | 45 |
| 9. ნაპოლი | 33 | 12 | 7 | 14 | 43-46 | 43 |
| 10. პალერმო | 33 | 11 | 9 | 13 | 43-51 | 42 |
| 11. ლაციო | 33 | 9 | 13 | 11 | 40-41 | 41 |
| 12. ატალანტა | 33 | 10 | 11 | 12 | 46-48 | 41 |
| 13. სიენა | 33 | 8 | 14 | 11 | 35-40 | 38 |
| 14. ტორინო | 33 | 6 | 16 | 11 | 32-42 | 34 |
| 15. კატანია | 33 | 7 | 11 | 15 | 28-39 | 32 |
| 16. კალიარი | 33 | 8 | 8 | 17 | 31-51 | 32 |
| 17. პარმა | 33 | 6 | 13 | 14 | 38-51 | 31 |
| 18. რეჯინა | 33 | 6 | 12 | 15 | 28-47 | 30 |
| 19. ემპოლი | 33 | 7 | 9 | 17 | 26-46 | 30 |
| 20. ლივორნო | 33 | 6 | 11 | 16 | 30-49 | 29 |

პენსია?

# მალდინის ტრავმა, დასასრულის დასაწყისი

გუშინ, **პაოლო მალდინიმ** ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო, რაც მისი კარიერის დასრულებას შეიძლება მოასწავებდეს. "მილანის" 39 წლის კაპიტანმა, რომელიც კლუბის ლეგენდად იქცა, პენსიაში გასვლა რამდენჯერმე გადადო. შარშან, თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეს სეზონი მისთვის ბოლო იქნებოდა, მაგრამ ორიოდ კვირის წინათ მოულოდნელი განცხადება გააკეთა: ძალა ისევ მერჩის და, ალბათ, კიდევ ერთ წელიწადს ვითამაშებო, მაგრამ...

გუშინ მიღებული ტრავმა თავიდან სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ ხელმეორე გამოკვლევამ ექიმები დაარწმუნა იმაში, რომ პაოლოს ჩემპიონატის დარჩენილი მატჩების გამოტოვება მოუწევს. ამის შემდეგ კი, არ გამორიცხავენ, რომ მალდინიმ ფეხბურთზე საბოლოოდ ჩაიქნიოს ხელი და... კაბინეტში გადაინაცვლოს. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** არაერთხელ უთქვამს, ფეხბურთელობას რომ მორჩება, პაოლოს სერიოზულ პოსტს შევთავაზებთო. გალიანის აღარ დაუკონკრეტებია, თუ რომელ თანამდებობას გულისხმობდა, თუმცა ერთი რამ ნათელია: "როსონერისა" და დიდი კაპიტნის ურთიერთობა მწვანე მინდვრით არ შემოიფარგლება.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ მალდინის "მილანში" დებიუტი 1985 წლის იანვარში, სულ რაღაც 16 წლისას ჰქონდა. 23 წლის განმავლობაში მან 617-ჯერ მოირგო მილანური გრანდის მაისურა. მოქმედ ფეხბურთელებს შორის, ჯერჯერობით, ანალოგიური შედეგით ვერავინ დაიკვეხნის.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გერმანიის თასი. ფინალის წინ

# საოცნებო ფინალი ჰიტცფელდისთვის

## დღეს, ბერლინში: ბორუსია vs ბაიერნი, დონ კიხოტი vs გენერალი

დორტმუნდის "ბორუსია" დიდი ხანია, აღარ არის ის გუნდი, რომელიც გერმანიაში ამინდს ქმნის. დღეს ვესტფალიურ ექს გრანდს უამრავი პრობლემა აქვს. BVB-ს ჩავარდნა მაშინ დაეწყო, როცა გუნდის მფლანგველი ხელმძღვანელები ჩარჩოებს გასცდნენ და მილიონებს უაზროდ ხარჯავდნენ. ფინანსური კრიზისი წარსულს ჩაბარდა და "დორტმუნდი" გაკოტრებასაც გადაურჩა, მაგრამ ფეხზე ვერა და ვერ დადგა - მიუხედავად იმისა, რომ "შავ-ყვითლებს" გერმანიაში (თუ "ბაიერნს" არ ჩავთვლით), არავისზე ნაკლები გუნდი არ ჰყავთ. მაგრამ დორტმუნდის "ბორუსიის" სახელს ევროპაში დღესაც არანაკლებ პატივს სცემენ, ვიდრე "შალკეს", "ვერდერს", "ლევერკუზენს", "შტუტგარტს" ან "ჰამბურგს". დღეს ბერლინში გერმანიის თასის ფინალია და ამხელა შესავალიც იმიტომ დაგვჭირდა, რომ გაგახსენოთ, რასაც წარმოადგენს BVB, რომელიც სალამოს გერმანიის დედაქალაქში "ბაიერნს" გერმანიის თასისთვის შეებრძოლება.

ეს ფინალი განსაკუთრებულია მიუნხენური კლუბის მთავარი მწვრთნელის **ოტმარ ჰიტცფელდისთვის**, რადგან "დორტმუნდი" ის გუნდია, რომელსაც "გენერალი" 6 წლის განმავლობაში წვრთნიდა და რომელსაც მან ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. გერმანიის თასი კი, ვესტფალიელებს 1989 წლის შემდეგ აღარ მოუგიათ.

*"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "ბორუსია" ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ულამაზესი ნაწილია. იყო დრო, როცა ამ გუნდით ვარსებობდი, დღეს კი, ჩემი გული "ბაიერნს" ეკუთვნის, მაგრამ BVB ჩემთვის მაინც ერთ-ერთ უსაყვარლეს კლუბად რჩება. ეს ფინალი ჩემთვის საოცნებო და იდეალურია, რადგან ამ ფინალით წრე იკვრება - მე ხომ კლუბს არასოდეს გავწვრთნი და სიმბოლურია ის, რომ ფინალში ჩემთვის ორი უსაყვარლესი კლუბი ხვდება ერთმანეთს. როგორც არ უნდა დასრულდეს ეს თამაში, ის სიკვდილამდე მემახსოვრება!"* - ეს ჰიტცფელდის სიტყვები გახლავთ.

ოტმარი "ბორუსიას" 1991-დან 1997 წლამდე წვრთნიდა და 1998 წელს "ბაიერნში" გადაინაცვლა. ჰიტცფელდმა დორტმუნდული კლუბი პირველსავე სეზონში გერმანიის ვიცე-ჩემპიონი გახადა, მომდევნო სეზონში კი უეფას თასის ფინალში გაიყვანა, სადაც BVB "იუვენტუსთან" დამარცხდა (0:3, 1:3). 1995 და 1996 წლებში "გენერალმა" ვესტფალიელებს ორჯერ მოაგებინა გერმანიის ჩემპიონატი, 1997-ში კი, "ბორუსია" ჰიტცფელდის თავკაცობით ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. კითხვაზე, ეცოდება თუ არა თავისი ყოფილი გუნდი და უსურვებს თუ არა ფინალის მოგებას, "გენერალი" ასე პასუხობს: *"მე "ბაიერნის" მწვრთნელი ვარ!"* - და ამით ბევრი რამ არის ნათქვამი.

ოტმარს თავისი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში 16 ტიტული აქვს მოგებული და ბოლო სეზონში ჰეთ-თრიკის შესრულება სურს. სამიდან ერთ-ერთი მიზანი კი, სწორედ გერმანიის თასის მოგებაა. სამივე ტიტულის მოგების შემთხვევაში, ჰიტცფელდი პირველი გერმანელი მწვრთნელი იქნება, რომელიც ჰეთ-თრიკს შეასრულებს და ისედაც ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან გერმანელ მწვრთნელს ამ რეკორდის დამყარებაც სურს.

"ბორუსიისთვის" დღევანდელი ფინალი გარდამტეხი უნდა იყოს. დამარცხების შემთხვევაში დიდი შანსია, რომ დორტმუნდელთა მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** პოსტი დაატოვებინონ. ესეც არ იყოს, ვესტფალიელებმა ეს ტიტული ბოლოს 1989 წელს მოიგეს (მაშინ, ფინალში "ვერდერი" 4:1 გაანადგურეს) და თუ დღესაც გაიმარჯვებენ, ვინიცობაა, ეს ტრიუმფი გუნდისთვის ახალი, კარგი დროების დასაწყისი გახდეს.

საინტერესო დამთხვევაა ის, რომ "დორტმუნდი" 19 წლის წინაც მძიმე მდგომარეობაში იყო და თასის ფინალში, ბრემენელი "მუსიკოსების" წინააღმდეგ, აუტსაიდერის სტატუსით წარდგა, მაგრამ სენსაცია მოახდინა. BVB-ს მდგომარეობა ზედიზედ ორი სამარცხვინო მარცხის შემდეგ ("ბაიერნთან" 0:5 და "ჰანოვერთან" 1:3), კიდევ უფრო დამძიმდა. *"როდესაც სატურნირო ცხრილს ვუყურებ და ვხედავ, რომ პროგრესი ოდნავადაც არ ჩანს, დეპრესია მეწყება. თასის ფინალიც რომ წავაგოთ, ძალიან სამარცხვინო სიტუაციაში აღმოვჩნდებით,"* - ეს "ბორუსიის" პრეზიდენტ **რაინჰარდ რაუბალის** სიტყვებია, რომელიც იმედოვნებს, რომ 2008 წლის 19 აპრილი BVB-სთვის "ოქროს ხანის" დასაწყისი იქნება. ზუსტად ისე, როგორც 1989 წლის 24 ივნისი გახდა უაღრესად წარმატებული პერიოდის დასაწყისი.


ვის დარჩება გერმანიის თასი?

| ბორუსია(დ)-ბაიერნი |
|---|
| ბერლინი. ოლიმპიაშტადიონი |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია (დ):** ჰიოთეკე (ან ციგლერი) - რუკავინა, ვიორნსი, ჰუმელსი, დედე - კელი - ბლაჟჩიკოვსკი, კრინგე - ტინგა (ან ფედერიკო) - ფრაი, პეტრიჩი.

**ბაიერნი:** კანი - ლელი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი - შვაინშტაიგერი, ზე რობერტო, ვან ბომელი, რიბერი - კლოზე, ტონი.

**მსაჯი:** კნუტ კირხერი (როტენბურგი)

**გზა ფინალამდე**

ბორუსია (დ)

**პირველი ეტაპი:** მაგდებურგი- ბორუსია 1:4, **მეორე ეტაპი:** ბორუსია-აინტრახტი 2:1, **1/8 ფინალი:** ბორუსია-ვერდერი 2:1, **1/4 ფინალი:** ბორუსია-ჰოფენჰაიმი 3:1, **1/2 ფინალი:** ბორუსია-კარლ ცაისი 3:0.

ბაიერნი

**პირველი ეტაპი:** ბურგჰაუზენი-ბაიერნი 1:1, 3:4 პენ, **მეორე ეტაპი:** ბაიერნი-ბორუსია (მ) 3:1, **1/8 ფინალი:** ვუპერტალი-ბაიერნი 2:5, **1/4 ფინალი:** ბაიერნი-მიუნხენი 0:0, 1:0 დ.დ, **1/2 ფინალი:** ბაიერნი-ვოლფსბურგი 2:0.

**თომას დოლი (ბორუსია დ):** *"როცა მიწაზე ხარ დაცემული, ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ წამოდგე. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ფინალი მოვიგოთ და ფანები გავახაროთ. მინდა, რომ ჩემმა შეგირდებმა გაიხსენონ, რატომ გახდნენ ფეხბურთელები."*

**ოტმარ ჰიტცფელდი (ბაიერნი):** *"ფინალში ფავორიტი არ არსებობს. ჩვენ ვიცით, რომ რთული თამაში გველის, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიგოთ."*

ინტერვიუ ოლივერ კანთან

# ბაიერნი ყოველთვის ფავორიტია, მაგრამ...

## თუ საჭირო გახდა, ბორუსიის საჯარიმოში ტიტანიც ჩავა

ოლივერ კანს გერმანიის თასის ექვს ფინალში უთამაშია და ამ ექვსი ფინალიდან, ვეტერან მეკარეს 5 მოგებული აქვს. თუკი მიუნხენელები ამ ტიტულს დღესაც დაეუფლებიან, კანი რეკორდსმენი გახდება - გერმანიის თასი 6-ჯერ არცერთ ფეხბურთელს არ მოუგია. ცოტა არ იყოს, გასაკვირია ის ფაქტი, რომ კანს ყველაზე მეტად მაინცდამაინც წაგებული ფინალი დაამახსოვრდა: 1999 წელს, "ბაიერნი" "ვერდერთან" პენალტების სერიაში დამარცხდა. გუშინ "კიკერმა" ტიტანის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

**- ჰერ კან, კარიერაში მეხუთედ გეძლევათ დუბლის შესრულების შესაძლებლობა, ხოლო გერმანიის თასს კი მეექვსედ უმიზნებთ. გიხარიათ?**

- რა თქმა უნდა. ფინალის წინ ყოველთვის არანორმალურად მონდომებული ვარ ხოლმე.

**- გერმანიის თასის ექვს ფინალში გითამაშიათ. რომელი მათგანი იყო თქვენთვის ყველაზე განსაკუთრებული?**

- სასაცილოა, მაგრამ 1999 წლის ფინალი, რომელიც წავაგეთ. იმ სეზონში "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ტრაგიკულად დამარცხდა და საერთოდ, ის სეზონი იყო და ყოველთვის იქნება ჩემთვის ყველაზე განსაკუთრებული. ვფიქრობ, მაშინ "მანჩესტერთან" რომ არ წაგვეგო, არც "ვერდერთან" წავაგებდით.

**- და რეკორდმაისტერს ჰეთ-თრიკის შესრულება მაშინაც შეეძლო...**

- ჰო, ჰეთ-თრიკთან ძალიან ახლოს ვიყავით. ამიტომაცაა, დღეს კომენტარებისას ძალიან რომ ვფრთხილობ. კარგად ვიცი, რომ ფავორიტობა ფეხბურთში არაფერს ნიშნავს. შესაძლოა, მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან კარგად ითამაშო და სამივე ფრონტის მოგების იდეალური შანსი გქონდეს, მაგრამ სამივე ტიტული ძალიან სწრაფად დაკარგო. დამერწმუნეთ, ყველაზე რთული სწორედ გერმანიის თასის ფინალის მოგება იქნება. სისულელეა იმის მტკიცება, რომ რაკი ერთი კვირის წინათ "დორტმუნდი" 5:0 გავანადგურეთ, ახლაც იოლად გავიმარჯვებთ. მეტოქე დაუნდობელი იქნება - დორტმუნდელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ერთგულ ქომაგებს ერთი კვირის წინანდელისთვის ბოდიში მოუხადონ.

**- მაგრამ იმას ხომ არ უარყოფთ, რომ ფავორიტები ხართ?**

- "ბაიერნი" ყოველთვის ფავორიტია.

**- შესანიშნავი შანსი გაქვთ, რომ კიდევ ერთი რეკორდი დაამყაროთ...**


ოლივერ კანისთვის ეს რიგით მეშვიდე ფინალია. ტიტანს გერმანიის თასი ხუთჯერ აქვს მოგებული

- საერთოდ, სტატისტიკა ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ რეკორდის დამყარების სურვილი, რა თქმა უნდა, მაქვს.

**- "ბაიერნს" "ხეტაფესთან" ძალიან ემოციური მატჩი ჰქონდა და როგორ ფიქრობთ, ამაზე უფრო ემოციური შეხვედრა კიდევ გექნებათ?**

- წინასწარ ამის თქმა შეუძლებელია. 2001 წელს, როცა გერმანიის ჩემპიონები ბოლო წამს გავხდით, ყველას გვეგონა, რომ იმ სეზონში ამაზე ემოციური მომენტი აღარ დადგებოდა, მაგრამ მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოვიგეთ. ისე კი, ვისურვებდი, რომ სანერვიულო არ მქონდეს. ნერვების წყვეტა ნამდვილად აღარ მჭირდება.

**- თასის ფინალებიდან განსაკუთრებით მძიმე მომენტები თუ გახსენდებათ?**

- არა, რადგან "ბაიერნი" გერმანიის თასის ფინალს თითქმის ყოველთვის დამაჯერებლად იგებდა.

**- დავუშვათ, რეკორდმაისტერს გაუჭირდა. ბოლო წუთებში მეტოქის საჯარიმოში გიხილავთ?**

- იმედი მაქვს, რომ ამ სეზონში მეტოქის საჯარიმოში ჩასვლა არ მომიწევს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, გოლის გატანაც, რა თქმა უნდა, მეც შევეცდები.

### დოლი, როგორც დონ კიხოტი

თომას დოლი იბრძვის და არ ნებდება - ისევე, როგორც "ჰამბურგში" იბრძოდა წელინადნახევრის წინათ. იბრძვის და ცდილობს, განადგურებული გუნდი ფეხზე წამოაყენოს. და რაც მთავარია: 0:5-ისა და 1:3-ის შემდეგ, თომასი თვითგადარჩენისთვისაც იბრძვის - მორიგი მარცხის შემთხვევაში მას უმუშევრად დარჩენის საფრთხე დაემუქრება. დოლმა ახალი კონტრაქტი (2010 წლამდე) 2 თვის წინ გააფორმა, მაგრამ დღეს მას მუშაობის გაგრძელების გარანტიას მხოლოდ თასის ფინალის მოგება თუ მისცემს.

იმისათვის, რომ ფინალის წინ ქაოსი თავიდან აერიდებინათ, "ბორუსიის" შეფებმა განაცხადეს, მწვრთნელი სკამზე მყარად ზის და გაგდების საფრთხე არ ემუქრებაო. მაგრამ ფაქტია, რომ კიდევ ერთი წაგების შემთხვევაში, არცერთი არგუმენტი აღარ შერჩებათ იმისათვის, რომ თომასს თანამდებობა შეუნარჩუნონ.

არადა, ამ სეზონის დაწყებამდე დორტმუნდში დიდი ეიფორია იყო. საერთოდ, "ვესტფალენშტადიონს" ქომაგი არასდროს აკლდა და 80 000-იანი ტრიბუნები თითქმის ყოველთვის პირთამდე ივსებოდა. ამ სეზონის წინ კი, პირველ ვარჯიშზე 13 000 (!) მაყურებელი მივიდა - ხაზს ვუსვამთ, ვ ა რ ჯ ი შ ზ ე! მერე კი, BVB-მ 50 549 სეზონური აბონემენტი გაყიდა და ამით თავისივე რეკორდი გააუმჯობესა. რა დარჩა იმ ეიფორიიდან? კიდევ ერთი ჩაგდებული სეზონი და დორტმუნდელი ფანების ერთადერთი იმედი: თასის ფინალი. "ბაიერნთან" და "ჰანოვერთან" წაგებების შემდეგ კი, "დორტმუნდი" მთელი საფეხბურთო გერმანიის დასაცინი გახდა და გასავარდნ ზონას ოდენ 7 ქულალა აშორებს.

დოლი კი იბრძვის და არ ნებდება - ზუსტად ისე, როგორც დონ კიხოტი ებრძოდა ქარის წისქვილებს...

### ტონის რეკორდის შანსი აქვს

საინტერესოა, რამდენად შეძლებს დორტმუნდელმა ფეხბურთელმა 0:5-ის დავიწყება. დღეს "ბორუსიის" გამარჯვება ნამდვილი სენსაცია იქნება და ლამისაა, მცირე სხვაობით წაგებაც კი მოულოდნელობად ჩაითვალოს, რადგან დღეს ყველა რეკორდმაისტერის იოლ გასეირნებას და შესაძლოა, მორიგ 5:0-საც კი ელის. დღემდე, გერმანიის თასის ფინალში ყველაზე დიდი ანგარიში 1972 წელს დაფიქსირდა, როცა "შალკემ" "კაიზერსლაუტერნი" 5:0 გაანადგურა.

ბავარიელთა გოლეადორმა **ლუკა ტონიმ** თავისი ბოლო და კარიერის უმნიშვნელოვანესი, ყველა ფეხბურთელისთვის საოცნებო ტიტული მსოფლიოს ჩემპიონობა ორი წლის წინათ, სწორედ ბერლინში მოიპოვა. ახლა კი, შანსი აქვს, "ოლიმპიაშტადიონიდან" ისევ ბედნიერი გაბრუნდეს. ლუკა იდეალურ ფორმაშია - წინა კვირას "ბორუსიასაც" დუბლი შეუსრულა და მერე, ოთხშაბათსაც ორი გოლი გაიტანა (აინტრახტთან). ფაქტია, რომ BVB-ს უსუსტეს მცველებს მასთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდებათ. დღეს ტონის შესანიშნავი შანსი აქვს, რომ თასის ფინალში გატანილი გოლების მხრივ რეკორდი გაიმეოროს ან გააუმჯობესოს. ეს რეკორდი დღეისათვის ორ ფეხბურთელს ეკუთვნის: ბაიერნელმა **როლანდ ვოლფარტმა** 1986 წელს თასის ფინალში "შტუტგარტთან" (5:2) ჰეთ-თრიკი შეასრულა. მანამდე კი, 1963 წელს, თასის ფინალში **უვე ზეელერმაც** სამი გოლი გაიტანა (ჰამბურგი-დორტმუნდი 3:0).

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარდიფ სიტი

# ლურჯი ფრინველი

## ოდესღაც უელსურ კლუბს ინგლისის ჩემპიონატის მოგებაც შეეძლო...

"კარდიფ სიტი" დღემდე ერთადერთი არაინგლისური კლუბია, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უძველესი საფეხბურთო ტურნირი, ინგლისის თასის გათამაშება მოუგია. ეს შორეულ 1927 წელს მოხდა. იმავე წელს გუნდი „ჩერითი შილდსაც" დაეუფლა. 1924 წელს კი დრამატულად დაკარგა ინგლისის ჩემპიონის ტიტული. „კარდიფი"1967-68 წლების თასების თასის ნახევარფინალისტია. კლუბი უელსის თასის 22-გზის მფლობელია (უკანასკნელად 1993 წელს). ეს "კარდიფ სიტი" და მისი ისტორიაა, რაზეც ახლა მოკლედ ვისაუბრებთ. აქვე მოგიყვებით, თუ რატომ უწოდებენ გულშემატკივრები მას მეტად რომანტიკულ სახელ "ლურჯ ფრინველს".

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ბრისტოლელ მხატვარ **ბარტ უილსონს**, ვინც ცხოვრებით კარდიფში ცხოვრობდა, გონებაში ორიგინალური იდეა დაებადა. თუ არ იცით, მოგახსენებთ, რომ უელსი სარაგბო ქვეყანა უფროა, ვიდრე საფეხბურთო, სამხრეთი უელსი მით უფრო და ამ ქალაქში არსებობდა კრიკეტის კლუბი "რივერსაიდი", რომლის მოთამაშეები ზამთრის პაუზისას ფორმას კარგავდნენ. სწორედ იმისთვის, რომ სპორტსმენებს ფორმა არ დაეკარგათ ხოლმე, უილსონმა საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბება გადაწყვიტა, სადაც სწორედ კრიკეტის მოთამაშეებს უნდა ეთამაშათ. ასე დაარსდა კარდიფში საფეხბურთო კლუბი.

უილსონი გარდა სამხატვრო ნიჭისა, დიდი საორგანიზაციო უნარითაც გამოირჩეოდა. საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბებიდან 10 წლის თავზე "რივერსაიდმა" პროფესიული სტატუსი მიიღო, ხოლო 1908 წელს ამბიციური სახელი დაირქვა - "კარდიფ სიტი". გეტყვით, რომ თავად კარდიფმა ქალაქის სტატუსი მხოლოდ 1905 წელს მიიღო. 1910 წელს კლუბი სათამაშოდ ახალ სტადიონზე გადავიდა, რომელიც ძველი სანაგვის ადგილად აღიმართა, თუმცა ამას, განა, რამე მნიშვნელობა აქვს? არენას "ნინიან პარკი" უწოდეს, იმ ლორდის საპატივცემულოდ, ვინც უილსონს სტადიონის მშენებლობაში დიდად ეხმარებოდა.

კლუბის ცხოვრების ამავე ეტაპს უკავშირდება გუნდის მეტსახელი "ლურჯი ფრინველი". კარდიფის ერთ-ერთ დრამატულ თეატრში 1911 წელს დადგეს ცნობილი ბელგიელი დრამატურგის **მორის მეტერლინკის** პიესა ამავე სახელწოდებით. ნაწარმოების მთავარი გმირი სწორედ ფრინველია, ვინც ოცნებობს თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე, ცარიელ გალიაზე და ყველაფერ იმ დაფარულზე, რაც ცხოვრების ზედაპირზე არ ჩანს. ეტყობა, ერთ-ერთი გულშემატკივრის ასოციაციურმა აზროვნებამ ნაწარმოები და საყვარელი კლუბი ერთმანეთს დააკავშირა, რადგან "კარდიფს" მაისურებზე ლურჯი ზოლი დასდევდა. ასე შერჩა საფეხბურთო კლუბს ეს მეტად უჩვეულო სახელი.

მას შემდეგ, რაც "კარდიფმა" პროფესიული სტატუსი შეიძინა და ამბიციებიც მოუმძლავრდა, მას შემდეგ, რაც უელსის საფეხბურთო დონემ ეს კლუბი ვერ დააკმაყოფილა, ის ინგლისის საფეხბურთო ლიგაში გადაბარგდა და თამაში ქვედა ლიგებიდან დაიწყო.



უელსელები შეეცდებიან, საუცხოო სეზონი მეზობელი ქვეყნის თასის მოპოვებით დააგვირგვინონ

კლუბი იმდენად დამაჯერებლად თამაშობდა, რომ 1920 წელს ინგლისის მეორე ლიგიდან მოწვევა მიიღო. პირველივე მცდელობიდან კლუბმა ელიტის საგზური მოიპოვა. ეს დრო კლუბის ისტორიაში მართლა საუკეთესო იყო. წარმოიდგინეთ, უელსელებმა ინგლისის ჩემპიონობა ხელიდან გაუშვეს. 41 ტურის შემდეგ ცხრილში შემდეგი მდგომარეობა იყო, პირველზე იყო "კარდიფ სიტი", რომელსაც ბოლო ტურში, ბირმინგემში გასვლითი მატჩი ელოდა, მეორეზე კი "ჰადერსფილდი" იყო, ვისაც გადამწყვეტ ტურში შინ "ნოტინგემ ფორესტი" უნდა მიეღო. ამ უკანასკნელებმა საკუთარი ამოცანა შეასრულეს და სტუმარი 3:0 გაანადგურეს. ჯერი "კარდიფზე" იყო. თამაში 0:0 დასრულდა და რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, უელსელების ერთ-ერთმა ლიდერმა **ლინ დევისმა** პენალტი გააფუჭა. ჩავხედოთ სატურნირო ცხრილს: "ჰადერსფილდი" 42 თამაში, 23 მოგება, 11 ფრე, 8 წაგება, "კარდიფ სიტი" 42 თამაში, 22 მოგება, 13 ფრე, 7 წაგება. ორივეს 57-57 ქულა დაუგროვდა. ბურთების ბალანსი პირველებს - 60 გატანილი, 33 გაშვებული (ანუ პლუს 27), უკანასკნელებს - 61 გატანილი, 34 გაშვებული (აქაც პლუს 27). სიტუაცია დრამატულია. აქ კი საქმეში კოეფიციენტი ჩაერია, რომელიც "ჰადერსფილდს" 1.82 აღმოაჩნდა, ხოლო "სიტის" 1.79.

სამი წლის შემდეგ, "კარდიფ სიტი" უკვე გახდა ინგლისური ტიტულის მფლობელი, მართალია თასის, მაგრამ ესეც დიდი მიღწევა იყო. გზად უელსელებმა ჩამოიშორეს ისეთი ტრადიციული ინგლისური კლუბები, როგორებიც იყვნენ "ასტონ ვილა", "ბოლტონი", "ჩელსი" და "რედინგი". ფინალში კი ლონდონის "არსენალს" გადაეყარნენ. "კარდიფი"-"არსენალის" მატჩი ისტორიაში იმითიც შევიდა, რომ ეს იყო ინგლისის თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი, რომლის რადიორეპორტაჟიც პირდაპირ ეთერში გადაიცა. ხოლო თამაშის უმნიშვნელოვანესი კადრები კინოკამერამაც გადაიღო და გულშემატკივრებს მისი მოძიება არქივში შეუძლიათ. ტიტულის ბედი **ჰიუგი ფერგიუსონის** ერთმა ზუსტმა დარტყმამ და ლონდონელთა მეკარე **დენ ლუისის** შეცდომამ გადაწყვიტა.

გარდიანის სვეტი

# პენალტი, ნამდვილი პარადოქსი

## გამოცდილი დევიდ ჯეიმსის რჩევები მათ, ვინც მომავალში 11-მეტრიანების აღებას ან გატანას აპირებს...

"პორტსმუთის" მეკარე და "გარდიანის" მესვეტე დევიდ ჯეიმსი დამწყებ ფეხბურთელებსა და არამხოლოდ მათ, დაწვრილებით უხსნის პენალტის დარტყმისა და მოგერიების ნიუანსებს, ის აღფრთოვანებას გამოთქვამს 11-ეტრიანის შესრულების ერიკ კანტონასეული ტექნიკით და იხსენებს იფსვიჩელ კოლეგა-გმირს. სვეტი ბრიტანულ გაზეთში რამდენიმე კვირის წინათ გამოქვეყნდა, მაგრამ გარდა მაშინდელი აქტუალური თემებისა, საკმაოდ საინტერესო ზოგად პრობლემებზე საუბრობს. მაშ ასე:

რა კვირა მქონდა! სუფთა ამერიკული მთები! ჯერ ნაკრებში პენალტი ავიკიდე, რამაც ძალიან დამთრგუნა, 4 დღის შემდეგ, "ვიგანთან" მოგებულ მატჩში პენალტი მოვიგერიე. პენალტები თავიდან არ ამომდიოდა არც თასის ნახევარფინალური მატჩის დროს, "ვესტ ბრომვიჩთან": უკანასკნელად ამ სტადიაზე "ასტონ ვილის" შემადგენლობაში ვითამაშე და მაშინ "ბოლტონი" სწორედ 11-მეტრიანებით დავამარცხეთ.

ნერვიულობენ თუ არა მეკარეები დარტყმისას? მე არა, უფრო სწორად, უკვე აღარ! პარიზის მატჩში ნერვები იმაზე მომეშალა, რომ ფრანგებს ეს დაწყევლილი პენალტი მე ვაჩუქე. სანაკრებო მატჩებისას პენალტი არასოდეს ამიღია, რაც ჩემს თავმოყვარეობას მოსვენებას არ აძლევს. 2004 წელს, პორტუგალიასთან **რუი კოშტამ** ვერ გამიტანა, მაგრამ მან ბურთი კარს ააცილა და ჩათვლით თუ არა ამას აღებულ პენალტად, თქვენი გადასაწყვეტია.

საერთოდ, ეს საჯარიმო დარტყმა პარადოქსული რამაა. თუკი დანიშვნაში თავად ხარ დამნაშავე და მერე გაუშვი კიდეც, ასეთი შეცდომა შენი კოშმარია. ყველაფერში დამნაშავე ხარ. ხოლო თუკი პენალტი მინდვრის მოთამაშემ "მოიპოვა" და შენ გაუშვი, ეს კიდევ უარესია, ახლავე აგიხსნით, რატომ. ყოველთვის ადვილი წარმოსადგენია შენი პარტნიორის სახე, რომელიც იმედით შემოგყურებს და წამის შემდეგ სახეზე ფერი აღარ ადევს. არა, რა! ამას მართლა მირჩევნია, ყველაფერში დამნაშავე თავად ვიყო. მესმის, რომ უცნაურად ჟღერს, მაგრამ მაინც ასე მირჩევნია.



29 მარტი. პორტსმუთი-ვიგანი. დევიდ ჯეიმსი რაიან ტეილორის პენალტს იგერიებს

პენალტების შესრულების ისეთ დიდოსტატთან გამკლავება, როგორიც **ერიკ კანტონა** გახლდათ, შეუძლებელი იყო. მისი ტექნიკა იმდენად სრულყოფილი იყო, რომ დარტყმის შემდეგ სიცილი გინდებოდა. გამორბოდა ძალიან ნელა და გზა და გზა ყველაფერს აკონტროლებდა. შენ კი განწირული იდექი კარის ხაზზე, კანტო უყურებდა შენს მუხლებს და მაშინვე, როცა რომელიმე მუხლს მოხრიდი, უმალ საწინააღმდეგო კუთხეში ურტყამდა. მეკარისთვის მოხრილი მუხლი, ეს ისეთი წერტილია, საიდანაც შემობრუნება უკვე შეუძლებელი ხდება.

უმთავრეს როლს პენალტის დარტყმის მომენტში ფსიქოლოგია თამაშობს. დუელის მონაწილეები ერთმანეთის სხეულის ენის გამოცნობას ცდილობენ. ყველაზე ცბიერები კი ერთმანეთის ცრუ ილეთებით მოტყუებას ესწრაფვიან. მეკარისგან გმირობას არავინ ელის, მაგრამ განა - შესაძლებელია, რომ გმირობა არ გინდოდეს?

როგორ ვიგერიებთ მეკარეები პენალტს? **დევიდ სიმენი** ამბობდა, რომ მას თავისი ტექნიკა ჰქონდა დამუშავებული, მაგრამ კარიერა ისე დაასრულა, ამაზე მეტი არც არაფერი უთქვამს. ყველაზე მაგარი კი ამ საქმეში "იფსვიჩის" მეკარე **პოლ კუპერი** იყო, ვინც 1979-80 წლების სეზონში მის კარში დანიშნული 9 პენალტიდან 8 მოიგერია. მაშინდელ მეკარეებს ხაზზე მოძრაობა ეკრძალებოდათ და პოლი ხელებს იქნევდა ხოლმე და ტანს აქეთ-იქით ამოძრავებდა, ცოტა უცნაური ტექნიკა გახლავთ, მაგრამ მაინც მუშაობდა.

ხანდახან პენალტებს ჩვენ ინსტინქტურად ვილებთ. ასე მოხდა "ვიგანთან" მატჩშიც. როცა მსაჯმა ხელი გაიშვირა, გავიფიქრე, "ო, ღმერთო ჩემო, ნუთუ ისევ?". მერე როცა **რაიან ტეილორმა** ბურთი წერტილზე დადო, გავიფიქრე, მე ვიცი, სადაც დაარტყამს ბურთს. ასეთ დროს უმთავრესია, რომ მოძრაობა დროზე ადრე არ დაიწყო. მეც ასე მოვიქეცი და მართალი აღმოვჩნდი. საინტერესოა ხოლმე, როცა ყოფილი და ნაკრებში შენი თანაგუნდელები გირტყამენ 11-მეტრიანს. ფიქრობ, რომ მათს ტექნიკაზე ყველაფერი იცი, მაგრამ ამ დროს არ უნდა დაივიწყო, რომ მეტოქემაც თითქმის ყველაფერი იცის შენზე. სწორედ ასე მოხდა შარშან, როცა აზია ტროფიზე "ლივერპულს" შევხვდით. ჯერი **სტივი ჯერარდზე** მიდგა. მომიახლოვდა და სწორედ იმ ფიქრებმა შემაწუხა, ზემოთ რომ აღვწერე. მოკლედ, მე, სტივი და ფიქრები ვართ. გამიტანა, მაგრამ სერია მაინც ჩვენ მოვიგეთ 4:2.

ხშირად, მეკითხებიან ხოლმე, რატომ არ ვვარჯიშობთ ნაკრებში პენალტებზე უფრო მეტს. მარტივად გეტყვით, კაპელოს მოსვლის შემდეგ ამ კომპონენტზე ვარჯიში გავზარდეთ, მაგრამ აქ ერთი მცირე დეტალია გასათვალისწინებელი. თუკი დიდი ხნის განმავლობაში ფეხბურთელი ერთსა და იმავე მეკარეს ურტყამს პენალტებს, ეს უკანასკნელი სწავლობს ფეხბურთელის დარტყმის ტექნიკას და მოგერიებისა თუ აღების შანსი მეტი და მეტი უხდება. ხოლო რაც მეტ პენალტს გააფუჭებს ფეხბურთელი, მით უფრო მეტად დაკომპლექსდება ის. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია. თავად მეკარისთვისაც არაა ადვილი შეჩვეული დარტყმის შემდეგ უცნობ ტექნიკასთან გამკლავება. ყოველი ახალი დამრტყმელი საქმის ახლიდან დაწყებას უდრის. იცით, ასე მოხდა ევრო 2004-ზე. როცა ჩემს კარში **ზიდანმა** გადაწყვიტა დარტყმა. მას ნაკრებში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პენალტი შესრულებული არ ჰქონდა და პატარა ბავშვივით დავიბენი. რა უნდა მექნა, წარმოდგენა არ მქონდა. ისიც გამოიქცა და გამიტანა.

"ლივერპულში" რაღაც პერიოდი ძალიან კარგად გამომდიოდა პენალტების მოგერიება, იქამდე, ვიდრე ერთმა ჟურნალისტმა სპეციალურად არ აღნიშნა, რომ ამ საქმეში ძალიან მაგარი ვიყავი. ამის თქმიდან სრული ორი წელიწადი ისე გაილია, პენალტი ვერ მოვიგერიე, აი, მაშინღა ვიწამე ავი თვალისა და სხვა ათასი სისულელის. დიდი ხანი იყო გასული, რაც იმ ჟურნალისტს ხმა მეორედ გავეცი. ფეხბურთელმა შეიძლება მოიფიქროს მილიონი საშუალება პენალტის დასარტყმელად და, რა თქმა უნდა, პატარ-პატარა საიდუმლოებები მეც მაქვს ჩემთვის. უმრავლეს შემთხვევაში კი ყველაფერი ძალიან მარტივად წყდება ან გიმართლებს, ან – არა. დამწყებ პენალტისტებს კი ერთს ვურჩევ, დაარტყით რაც ძალა და ღონე გაქვთ. უკიდურეს შემთხვევაში ამაზე ფიქრით თქვენ ტვინს მაინც არ აიტკიებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტურის წინ

# მანჩესტერი: კიდევ ერთი ნაბიჯი ტიტულისკენ?

## ლივერპული ჩელსისთან მატჩისათვის მოემზადება

**დღეს**

არსენალი-რედინგი
ფულჰემი-ლივერპული
მიდლსბრო-ბოლტონი
ვესტ ჰემი-დერბი
ვიგანი-ტოტენჰემი
ბლექბერნი-მანჩესტერ იუნ.

**ხვალ**

ასტონ ვილა-ბირმინგემი
ნიუკასლი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი

"მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონობისაკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს, თუ დღეს "ბლექბერნს" დაამარცხებს. ასეთ შემთხვევაში, სხვაობა მასა და "ჩელსის" შორის ისევ ხუთი ქულა გახდება ჩემპიონატის დასრულებამდე კი მხოლოდ სამი მატჩი იქნება დარჩენილი — მათ შორის, გრანდების დუელი 26 აპრილს. მომავალ უქმეებზე თამაშს "სტემფორდ ბრიჯი" უმასპინძლებს.

"ჩელსიმ" 35-ე ტურის მატჩი ხუთშაბათს, ნაადრევად ჩაატარა. მან სტუმრად "ევერტონს" მოუგო და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. სხვაობა აღარ იქნებოდა, "არისტოკრატებს" რომ გასულ უქმეებზე იალლიში არ მოსვლოდათ — შეგახსენებთ, "ვიგანმა" მსაჯისაგან წამატებულ წუთებზე გაათანაბრა და ლონდონელებს ორი ქულა აართვა.

"იუნაიტედს" 34 მატჩის შემდეგ 80 ქულა აქვს, "ჩელსიმ" 35 შეხვედრაში 78 ქულა დააგროვა. თუ "ეშმაკები" "ბლექბერნის" შემდეგ, დედაქალაქელებსაც მოუგებენ, ჩემპიონები გახდებიან, მაგრამ "იუნაიტედის" გამოცდილი თავკაცი ფრთხილობს. **სერ ალექს ფერგიუსონმა** იცის, რომ რბოლა ჯერ არ დამთავრებულა: *"კარგი შანსი გვაქვს, მაგრამ ამ შანსს გამოყენება უნდა. ზეიმამდე რამდენიმე ძნელი მატჩი გვაქვს - სტუმრად "ბლექბერნთან", "ჩელსისა" და "ვიგანთან". ხომ შეიძლება, "ჩელსისთან" დავმარცხდეთ? ისიც ხომ შეიძლება, რომ სამივე თამაში წავაგოთ? პრემიერლიგა ურთულესი ტურნირია. აქ ადვილი მატჩები არ არსებობს."*

ოთხშაბათს "იუნაიტედი" "ბარსელონას" ეთამაშება. ფერგიმ უნდა გადაწყვიტოს, დაასვენოს თუ არა "ბლექბერნთან" წამყვან მოთამაშეებს. მწვრთნელს დიდი სიფრთხილე მართებს. სტატისტიკის თანახმად, "ეშმაკებმა" "ივუდ პარკზე" ბოლო შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს.

"მანჩესტერს" **ნემანია ვიდიჩი** გამოუჯანმრთელდა. სამმატჩიანი პაუზის შემდეგ სერბი მცველი, შეიძლება, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ. მწყობრშია **დარენ ფლეტჩერიც**. შოტლანდიელ ნახევარმცველს ექვსი თამაში გაუცდა. დღეს მას განაცხადში შეიყვანენ.

მომავალ კვირაში "ჩელსისაც" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი ელის. ის "ენფილდ როუდზე" ჩავა. ხუთშაბათს, როდესაც "არისტოკრატებმა" "ევერტონი" დაამარცხეს, ამით "ლივერპულს" გაუწიეს სამსახური. "ევერტონი" ხომ თანაქალაქელთა კონკურენტი იყო მეოთხე ადგილისათვის ბრძოლაში.

"ლივერპული" "ფულჰემს" ეთამაშება. იმის გამო, რომ მერსისაიდელებს მეოთხე საფეხური მტკიცედ უჭირავთ, "ქრევენ კოტიჯზე" შესუსტებულ შემადგენლობაში გაიყვანენ. **ფერნანდო ტორესი** და **სტივ ჯერარდი** თადარიგში იქნებიან. ისინი ძალებს "ჩელსის" სტუმრობისათვის შეინახავენ. გამოჯანმრთელდა **ჯერმეინ პენანტი**. **ხავიერ მასკერანომ** კი სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.



რაფა ბენიტესი სტივ ჯერარდსა და ფერნანდო ტორესს ჩელსისთან მატჩისათვის შემოინახავს

თუ "ლივერპული" გაიმარჯვებს, მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური, ფაქტობრივად, მათი საკუთრება გახდება. "ევერტონი" ამ საგზურის დაუფლების თეორიულ შანსლა შეინარჩუნებს. ერთი წლის წინათ, "ფულჰემმა" სტუმრად ჩასული "ლივერპული" ხელცარიელი გაუშვა შინ. ლონდონელებმა მაშინდელი მიღწევა უნდა გაიმეორონ, თორემ პრემიერლიგაში დარჩენა გაუჭირდებათო. მათ სული ისედაც ძლივს უდგათ პირში. "ფულჰემს" ფინელი მეკარე **ანტი ნიემი** გამოუჯანმრთელდა. მან აქილევსის მყესის ტრავმა მოიშუშა.

მოვლენები საინტერესოდ ვითარდება ცხრილის ქვედა ნაწილშიც. "ბოლტონს" უსაფრთხო ზონისაგან ორი ქულა აშორებს. დღეს ის ცხრილის შუაგულში მოკალათებულ "მიდლსბროს" ესტუმრება. "ბირმინგემს" "ასტონ ვილასთან" საკვირაო დერბი ელის. მანაც უნდა გაიმარჯვოს, თუ არ სურს, რომ პრობლემები შეექმნას. "ბოლტონმა" ერთი კვირის წინათ "ვესტ ჰემი" დაამარცხა. დღეს მას, იმ მატჩში გადამწყვეტი გოლის ავტორი, **კევინ დევისი** გამოაკლდება. ის დისკვალიფიკაციას იხდის.

გასავარდნი ზონის სიახლოვეს იმყოფება "ვიგანი" — წინა ტურის გმირი, რომელმაც "სტემფორდ ბრიჯზე" ერთი ქულა მოიპოვა. დღეს ის კიდევ ერთ ლონდონელ პრეტენდენტს, "ტოტენჰემს" შეხვდება. "მამლებმა" წლევანდელი სეზონი, რბილად რომ ვთქვათ, ჩააგდეს. **ხუანდე რამოსი** უკვე მომავალი გათამაშებისათვის ემზადება.

"არსენალი" "რედინგს" უმასპინძლებს. "მეთოფეებისათვის" სეზონი უკვე დამთავრებულია. დარჩენილ მატჩებს ალარავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. "რედინგს" კი ქულები სჭირდება. მას პრემიერლიგაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებია. გუნდმა ბოლო 16 მატჩიდან მხოლოდ სამში გაიმარჯვა.

ლონდონელებს **მანუელ ალმუნია** დაუშავდათ. ესპანელმა მეკარემ მაჯა იღრძო. ამიტომ ძირითადში **იენს ლემანი** ითამაშებს. სამმატჩიანი სასჯელი მოიხადა **აბუ დიაბიმ**. გამოჯანმრთელდა **დენილსონი**. **მატიო ფლამინი**, **ბაკარი სანია** და **ჯასტინ ჰოიტი** ისვენებენ.

ბოლო ხანს გამოფხიზლებული "ნიუკასლი" "სანდერლენდს" მიიღებს. **როი კინის** გუნდს 40 ქულისაგან ოთხი ქულა აშორებს. 40 ქულა კი ის მინიმუმია, რომელიც, როგორც ამბობენ, პრემიერლიგაში გარანტირებულად დარჩენისთვისაა საკმარისი. "სანდერლენდს" **დუაიტ იორკი** ჰყავს დაშავებული. "ნიუკასლს" **ჯეიმს მილნერი** და **სტივ კარი** გამოუჯანმრთელდნენ. **კლაუდიო კასაპა** და **პიტერ რემიჯიც** მწყობრში არიან. **შეი გივენმა** საზარდულის ოპერაციის შემდეგ ვარჯიში დაიწყო, მაგრამ მინდორზე გასასვლელად ჯერ მზად არ არის.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 34 | 25 | 5 | 4 | 72-18 | 80 |
| 2. ჩელსი | 35 | 23 | 9 | 3 | 60-24 | 78 |
| 3. არსენალი | 34 | 20 | 11 | 3 | 64-29 | 71 |
| 4. ლივერპული | 34 | 18 | 12 | 4 | 60-26 | 66 |
| 5. ევერტონი | 35 | 18 | 7 | 10 | 50-29 | 61 |
| 6. პორტსმუთი | 34 | 16 | 9 | 9 | 47-33 | 57 |
| 7. ასტონ ვილა | 34 | 15 | 10 | 9 | 62-44 | 55 |
| 8. მანჩ. სიტი | 34 | 14 | 10 | 10 | 39-40 | 52 |
| 9. ბლექბერნი | 34 | 13 | 12 | 9 | 44-42 | 51 |
| 10. ვესტ ჰემი | 34 | 12 | 8 | 14 | 35-41 | 44 |
| 11. ტოტენჰემი | 34 | 10 | 11 | 13 | 63-57 | 41 |
| 12. ნიუკასლი | 34 | 10 | 9 | 15 | 40-58 | 39 |
| 13. მიდლსბრო | 34 | 8 | 12 | 14 | 31-48 | 36 |
| 14. სანდერლენ. | 34 | 10 | 6 | 18 | 33-52 | 36 |
| 15. ვიგანი | 34 | 9 | 8 | 17 | 31-48 | 35 |
| 16. რედინგი | 34 | 9 | 5 | 20 | 37-63 | 32 |
| 17. ბირმინგემი | 34 | 7 | 10 | 17 | 39-52 | 31 |
| 18. ბოლტონი | 34 | 7 | 8 | 19 | 31-52 | 29 |
| 19. ფულჰემი | 34 | 5 | 12 | 17 | 32-56 | 27 |
| 20. დერბი | 34 | 1 | 8 | 25 | 16-74 | 11 |

სპეკულაციები

# ლიპიმ ბარსელონა გაამხილა

**მარჩელო ლიპის** გუშინდელი განცხადება, რომელიც უმუშევარმა მწვრთნელმა კატანიაში, სტუდენტებთან შეხვედრის დროს გააკეთა, სპეკულაციების საგანი ხდება. აქამდე, ის საგულდაგულოდ ინახავდა მომავალ სამსახურთან დაკავშირებულ საიდუმლოს. დღეს კი პრესა უკვე აჟიტირებულია: ნუთუ, ლიპიმ გათქვა კლუბი, სადაც ივლისიდან შეუდგება მუშაობას? აი, ლიპის მცირე კომენტარიც, რომელსაც დიდი ამბავი მოჰყვა:

*"ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ არ წავალ არც ერთი ქვეყნის ნაკრებში სამუშაოდ, როგორც ეს ჯოვანი ტრაპატონიმ ირლანდიის მაგალითზე გააკეთა. მით უმეტეს, მიმაჩნია, რომ მწვრთნელი, რომელმაც თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მსოფლიო ჩემპიონობა მოაგებინა, სხვა ნაკრებში არ უნდა დასაქმდეს. უბრალოდ, ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი პრინციპია. ისე კი, როგორც ზღვის მოყვარულს, შემეძლო, მემუშავა ლივორნოში. იქ პორტში ნავებს რომ ვხედავ, რაღაცნაირი გრძნობა მეუფლება... მაგრამ ბარსელონაშიც არის პორტი, თანაც სულ ახალი, ეს-ესაა ააშენეს".*

რას იფიქრებ კაცი ამის შემდეგ? ისე, "ბარსელონაში" (არ გვგონია, "ესპანიოლზე" იყოს საუბარი) საქმეები რომ არეულია, ესეც თავისთავად სამხილია. ესპანელები იმასაც რომ ამბობენ, სეზონის დასრულებისთანავე **ფრანკ რაიკაარდი** პოსტს 100 პროცენტით დატოვებსო, ესეც თქვენ კიდევ ერთი არგუმენტი. და იმაში რაღაა გასაკვირი, რომ "ბარსას" ცარიელ სკამზე ლიპის კანდიდატურა პირველ რიგში განიხილებოდეს? არც არაფერი...

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXIII ტურის წინ

# მთავარი ამბები სარაგოსაში

**დღეს**

ატლეტიკო-ბეტისი
ბარსელონა-ესპანიოლი
სარაგოსა-რეკრეატივო
სევილია-ალმერია

**ხვალ**

ლევანტე-ხეტაფე
ოსასუნა-დეპორტივო
მურსია-მალიორკა
ვილიარეალი-ვალიადოლიდი
რასინგი-რეალი
ბილბაო-ვალენსია

"რეალი" ცდილობს, ეიფორიაში არ ჩავარდეს. ერთი კვირის წინათ სამეფო კლუბმა "მურსიას" მინიმალური ანგარიშით მოუგო. მისმა კონკურენტმა "ბარსელონამ" კი "რეკრეატივოს" ვერაფერი მოუხერხა (2:2). შედეგად, სხვაობა პირველ და მეორე ადგილებს შორის ცხრა ქულამდე გაიზარდა.

ესპანელი მიმომხილველები ცდილობენ გამოიცნონ, როდის გაიფორმებს "რეალი" ჩემპიონობას. 7 მაისს, "სანტიაგო ბერნაბეუზე" სუპერკლასიკო შედგება. მადრიდს "ბარსელონა" უნდა ეწვიოს. თუ სამეფო კლუბი ტიტულს იქამდე დაისაკუთრებს, ბარსელონელებს არცთუ სასიამოვნო მისიის შესრულება მოუწევთ: თამაშის წინ მინდვრის კიდეზე დადგებიან და მეტოქეს ცოცხალ დერეფანს გაუკეთებენ.

დღეს "რეალი" "რასინგის" სტუმარია. სანტანდერული კოლექტივი საუცხოო სეზონს ატარებს. ის მეხუთე ადგილზე იმყოფება. ამას გარდა, ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალშიც გააღწია, მაგრამ "ხეტაფესთან" წააგო. **მარსელინიოს** შეგირდებს მეოთხეადგილოსანი "ატლეტიკოსაგან" ერთი ქულა ჰყოფთ. გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურზე აცხადებს პრეტენზიას. მადრიდელებს რთული მატჩი ელით.

სამეფო კლუბს **გუტი** ვერ დაეხმარება. ნახევარმცველმა "მურსიასთან" მატჩისას ყვითელი ბარათი მიიღო. მას იმდენი გაფრთხილება დაუგროვდა, რომ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. "რეალმა" მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა, მაგრამ აპელაციის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს. სანტანდერში მარჯვენა მცველი **მიგელ ტორესიც** ვერ გაემგზავრა. მას იმავე მატჩში წითელი ბარათი აუფრიალეს.

შესაძლოა, ძირითადში ვიხილოთ **ხავიერ სავიოლა**. არგენტინელმა თავდამსხმელმა 32 კალენდარული მატჩიდან ძირითადში მხოლოდ სამჯერ ითამაშა. მიმომხილველთა მტკიცებით, ხავიერს სეზონის დასრულებისთანავე გაყიდიან. ფეხბურთელს "რეალში" დარჩენის იმედი არ დაუკარგავს. ის "რასინგთან" თამაშსაც საკუთარი ოსტატობის დასამტკიცებლად გამოიყენებს.

"ბარსელონის" კრიზისს დასასრული არ უჩანს. კატალონიელებმა ბოლო შვიდი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. შუა კვირაში **ფრანკ რაიკაარდმა** შეგირდები ქალაქგარეთ წაიყვანა. ბარსელონელმა ვარსკვლავებმა ერთი წარმტაცი სოფლის სტადიონზე ივარჯიშეს. მათ დაშავებული **რონალდინიოც** ახლდათ.

"ბარსას" ჩემპიონობის მინიმალური შანსი აქვს. სამაგიეროდ, შეუძლია, ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ დაეუფლოს ჩემპიონთა თასს. ლიგის ნახევარფინალში მისი მეტოქე "მანჩესტერ იუნაიტედი" იქნება. პირველი მატჩი ოთხშაბათს, "კამპ ნოუზე" გაიმართება. გუნდი გენერალურ რეპეტიციას საკუთარ მოედანზე, ბარსელონურ დერბიში გაივლის.

"ესპანიოლმა" ჩემპიონატი საუცხოოდ დაიწყო, მაგრამ სეზონის მიწურულს მასაც პრობლემები შეექმნა. **ერნესტო ბალბერდეს** შეგირდებმა ბოლო 13 შეხვედრაში 39 შესაძლებლიდან მხოლოდ 9 ქულა მოიპოვეს. ამასთან, ბოლო ოთხი თამაში წააგეს და ერთი გოლიც არ გაუტანიათ. გუნდი მერვე საფეხურამდე დაქვეითდა. მას უეფას თასზე გასვლის შანსი კიდევ აქვს. "ესპანიოლი" თანაქალაქელს დიდ ბრძოლას გაუმართავს.



"ბარსას" საკადრო პრობლემები აქვს. საეჭვოა **ანდრეს ინიესტას**, **ტიერი ანრისა** და სამი წამყვანი მცველის — **რაფა მარკესის**, **გაბრიელ მილიტოსა** და **ლილიან ტურამის** ასპარეზობა. გამოჯანმრთელდა **დეკუ სოუზა**. თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ მან ძირითად შემადგენლობში უნდა ითამაშოს. აქვე, **ხავი ერნანდესის** კომენტარს შემოგთავაზებთ. კითხვაზე, არის თუ არა "ბარსა" კრიზისში, ფეხბურთელმა უპასუხა: *"გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშია. განა, ეს კრიზისის ნიშანია?"*

მესამეადგილოსანი "ვილიარეალი" "ვალიადოლიდს" უმასპინძლებს. ამ უკანასკნელს გავარდნა ემუქრება. ვალენსიელებს კი "ბარსელონისაგან" ერთი ქულა ჰყოფთ. "ვილიარეალი" ხუთი ქულით უსწრებს "ატლეტიკოს", რომლის დღევანდელი მეტოქე "ბეტისია". "სევილია", რომელიც "ატლეტიკოს" კვალში უდგას, "ალმერიას" უმასპინძლებს. პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** **ლუიშ ფაბიანო** და **დანიელ ალვეში** გააფრთხილა, პირადი ინტერესები გვერდზე გადადონ და გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში დაეხმარონ. ამოცანა სავსებით რეალურია: ანდალუსიელებს "ატლეტიკოსაგან" სამი ქულა აშორებთ. ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურია დარჩენილი.

ოთხშაბათს, "ვალენსია" ესპანეთის თასს დაეუფლა. "ღამურებმა" "ხეტაფეს" 3:1 სძლიეს. მაგრამ ეს წარმატება **რონალდ კუმანისათვის**, შეიძლება, საკმარისი არ აღმოჩნდეს. მას დათხოვნა ემუქრება. მისი დანიშვნის შემდეგ (ნოემბერში), "ვალენსიამ" მხოლოდ ოთხი კალენდარული მატჩი მოიგო. გუნდი სავალალო მდგომარეობაშია: ის გასავარდნი ზონის სიახლოვეს იმყოფება და მისგან მხოლოდ ხუთი ქულა ჰყოფს.

"ლევანტესა" და "მურსიას" ცალი ფეხი სამარეში უდგათ. "ლევანტემ" ქვედა დივიზიონის საგზური შეიძლება დღეს გაიფორმოს, თუკი შინ "ხეტაფესთან" წააგებს, ხოლო "რეკრეატივო" სარაგოსაში ქულას მოიპოვებს. "სარაგოსა"-"რეკრეატივო" ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩია. ამ თამაშში არაგონული კლუბის ბედი უნდა გადაწყდეს. გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისათვის უნდა ებრძოლა, გასავარდნი ზონის ბინადარია და დღევანდელი მეტოქისაგან სამი ქულა ჰყოფს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 32 | 22 | 3 | 7 | 66-30 | 69 |
| 2. ბარსელონა | 32 | 17 | 9 | 6 | 62-31 | 60 |
| 3. ვილიარეალი | 32 | 18 | 5 | 9 | 52-40 | 59 |
| 4. ატლეტიკო | 32 | 16 | 6 | 10 | 57-40 | 54 |
| 5. რასინგი | 32 | 15 | 8 | 9 | 37-31 | 53 |
| 6. სევილია | 32 | 16 | 3 | 13 | 63-44 | 51 |
| 7. ალმერია | 32 | 12 | 9 | 11 | 32-35 | 45 |
| 8. ესპანიოლი | 32 | 13 | 6 | 13 | 40-44 | 45 |
| 9. დეპორტივო | 32 | 12 | 7 | 13 | 42-43 | 43 |
| 10. ბილბაო | 32 | 11 | 10 | 11 | 31-32 | 43 |
| 11. მალიორკა | 32 | 9 | 14 | 9 | 52-46 | 41 |
| 12. ხეტაფე | 32 | 11 | 8 | 13 | 37-39 | 41 |
| 13. ბეტისი | 32 | 11 | 8 | 13 | 39-44 | 41 |
| 14. ოსასუნა | 32 | 11 | 7 | 14 | 33-34 | 40 |
| 15. ვალიადოლ. | 32 | 10 | 9 | 13 | 39-51 | 39 |
| 16. ვალენსია | 32 | 11 | 6 | 15 | 35-49 | 39 |
| 17. რეკრეატივო | 32 | 9 | 10 | 13 | 35-51 | 37 |
| 18. სარაგოსა | 32 | 8 | 10 | 14 | 41-54 | 34 |
| 19. მურსია | 32 | 7 | 8 | 17 | 28-49 | 29 |
| 20. ლევანტე | 32 | 6 | 4 | 22 | 26-60 | 22 |

# ჯო დუმარსი:
# კოკოშკოვი გაგამარჯვებინებთ!

გუშინ, კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა ნაკრების ახალი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვისა და "დეტროიტის" ხელმძღვანელის ჯო დუმარსის კომენტარები საქართველოს ეროვნულ გუნდთან დაკავშირებით.

**იგორ კოკოშკოვი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** - მე განვაცხადე თანხმობა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელობაზე და მჯერა, რომ ეს ახალი გამოწვევა იქნება. დიდხანს არ მიფიქრია, იმაზე, დავთანხმებულიყავი თუ არა, რადგან ვიცი, თუ რამდენს ელიან ეროვნული გუნდისგან საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და ნაკრების გულშემატკივრები.

ვიცი, რომ საქართველოში ბევრს გული დაწყდა ნაკრების შესარჩევ ციკლში წარუმატებლობისა და ერთი დივიზიონით მაღლა ვერასვლის გამო. ჩემი მიზანი საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გაყვანაა. ნაკრების ბევრი მოთამაშე ევროპის სხვადასხვა კლუბებსა და ამერიკაში გამოდის, რამაც მათ შესახებ სავსებით საკმარისი წარმოდგენა შემაქმნევინა. ჩემი აზრით, გუნდური სულისკვეთება და ნაკრების თითოეული მოთამაშის საქმისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. ჩემი მიზანიც სწორედ ესაა – ნაკრებში და მის ირგვლივ დადებითი ატმოსფერო შევქმნა.

ჩემი საქმეა, შევარჩიო საუკეთესო მოთამაშეები, რომლებსაც ეროვნულ გუნდში თამაშის დიდი სურვილი ექნებათ. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და ახლაც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მსურს, მადლობა გადავუხადო, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ბესიკ ლიპარტელიანს გამოცხადებული ნდობისთვის. ასევე, მსურს გადავუხადო მადლობა "დეტროიტის" პრეზიდენტს, ჯო დუმარსს, რომელმაც ახალ თანამდებობაზე მუშაობის დრო და საშუალება გამომინახა.

**საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად იგორ კოკოშკოვის დანიშვნასთან დაკავშირებით კომენტარი "დეტროიტ პისტონზის" პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა ჯო დუმარსმა გააკეთა:** - კოკოშკოვი არაჩვეულებრივი სპეციალისტია და "დეტროიტში" მას ყველა დიდ პატივს სცემს. მჯერა, რომ კოკოშკოვი შესანიშნავად გაართმევს თავს საქართველოს ნაკრებში მუშაობას. ამ ზაფხულს თვალ-ყურს მივადევნებ საქართველოს ნაკრების გამოსვლას, რადგან ვიცი, იგორ კოკოშკოვი ამ გუნდს გამარჯვებულად აქცევს.



ფრაგმენტი დეტროი პისტონზის ფოტოდან:
ზედა რიგში: დარკო მილიჩიჩი, რაშიდ უოლასი, შუაში: იგორ კოკოშკოვი,
ქვედა რიგში: ლარი ბრაუნი, ჯო დუმარსი.

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ბულგარული სენსაციის წინააღმდეგ



18 წლის **ანა ტატიშვილი** (296) წარმატებით გამოდის ამერიკის კურორტ პალმ ბიჩ გარდენში, სადაც 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს. გუშინ ანამ ორ სეტში დაამარცხა ტურნირის მე-2 ჩოგანი ამერიკელი **რაქელ კოპს-ჯოუნსი** (177) – 6:4, 6:0. ტატიშვილს მეოთხედფინალში არანაკლებ სერიოზული მეტოქე ეყოლება, თუ მეტი არა - ბულგარელი **სესილ კარატანჩევა** დღეისთვის მხოლოდ 277-ეა რეიტინგში, მაგრამ 18 წლის ბულგარელი ტრავმის გამო დიდ ხანს უქმობდა, 16 წლის ასაკში კი ის მსოფლიოს 35-ე ჩოგანი (!) იყო. კარატანჩევას 2005 წლის ნოემბრის მერე არ უთამაშია და ის მხოლოდ წლეულს, იანვარში დაბრუნდა და ეგრევე ორი 25-ათასიანი ტურნირი მოიგო, 50-ათასიანის ფინალში გავიდა. ქართველს და ბულგარელს ერთმანეთში არასოდეს უთამაშიათ. ანამ მეწყვილე **კიმბერლი კაუტსთან** (აშშ) ერთად წყვილთა თანრიგის ბადეშიც წინ წაიწია. მეოთხედფინალში ინტერნაციონალურმა წყვილმა ასეთივე (მე-4 ნომრად განთესილები, ინდონეზიელი **ტეჯაკუსუმა** და ამერიკელი **ტვიდი-იეტსი**) დაამარცხა – 5:7, 7:5,10:8 და ნახევარფინალში გავიდა. პალმ ბიჩის წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში ანა და კიმბერლი მე-2 ნომრად განთესილებს, ბრაზილიელ **ალვეშსა** და ჩეხ **პაშტიკოვას** ეთამაშებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ორი ქართველი ნახევარფინალში

ისტრის საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ტიტულს, მან მეოთხედფინალში ესპანელი **კარლოს ბოლუდა-პურკისი** (155) დაამარცხა – 6:4, 6:2. ლაზარეს ორი წლით უმცროსი მეტოქის დასამარცხებლად საათი და 15 წუთი დასჭირდა. ნახევარფინალში ქართველი მე-3 ნომრად განთესილ რუს **ანდრეი კუზნეცოვსა** და მე-7 ნომრად განთესილ **ლორენცო პაპასიდეროს** (იტალიას) მატჩში გამარჯვებულს შეხვდება. კუხალაშვილმა ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, წლეულს კი 11 შეხვედრიდან 9-ში გამარჯვებული გამოვიდა. ლაზარე დღეისთვის ახალგაზრდულ რეიტინგში 374-ე პოზიციაზეა, თუმცა შარშან 36-ე ადგილს მიაღწია.

თანამემამულეს არც 16 წლის **ეკა გორგოძე** ჩამორჩა, ეკამ მეოთხედფინალში მე-3 ნომრად განთესილი ფრანგი **კრისტინა მლადენოვიჩი** (50) დაამარცხა – 6:4, 6:4. ქართველის მეტოქე ისტრის ტურნირის ნახევარფინალში რუსი **ვიქტორია კამენსკაიაა** (38), რომელიც ორგანიზატორებმა მეორე ნომრად განთესეს. ეკა გორგოძე ახალგაზრდულ კლასიფიკაციაში 303-ე პოზიციაზეა.

კალათბურთი. ევროთასი

# ცინცაძის 16 ქულა წაგებულ ნახევარფინალში

გუშინ, გიორგი ცინცაძის "ტარტუ როკმა" ევროთასის ნახევარფინალში მეზობელი ლატვიის "ბარონსთან" 82:88 წააგო და ფინალის საგზური მეტოქეს გადაულოცვა.

მატჩის წინ ქართველი გამთამაშებელი აცხადებდა, რომ ფინალში გასვლის შანსი "ბარონსს" უფრო ჰქონდა, ვიდრე "როკს", რადგან ლატვიელებს შედარებით უკეთესი შემადგენლობა ჰყავთ. თუმცა, გიორგიმ იქვე იმედი გამოთქვა, რომ ასეთი წინაპირობა ტარტუელებზე დადებითად იმოქმედებდა და ფსიქოლოგიური წნეხი მოეხსნებოდათ. მთლიანად გუნდმა მოახერხა თუ არა ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა, ძნელი სათქმელია, რაც შეეხება ცინცაძეს, მან თავისუფლად ითამაშა და სტატისტიკაც ეფექტური ჰქონდა: 16 ქულა, 5 მოხსნა და 6 პასი.

ტარტუელები ევროთასის ბრინჯაოს მედლისთვის კვირას ითამაშებენ. მათი მეტოქე "მონსსა" (ბელგია) და აელ-ს (კვიპროსი) შორის გამარჯვებული იქნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. XXVIII ტური

# მიშა მაგარია!

**18 აპრილი. რუსთავი**

**დინამო-ვითა 82:102**

დინამო: გულისაბედაშვილი (3 ქ. 3 პ), ნანიტაშვილი (3 ქ), ულენტი (8 ქ. 5 პ), ლაფანაშვილი (18 ქ. 6 მ. 4 პ), სიგუა (6 ქ), სანიკიძე (25 ქ. 11 მ. 3 პ), ათენელიშვილი (14 ქ), ფაიქრიძე (6 ქ. 3 ჩ), ახალკაცი, მაისურაძე, კუჭავა

ვითა: ნ. ნოზაძე (7 ქ. 3 ჩ), ბეჟანიშვილი (27 ქ. 12 მ. 4 პ), მ. ბერიშვილი (24 ქ. 6 მ), მარხვაშვილი (1 ქ. 9 პ), ლ. ნოზაძე (1, ქ. 10 მ. 3 დ), ბერძენიშვილი (4), წივწივაძე (12 ქ. 8 პ), გვიმრაძე (11 ქ), მარკოიშვილი, ძიძიგური, ცერცვაძე

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

**ავიამშენი-თსუ 77:87**

23:26, 18:24, 21:16, 15:21

ავიამშენი: ბერაია (24 ქ. 3 პ. 3 ჩ), მინაშვილი (21 ქ. 9 მ. 4 დ), კიმსაძე (9 ქ. 7 მ, 4 პ), ტულუში (13 ქ. 6 მ. 8 პ, 4 ჩ), ნინიაშვილი (3 ქ), როდუმტა (5 ქ. 7 მ), სუხიშვილი (2 ქ), მათიაშვილი, მოსეშვილი

თსუ: არწივიძე (7 ქ. 4 პ), ფანჩულიძე (42 ქ. 7 მ. 3 პ), დ. ბერიშვილი, ბარბაქაძე (2 ქ), კოხრეიძე (5 მ), ყველაშვილი, კეიდია (21 ქ. 5 მ), ხეცურიანი (5 ქ. 4 პ), ბ. ნოზაძე, ტყეშელაშვილი (10 ქ. 7 მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**მაკაბი-ენერჯი 68:106**

17:31, 16:25, 18:20, 17:30

მაკაბი: ჯანგველაძე (10 ქ. 5 მ), ახმედიანი (13 ქ. 2 დ), გაგლოშვილი, ს. შერმადინი (19 ქ. 20 მ. 3 პ), იოსელიანი (8 ქ), პირველაშვილი (5 ქ. 3 პ. 3 ჩ), კორკოტაძე (5 ქ. 3 პ), კოლუაშვილი (8 ქ)

ენერჯი: ბაბიაშვილი (6 ქ), სტეფანოვი (12 ქ), დვალიშვილი (11 ქ. 12 მ), დიდია (29 ქ. 10 მ. 4 პ. 3 ჩ), ლეჟავა (7 ქ), ცეკვავა (10 ქ. 5 პ. 3 ჩ), ჩიტაშვილი (14 პ. 3 ჩ), მაჭავარიანი (12 ქ), გოგობერიშვილი (9 ქ), ტუჯანი (6 ქ), ჭოჭუა (4 ქ. 8 პ. 3 დ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 28 | 22 | 6 | 50 |
| 2. ავია | 28 | 16 | 12 | 44 |
| 3. ვითა | 28 | 15 | 13 | 43 |
| 4. თსუ | 28 | 15 | 13 | 43 |
| 5. დინამო | 28 | 12 | 16 | 40 |
| 6. მაკაბი | 28 | 4 | 24 | 32 |

**20 აპრილი**

| | |
|---|---|
| 13:00 | მაკაბი-თსუ |
| 15:00 | ვითა-ავიამშენი |
| 17:00 | დინამო-ენერჯი |

**სეზონის ერთ-ერთ მთავარ კითხვას - ვინ გავა პლეი ოფში, გუშინ გაეცა პასუხი. თავ-თავისი მატჩი მოიგეს "ვითამ" და თსუ-მ და რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე "დინამოსთვის" მიუწვდომელნი შეიქნენ - სადღეისოდ "ვითა" და თსუ ზაზა ცაგარეიშვილის დინამოელებს 3-3 მოგებით უსწრებენ. "ენერჯი", "ავიამშენი", "ვითა", თსუ - აი, ნახევარფინალისტთა დასახელებები. სატურნირო ცხრილს თუ დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ მეორეადგილოსანი გუნდი მესამესა და მეოთხეს თითო მოგებით უსწრებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფამდე დარჩენილ ორ ტურს ინტრიგა შეუნარჩუნდა. ნახევარფინალში ვინ ვის დაუპირისპირდება, ამას 21 აპრილს, 30-ე ტურში გავიგებთ.**

"დინამო" "ვითას, ძლევის შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს იუმჯობესებდა. მასსა და ვითელებს შორის სხვაობა ერთ მოგებამდე შემცირდეოდა. ეს კარგად ჰქონდათ გააზრებული **ვიქტორ სანიკიძის** თანაგუნდელებს, მაგრამ თავის მხრივ ვითელებსაც ესმოდათ, რომ "დინამოსთან" გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალის საგზურს ნაადრევად ინაღდებდნენ.

**ზურაბ ტომარაძის** შეგირდები თუ სეზონის პირველ ნახევარში საწყისი 20 წუთის შემდეგ ილლებოდნენ და მესამე პერიოდში ინიციატივას მეტოქეებს უთმობდნენ, ამჯერად საპირისპირო მოხდა - პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაშის შემდეგ, მესამე ათწუთეულში "დინამოს" 15-ქულიანი სხვაობით აჯობეს (27:12). ეს იმას ნიშნავს, რომ "ვითა" ფორმაში შევიდა და არათუ ახალგაზრდები, ასაკოვანი (საკალათბურთო თვალსაზრისით) კალათბურთელებიც აღარ ილლებიან. გამოცდილ-გამოუცდელთა ჰარმონიული სინთეზი სამი მოთამაშის მაგალითზე ჩანს: გუშინ, **ვაკო ბეჟანიშვილმა** თანაგუნდელებს 27 ქულა და 12 მოხსნა შესძინა, მას სტატისტიკით ოდნავ ჩამორჩნენ ახალგაზრდები **მიშა ბერიშვილი** (24 ქულა, 6 მოხსნა) და **ლუკა ნოზაძე** (16 ქულა, 10 მოხსნა, 3 დაფარება).

**ვიქტორ სანიკიძის** წინამძღოლობით დინამოელებმა ბოლო პერიოდში მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ საქართველოს ნაკრების წევრი მხოლოდ ორმაგ დუბლს გამორჩა - 25 ქულა, 11 მოხსნა.

**ზედიზედ** ორი მატჩი მაღალ დონეზე (საქართველოს პირობებში) ჩაატარა სტუდენტურმა თსუ-მ. თსუ-ს ნაცვლად **მიშა ფანჩულიძე** რომ ჩავსვათ, ასეც სწორი იქნება, რადგან ორივე შეხვედრის მოგება, პირველ რიგში, სწორედ მიშას დამსახურებაა. თავად განსაჯეთ: თუ "ენერჯისთან" 27-ე ტურში ფანჩულიძემ 22 ქულიდან ნახევარი ბოლო მეოთხედში ჩააგდო, 28-ში "ავიასთან" 22 ქულა პირველივე ტაიმში ჰქონდა. თსუ-მ საწყისი 20 წუთი 50:41 მოიგო, მაგრამ მეოთხე პერიოდამდე ამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და სირენამდე 6 წუთით ადრე ბუბა კვიმსაძის სამქულიანით "ავია" 71:70 დაწინაურდა. მიშა ფანჩულიძე არც ამის შემდეგ შეჩერებულა - დარჩენილ დროში თსუ-ს 17-დან 13 ქულა სწორედ მიშამ ჩაიწერა. მან მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მერვე სამქულიანი ჩააგდო, ხოლო 45 წამით ადრე - მეცხრე და თსუ-ს 87:77 გაამარჯვებინა.

42 ქულა (12-დან 9 სამქულიანი), 7 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება - ასეთია ფანჩულიძის მონაგარი. რომ გითხრათ, ტურის MVP-დ სხვა დასახელდაო, ცხადია, არ დამიჯერებთ. ასე და ამგვარად, მიშა ზედიზედ მეორე ტურია საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესოდ სახელდება. კარგი იქნება, პლეი ოფის მატჩებთან ერთად **იგორ კოკოშკოვს** თსუ-"ავიასა" და "ენერჯი"-თსუ-ს დაპირისპირებათა ვიდეოფირებს თუ გაუგზავნიან.

თამაშის შემდეგ გახარებული იყო მიხეილ ფანჩულიძე: *"თსუ თითქოს კუთხეში იყო მიმწყვდეული და ერთი შეხედვით, პლეი ოფში გასვლა უნდა გასჭირვებოდა. სწორედ ასეთ სიტუაციაში მოვიკრიბეთ ძალები და ყველას დავუმტკიცეთ, რომ არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს. 39 წუთი ვითამაშე, მაგრამ ფსიქოლოგიურად ისე ვიყავი მობილიზებული, რომ დაღლა მატჩის მსვლელობისას საერთოდ არ მიგრძვნია".*

**მესამე** შეხვედრაში "ენერჯიმ" იოლად მოისტუმრა "მაკაბი". ამ დაპირისპირებიდან სამი კალათბურთელის გამოყოფა შეიძლება. რუსთაველმა **აკაკი დვალიშვილმა** ორმაგი დუბლი მიითვალა - 11 ქულა, 12 მოხსნა. ეს მისი კარიერის რეკორდია. მისმა თანაგუნდელმა მიშა ჩიტაშვილმა ერთ მეოთხედში 8 პასი გააკეთა - ესეც ჩემპიონატის რეკორდია, ისევე როგორც **სოსო შერმადინის** მიერ მეტოქის ფარზე მოხსნილი 10 ბურთი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

# სათავეები



*დასაწყისი "ლელო" №86*

ითონისა და ვინჩესტერის წესებში შემდეგი ეწერა: "ყოველი გუნდი ვალდებულია გამოჰყოს თამაშისთვის თითო მსაჯი. მათ მოვალეობაში შედიოდა კარების უკან დგომა და გატანილი ბურთების დათვლა. ასეა - ანგარიში ყველაფერშია საჭირო!

თავდაპირველად საფეხბურთო კარის ზომა 12 ფუტი (3 მეტრი) იყო. ყველაზე საოცარი რამ კი ჰაროუში მოიფიქრეს. თუ მატჩი ფრედ მთავრდებოდა, მისი გადათამაშება შემდეგი დღისთვის ინიშნებოდა და კარის სიგანე... ორჯერ უნდა გაზრდილიყო! ისე, დღესაც ხომ არ გამოგვეყენებინა ეს ძველი წესი?

**მეკარის თამაში** პირველად მოხსენიებულია 1871 წელს, მაგრამ ბევრს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მცველებმა ხელით თამაში გაცილებით ადრე დაიწყეს (და, არც თუ იშვიათად, დღესაც იგივე მეორდება...)

შოტლანდიურმა "ქუინ პარკმა" რევოლუცია მოახდინა. გამოიგონეს და დამკვიდრდა პასი, კომბინაციური თამაში. ყოველივე ამას ისეთი პრიმიტივების სისტემატიური განადგურება მოჰყვა, როგორებიც ინგლისელები იყვნენ (შოტლანდიელები ინგლისელებს პრიმიტივებად მოიხსენიებდნენ. რედ.).

XX საუკუნის დასაწყისში ერთი ინგლისელი მკერავი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს დაპირდა, რომ თუ ისინი მოიგებდნენ, გოლის გამტანს პალტოს შეუკერავდა. შედეგი გასაოცარი იყო: დაიწყო თუ არა მატჩი, ყველა მოთამაშე მოწინააღმდეგის კარს ეძგერა! გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო და ახალი პალტოები კი არა, ძველიც თავზე დაახიეს განრისხებულმა გულშემატკივრებმა!

ძნელი დასაჯერებელია ის, რომ ფიფას პირველი პრეზიდენტის ფრანგი ანრო გერენის გადადგომა გამოიწვია იმან, რომ ამ ორგანიზაციის შექმნის მეორე წელსვე ჰოლანდიელების მიერ წამოყენებულმა იდეამ გლობალური ჩემპიონატი ჩაეტარებინათ, სრული კრახი განიცადა. არ იქნა გამოგზავნილი არცერთი(!) განაცხადი. 1905 წლის ეს რეკორდი იმედია, არასოდეს განმეორდება!

**პროგრესი ფრანგულად.** 1908 წელს ფრანგული ჟურნალი "ვი ო გრანდი" წერდა: "ჩვენი პროგრესი უდაოა - ინგლისელებთან 0:12 წავაგეთ." ეს სრული ჭეშმარიტება იყო, რადგან წინა წელს კონტინენტალები კუნძულელებთან 0:15 დამარცხდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფრანგებმა სრულ პროგრესს მხოლოდ 90წლის შემდეგ მიაღწიეს, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

**ნომერი** მაისურზე საკმაოდ გვიან გაჩნდა - მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს. ნუმერაცია შოტლანდიელმა ფოსტალიონმა მოიგონა. კომენტარები ზედმეტია.

რასაკვირველია გულშემატკივართა უმრავლესობამ არ იცის, რომ ორი საუკუნის წინათ, ბრიტანეთის კუნძულებზე დაიწერა ლექსი, რომლის სათაურია "ფეხბურთი". უფრო ზუსტად კი "კარტერჰოუზე დიდი მატჩის წინ დროშის აღმართვის გამო."

იძრეთ სამოსი და ბედის რწმენით,
წინ! გავამხნევოთ გუნდი ერთურთით,
ამ ქვეყნად ბევრი რამაა ძნელი,
წუთისოფელი არის ფეხბურთი.
გართობის შემდეგ გაგვიშრა ყელი,
ავწიოთ თასი ბრძოლის გმირებო!
ორივე გუნდის რჩეულთა გარჯას,
დიდება ვუთხრათ დებო და ძმებო!
ალმართეთ დროშა ერის შვილები!
ქედების თავზე, ქარსა და თოვლში,
დე, ჭრიალებდეს სანამ ვბურთაობთ,
არვის დავუთმობთ სისხლიან ომში!

*ვალტერ სკოტი. შოტლანდია.*
*(1771-1832 წ.)*

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

# უჩვეულო დიზაინი



ავსტრალიელმა არქიტექტორმა და დიზაინერმა, **კიმ სტეპლტონმა** წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა Audi F1. ინგოლშტადტის საავტომობილო ფირმის ხელმძღვანელობა, როგორც იცით, ფორმულა 1-ში ასპარეზობაზე უარს ამბობს. სტეპლტონმა კი სცადა ეს ოცნება ნახატებში, სკეჩებში დაენახა. საბაზო მოდელად აიღო დიზელის ძრავიანი AudiR10lmp1, სპორტპროტოტიპი, "ლემანის 24 საათიანი რბოლის" მრავალგზის ტრიუმფატორი და მთელი დეტალები მის საოცნებო ფორმულა1-ის მოდელზე გადაიტანა. არ გამორჩენია გერმანიის ეროვნული დროშის ფერები, ოღონდ ორი (წითელი და ყვითელი), რადგან მსოფლიო ჩემპიონატში თითო გუნდს ხამი მანქანა უკვე დიდი ხანია აღარ ჰყავს. "აუდის" პარტნიორ ყველა ფირმის ლოგოს თავისი ადგილი მიუჩინა. AudiF1 საუცხოო გამოდგა.

მოდელის შექმნითვის კიმ სტეპლტინმა დაწვრილებით შეისწავლა DTM-ის (დოიჩე ტურენვაგენ მასტერსი) ისტორია, 90-იანი წლების სუპერტურიზმი და მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის ფირმის, "აუტო უნიონის" სარბოლო მოდელები. მთელი ეს დაკვირვებები სტეპლტონმა "რენო-R26-F1 მოდელზე გადაიტანა და საბოლოოდ მივიღეთ საოცნებო AudiF1. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ნახატი ნახატად დარჩა, თუმცა ვინც ნახა, ნიჭიერი დიზაინერის ნამუშევარი, ყველას მოეწონა.

**დავით ჩუზინიძე**

ჭადრაკი

# დადგინდა: რიგგარეშე ყრილობა 24 მაისს გაიმართება

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ, 18 საათზე, გამგეობის წევრები შეიკრიბნენ. გახსოვთ ალბათ, რომ ფედერაციის მმართველობის (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი) გადადგომის შემდეგ გასულ შაბათს გამგეობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: **თამარ ხმიადაშვილს**, რომელიც თანამდებობაზე დარჩენილი ერთადერთი ვიცე-პრეზიდენტია, მუშა ჯგუფი უნდა შეექმნა, რომელიც ფედერაციის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა. მთავარი ამოცანა რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და თარიღის დადგენა იყო. ასეთი რამ კი შესაბამისი წესდების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ძველი წესდება უვარგისად მიიჩნიეს, რადგანაც **რომან სიჭინავას** გუნდმა ის თავის დროზე უკანონოდ, გამგეობის გვერდის ავლით დაამტკიცა. სამართლებრივად უამრავი საკითხია გასასწორებელი და ამ პრობლემის მოგვარება **დავით გურგენიძეს** დაევალა.

გუშინდელ სხდომაზე გამგეობის წევრთა ერთმა ნაწილმა მოსვლა ვერ შეძლო, რაც ქვორუმის შესრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, თუმცა ქვორუმი მაინც შედგა - ადგილზე მყოფთაგანს თავიანთი ნდობა წერილობით გამოუცხადა რამდენიმე წევრმა: **ნანა ალექსანდრიამ, მაია ჩიბურდანიძემ, ნონა გაფრინდაშვილმა, ზურაბ სტურუამ** და სხვებმა.

დღის წესრიგში ოთხი საკითხი იდგა, თუმცა უმთავრესი მაინც რიგგარეშე ყრილობის მოწვევის თარილის დადგენა და წესდების პროექტის წარდგენა იყო. საბედნიეროდ, ამჯერად ჟურნალისტებს სხდომაზე დასწრების უფლება მოგვცეს და თვალნათლივ ვიხილეთ განხილვის პროცესი. თავიდან ცოტა დაძაბულად კი წარიმართა მსჯელობა, მაგრამ ნელ-ნელა ვითარება გამოსწორდა და ორსაათიანი სჯა-ბაასის შემდეგ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს: ქართულ ჭადრაკში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო, აუცილებლად ვცანით, მოგვეწვია რიგგარეშე ყრილობა. რიგგარეშე ყრილობა შედგება ამა წლის 24 მაისს, კვირადღეს. პრეზიდენტობის მსურველებმა განაცხადები უნდა გააკეთონ არა უგვიანეს 30 აპრილის 18 საათისა. არ მიიღება იმ კანდიდატის განცხადება, ვისაც რამდენიმეწევრიანი მხარდამჭერთა ჯგუფი არ წარადგენს; წევრთა რაოდენობას და სხვადასხვა დეტალებს მუშა ჯგუფი დაადგენს.

დამტკიცდა მუშა ჯგუფის წევრთა ვინაობა: **დავით გურგენიძე, თამარ ხმიადაშვილი, ნინო გურიელი და კახი ჩიგოგიძე.** ამათ გამგეობის სხვა წევრებიც შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან, რათა წესდებაც ყველა კანონის დაცვით მიიღონ და ყრილობაც სრულყოფილად ჩაატარონ. ერთსულოვნება იყო იმ საკითხშიც, რომ ურთიერთქიშპობა უნდა დასრულდეს, წინ საერთო საქმემ წამოიწიოს და ქართულ ჭადრაკს ეშველოს - ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და სხვაგვარად არ გვეკადრებაო.

ცნობილი საჭადრაკო დევიზი კარგი მოსასმენია, მაგრამ აქამდე ქართული ჭადრაკის სახლიდან დღენიადაგ ჩხუბი ისმოდა. ღმერთმა ქნას, ამიერიდან სიმშვიდეს დაესადგურებინოს.

**ზვიად შათირიშვილი**

# სპორტი და ძლიერნი ამა ქვეყნისა

იუდეველთა გაერთიანებული სამეფოს პირველი მეფე საული, ცნობილი იყო, როგორც კარგი მორბენალი. დავითს კი ბადალი არ ჰყავდა შურდულის ტყორცნაში.

მაკედონიის მეფე ფილიპე II, ალექსანდრე მაკედონელის მამა, უბადლო მოჯირითედ ითვლებოდა, რაც მან სახალხოდ დაამტკიცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 356 წელს, როცა ოლიმპიაში გამართულ მოჯირითეთა შეჯიბრებაში ყველა მეტოქე დაჯაბნა.

ტიბერიუსმა, ოლიმპიაში, თავის ოთხცხენიანი ეტლით პირველობა არავის დაუთმო ძვ.წ.4 წელს. ის შემდეგ რომის იმპერატორი გახდა.

## ჩემპიონად ცხენის პატრონი გამოცხადდა

ცხენი პირველად ოლიმპიურ თამაშებზე ჩვ.წ.ა. 680 წელს გამოჩნდა, გაიმართა რბოლა ორთვალა ეტლებით. ეს იყო მართლაც საოცარი სანახაობა, რომლის გამარჯვებულებსაც დიდი აღიარება ელოდათ. ორთვალა ეტლში ოთხი ცხენი იყო შებმული. მოგვიანებით ცხენოსნური სანახაობა გაფართოვდა და თამაშების პროგრამაში დოღებიც შეიტანეს.

წარმოიდგინეთ ერთმანეთის გვერდით 30 ორთვალა, მასობრივი სტარტი და 12 დაღუპული თითო წრეზე, დაბრუნება 9 კმ-ის მანძილზე, ხალხის გამაყრუებელი ხმაური და გამარჯვებულის განუზომელი ტრიუმფი აღსანიშნავად. ჩემპიონად ცხადდებოდა არც მხედარი და არც ცხენის გამხედნი, არამედ... ცხენის მფლობელი. ანტიკურ თამაშებზე ეს იყო ერთადერთი დისციპლინა, სადაც ათლეტებს არაფერს უხდიდნენ.

პირველი ქალი, რომელმაც ანტიკურ თამაშებზე გაიმარჯვა, იყო სპარტანელი პრინცესა ცინისკა. იგი ოთხცხენიანი ეკიპაჟის გამარჯვებული ცხენების პატრონი გახლდათ.

## კვიმატი ობიექტივი



# თქვენთვის, ერუდიტებო

1. ჭადრაკის გამოგონება უკავშირდება ძველი წელთაღრიცხვის
ა-2400 წელს
ბ-2500 წელს
გ-2600 წელს
(ვარაუდობენ, რომ ჭადრაკი გამოიგონა ცეილონის მეფის რავანის მეუღლემ.)
2. რომელი წელია მიჩნეული ფეხბურთის დაბადების წლად?
ა-1853 წ
ბ-1860 წ
გ-1863 წ
3. რომელ წელს და სად ჩატარდა ზამთრის პირველი ოლიმპიური თამაშები?
ა-1924 წელს, შამონში
ბ-1928 წელს, სანქტ-მორიცში
გ- 1932 წელს, ლეიკ-პლესიდში
4. სად არის დაკრძალული პიერ დე კუბერტენი?
ა-პარიზში
ბ-ლოზანაში
გ-ათენში
5. ვინ დაამხო პირველმა ამერიკელთა ჰეგემონია სიმაღლეზე ხტომაში ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან ოლიმპიურ თამაშებში?
ა-ვალერი ბრუმელმა
ბ-იოზეფ შმიდტმა
გ-რობერტ შავლაყაძემ

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

# კროსვორდი

თარაზულად: 1. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი; 4. გერმანიის ობერლიგის გუნდი; 7. წარსულში ცნობილი ქართველი სპორტული კომენტატორის სახელი; 9. ცნობილი ესპანელი ქალი ჩოგბურთელი; 10. ლეგენდარული ავტომრბოლი, ნიკი... 11. საჭიდაო ხალიჩა; 12. "ინტერის" ფეხბურთელი; 13. სამაგიდო თამაში; 14. ნორვეგიელი ვეტერანი ფეხბურთელი, ძმები - ტორე ანდრე და პავარდ... 15. თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 20. მოჭადრაკე კრამნიკის სახელი; 22. ლეგენდარული კუბელი მოჭადრაკე, ხოსე რაულ... 24. გაფრთხილება ძიუდოში.

შვეულად: 1. სპორტის იაპონური სახეობა; 2. ჩოგბურთის მატჩის მონაკვეთი; 3. პერსონალური შეცდომა, მაგ. კალათბურთში; 5. "ხეტაფეს" მწვრთნელი; 6. კრივში (1920) და ბობსლეიში (1932) ოლიმპიური ჩემპიონი (აშშ); 8. სანიჩბოსნო სადგური (ბაზა); 11. მოჭიდავე კურტანიძის ნათლობის სახელი; 12. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 16. სპორტული ცეკვების კლუბი თბილისში; 17. ფეხბურთელ გამიშის სახელი; 19. ბურთი მოედნის ფარგლებს გარეთ... 20. "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, ლუის...



წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ალი, 3. ტალინი, 8. სპარტაკიადა, 11. კეტაშვილი, 12. ფილა, 14. ლიპატოვი, 16. ანი, 17. სეტი, 18. კილანინი.

შვეულად: 2. ლიპი, 4. "აგაზა", 5. ნბა, 6. "არსენალი", 7. დანია, 9. იუვენტუსი", 10. დაფი, 13. კეოტა, 15 პაპი, 16 აფი.

ფრენბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# მეხუთე სეტი ხუთი მოწოდებით



იანა ზოდიმეჩენკოს შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფინალი. პირველი მატჩი

| თბილისი-ჯიკო | 3:2 |
|---|---|

15:25, 25:21, 25:23, 16:25, 15:10)

თბილისი: 10. თინათინ ჭაუჭიძე, 11. ქრისტინე გვილავა (12. ნინო ლომიძე), 9. იანა ზოდიმეჩენკო, 4. ელეონორა კაზარიანი (კ), 13. დალი ალიბეგაშვილი, 6. ნათია ბანძეაძე (7. ანი გვენცაძე), 2. ინო მუყასაშვილი (ლიბერო).

ჯიკო: 8. ნონა ლვინჯილია (5. მარიამ ყიფშიძე), 4. ნელი აირაპეტიანი, 9. ირინა კახაძე (კ), 12. ირინა შენგელია, 2. ნინო მეტრეველი, 3. თეა მძელური (11. თამთა დავითულიანი), 13. თამთა დანელია (ლიბერო).

საქართველოს ჩემპიონმა დიდი ჯიხაიშის "ჯიკომ" მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი იწვნია. საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის პირველ მატჩში ჯიხაიშელები სტუმრად დამარცხდნენ "თბილისთან" 2:3 (25:15, 21:25, 23:25, 25:16, 10:15).

შეხვედრები ამ ორ გუნდს შორის ბოლო ორი წელიწადია, მუდმივად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობს. აქამდე ჯიხაიშელები მეტი გამოცდილებისა და უკეთესად შეთამაშების ხარჯზე მუდმივად ამარცხებდნენ თავისზე უმცროსი ფრენბურთელებით დაკომპლექტებულ მოწინააღმდეგეს. ამჯერად ნავსი გატყდა.

"ჯიკო" წლევანდელ სეზონს საგრძნობლად სახეშეცვლილი შეხვდა. ფრენბურთიდან წავიდნენ გუნდის ლიდერები **მარიკა გერლიანი** და **ნათია არველაძე**, თუმცა შევსებაც საკმაოდ სოლიდური მიიღეს - "თბილისიდან" ჯიხაიშურ კლუბში **თეა მძელური, ნინო მეტრეველი** და **მარიამ ყიფშიძე** გადაბარგდნენ.

ფინალურ წყვილში ფავორიტად "ჯიკო" ითვლებოდა და გასაკვირი არც იყო, პირველი სეტი ფაქტობრივად უპრობლემოდ რომ მოიგო 25:15. "თბილისმა" მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ დასაწყისში გაუწია და მას შემდეგ რაც ანგარიში 10:10 გახდა. "ჯიკოს" ლიდერების **ნელი აირაპეტიანისა** და **ირინა შენგელიას** აქტიური თამაშის წყალობით სხვაობა ნელ-ნელა იზრდებოდა.

მეორე სეტში თბილისელმა ფრენბურთელებმა მობილიზება შეძლეს. **ნათია ბანძელაძე** გამთამაშებელმა **ანი გვენცაძემ** შეცვალა, რომელმაც ზუსტი, გამოზომილი გადაცემების წყალობით **ელეონორა კაზარიანსა** და **იანა ზოდიმეჩენკოს** თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება მისცა. შედეგად "თბილისმა" ორი სეტი, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო 25:21, 25:23.

მეოთხე სეტი წესით გადამწყვეტი უნდა გამხდარიყო. თუმცა როგორც ჩანს ახალგაზრდა თბილისელი გოგონები ნაადრევად დამშვიდდნენ, მოეშვნენ. კაზარიანსა და ზოდიმეჩენკოს თამაში აშკარად არ წაუვიდათ. შედეგმაც არ დააყოვნა "ჯიკომ" ისევ დამაჯერებლად მოიგო სეტი 25:16.

ამით, შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მეტოქე საბოლოოდ გატყდა. მაგრამ თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტ სეტში, შეძლეს ერთ მუშტად შეკვრა, მაქსიმალურად ყურადღებითა და თითქმის უშეცდომოდ თამაში. გადამწყვეტი კი იანა ზოდიმეჩენკოს ყუმბარისებური მოწოდებები გახდა. მაშინ როცა ანგარიში 9:8 იყო თბილისელთა სასარგებლოდ, იანას მოწოდებიდან გუნდმა ზედიზედ 5 ქულა აიღო. საბოლოოდ კი სეტი "თბილისმა" 15:10 მოიგო.

მომდევნო შეხვედრა ამ გუნდებს შორის ორშაბათს, 21 აპრილს, ჯიხაიშში გაიმართება და თუ მასპინძლებმა გაიმარჯვეს, იქვე, მეორე დღეს მესამე გადამწყვეტი მატჩი შედგება.

ბესიკ ჯანგავაძე

თავისუფალი ჭიდაობა. სალიცენზიო ტურნირი

# გოჩაშვილმა ვერ მოიპოვა

სამწუხაროდ, თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ბესარიონ გოჩაშვილი** (55) გუშინაც ულიცენზიოდ დარჩა - შვეიცარიულ მარტინიში, პეკინის ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე ტურნირზე მან უკრაინელ **გევორქ მარქარიანს** კი მოუგო, მაგრამ გერმანელ **მარსელ ევალდთან** დამარცხდა. როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, მსაჯებს ყველაფერი გაუკეთებიათ გერმანელის გასამარჯვებლად, თორემ უპირატესობა გოჩაშვილის მხარეს ყოფილა. ეტყობა, ჩვენებური ამან გააღიზიანა და საბოლოოდ დისკვალიფიკაცი მისცეს, თუმცა ფინალში ვერც გერმანელი გავიდა, ანუ სანუგეშოში ქართველი მაინც ვერ გადავიდოდა. ახლა მას საგზურის მოპოვების ბოლო შანსად 2-4 მაისს, ვარშავაში გასამართი ანალოგიური ტურნირი რჩება.

დღეს მარტიგიში **მალხაზ ქურდიანიც** (60) იჭიდავებს. იგი პირველ წრეში აზერბაიჯანელ **ზელიმხან ჰუსეინოვს** ხვდება. ამათში მოგებულის მეტოქე ბელარუს **მოჰამედკამილ მაჰამედაუს** და ლიტველ **ვიტას ჩუმაკოვსს** შორის გაირკვევა. ბადის ამ ნახევარში ისეთი ტიტულოვანი და ძლიერი არავინაა, ლიცენზიაზე ვერ ვიოცნებოთ, მაგრამ მსაჯთა ავბედითი ფაქტორიც გასათვალისწინებელია.

ირაკლი თავაძე

მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი

# პოლონური რევანში

პოლონელმა ქალებმა მწარედ იძიეს შური ჩვენს მშვილდოსნებზე - ხორვატულ პორეჩში მიმდინარე მსოფლიო თასის გუნდურ პირველობაზე, პლეი ოფის პირველივე წრეში 214:195 მოუგეს და ტურნირსაც გამოთიშეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა მათ მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე, სანტო დომინგოში მოუგეს და მერე ბრინჯაოც მოიპოვეს, ახლა კი პოლონელთა რევანშის ჯერი დადგა.

ამ წაგებით ჩვენებისთვის პორეჩის ტურნირი საბოლოოდ დასრულდა, რადგან გუშინწინ პირად პირველობაშიც დამარცხდნენ.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

# ჯილდოები ვარსკვლავისგან

გუშინ ჭიდაობის ფედერაციაში დეველოპერულმა კომპანია "ოლიმპიურმა ვარსკვლავმა" ევროპის ჩემპიონატის მედალოსნები დააჯილდოვა. შეგახსენებთ, რომ ფინურ ტამპერეში გამართულ კონტინენტის პირველობაზე "თავისუფალთაგან" ჩემპიონები **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) გახდნენ, **კობა კაკალაძემ** (66) და **რევაზ მინდორაშვილმა** (84) ვერცხლის მედლები მოიპოვეს. "ანტიკოსთა" მონაგარი თითო ვერცხლი და ბრინჯაოა - მეორეზე **ბადრი ხასაია** (84) გავიდა, მესამეზე - **რამაზ ნოზაძე** (96). ჩემპიონებმა ჯილდოდ 3 000 დოლარი მიიღეს, ვერცხლის პრიზიორებმა - 2000, ხოლო მესამეადგილოსნებმა - 1000.

აღნიშნულმა კომპანიამ საჭიდაო სახეობებში მსგავსი დაჯილდოებები ტრადიციად აქცია და მერამდენე წელიწადია, საკადრისს მიაგებს ჩემპიონ-პრიზიორებს. თუმცა ის ქართულ სპორტს სხვა მხრივ, სხვა კუთხითაც დიდად ეხმარება. ამიტომ სიმბოლურია, რომ ასეთი ქველმოქმედებისთვის თავად კომპანიაც დაჯილდოვდა - მის პრეზიდენტ **ზაზა რაზიკაშვილს** საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა** სათანადო სიგელი გადასცა.

ირაკლი თავაძე



ზაზა რაზიკაშვილი და ევროპის ჩემპიონები

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# მთავარი მატჩები დღესაა

| სტუ-თელავი-ქუთაისი | 36:14 |
|---|---|

სტუ: გ. ტორონჯაძე, გოგალაძე (2), ქობელაშვილი (3), ა. ყიფიანი (11), მელქოშვილი (1), ჯორბენაძე (1), გ. ჩიქოვანი (3), კობახიძე (1), საჯაია (4), ი. ჩიქოვანი (8), ნიკოლაიშვილი, ტალახაძე (2), ო. ყიფინი

ქუთაისი: შიშინაშვილი, დოლაკიძე, ჯანაშია (2), სვანიძე (3), სიხარულიძე, ტულუში (1), ნიკურაძე (5), ადამია (3)

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

| თბილისი-მამული | 49:16 |
|---|---|

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, ი. ტორონჯაძე (8), ჯიშკარიანი (2), ქარდავა (16), ნივნივაძე (6), ლალანიძე (3), ყაველაშვილი (6), მაისურაძე, ლ. გელაშვილი (1), ო. ქუთათელაძე (7)

მამული: ბერეკაშვილი, ლობჟანიძე, ავაზაშვილი (1), თეთრუაშვილი (2), გველესიანი (1), გილიგაშვილი (3), სეთურიძე (4), მ. ქუთათელაძე (5)

მსაჯები: თამარ არჩაია, ელენე არაბული

სტუ-თელავისა და "ქუთაისის" გუშინდელი მატჩი არნახულად კორექტული აღმოჩნდა. მთელი მატჩი ისე მიიწურა, რომ მსაჯებს არცერთი ბარათის ამოღება არ დასჭირვებიათ და არც მოედნიდან გაუძევებიათ ვინმე. ამას გარდა, დაინიშნა მხოლოდ ერთი პენალტი და ისიც მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე.

როგორც ჩანს, ორივე გუნდი ფიქრებით სადღეისო პრინციპულ მატჩებზე იყო გადართული და არცერთს არ გამოუდია ზედმეტად თავი. ამას გარდა, ზამთრის არდადეგების შემდეგ, ჯეელი ქუთაისელების თამაშში ზოგადად შეინიშნება იმის ტენდენცია, გამოკვეთილ ფავორიტებთან რალაცნაირად ნაკლებად დამუხტულები თამაშობენ. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი. ჩემპიონატის დასაწყისში, ახალგაზრდა, გამოუცდელი და ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტი იმერლები უფრო დიდ გულზე იყვნენ. თუმცალა, როდესაც რეალობას შუბლით შეეჯახნენ და ნათლად დაინახეს, თუ რამხელა სხვაობაა მათ გუნდსა და ლიდერებს შორის, ცაში აღარ დაფრინავენ. ისინი მთელ ძალებს მესამე ტურისთვის ინახავენ ხოლმე, როდესაც უშუალო კონკურენტ "მამულს" ეთამაშებიან. ასეთი მატჩი კი სწორედ დღეს აქვთ...

დაახლოებით იგივე სურათი ვიხილეთ "თბილისი" – "მამულის" მატჩშიც. "მამულს" ამჯერად აღარ დასჭირვებია მეკარის მოედნის მოთამაშედ გამოყენება, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ერთადერთი ხელბურთელი ეჯდა. რას იზამ, ძნელია სპორტსმენს დაავალდებულო თამაშზე მოსვლა, როდესაც გუნდში წლების განმავლობაში ვერ რიგდება ხელფასი, რის გამოც ხელბურთელები მხოლოდ მაშინ ვარჯიშობენ და თამაშობენ, როცა თავისუფალი დრო აქვთ...

**ამრიგად, ორტურიანი "მოთელვა" დამთავრდა და დღეს მეოთხე ტურის ორი დამაგვირგვინებელი, ცენტრალური თამაშია. 13 საათზე სტუ-"თელავი" და "თბილისი" გარკვევენ ურთიერთობებს, 14:30 საათზე კი "მამული" და "ქუთაისი" ითამაშებენ.**

კობა ხატისაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 11 | 10 | 0 | 1 | +217 | 20 |
| თბილისი | 11 | 9 | 0 | 2 | +215 | 18 |
| მამული | 11 | 2 | 0 | 9 | -209 | 4 |
| ქუთაისი | 11 | 1 | 0 | 10 | -243 | 2 |

| ბომბარდირები |
|---|
| ამირან ყიფიანი (სტუ-თელავი, 124) |
| ვანო ქარდავა (თბილისი, 97) |
| გიორგი ნივნივაძე (თბილისი, 87) |

ხელბურთი. ევრო 2010

# ჩვენი მეტოქეები: პოლონეთი, შვედეთი, რუმინეთი, ჩერნოგორია, თურქეთი

გუშინ, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა ევროპის ხელბურთელ ვაჟთა 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ბოლო, მეექვსე კალათაში განითესა და წინასწარვე ცნობილი იყო, რომ ექვსგუნდიან ჯგუფში მოვხვდებოდით.

სამწუხაროდ, წილისყრაში აშკარად არ გაგვიმართლა; რადგან შესაძლებელი იყო, გაცილებით სუსტი მეტოქეები გვრგებოდა.

პირველი კალათიდან მსოფლიო ჩემპიონატის მოქმედ ვერცხლის პრიზიორ **პოლონეთს** გადავეყარეთ, მეორე კალათიდან ამოგვივიდა **შვედეთი**, რომელიც ადრე ნებისმიერი შეჯიბრების ფავორიტი იყო, ბოლო წლებში ცოტა ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი გუნდია.

მესამე კალათიდან ნაცნობი მეტოქე **რუმინეთი** დაგვეჯახა. რუმინელებს შარშან ვეთამაშეთ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ორივე მატჩი წავაგეთ. მეოთხე კალათაში ყველაზე ძლიერი **ჩერნოგორია** იყო, რომელიც სერბეთს ახლახან გამოეყო და რაკილა სათანადო რეიტინგის დაგროვება ვერ მოასწრო, მეოთხე კალათაში ამიტომ მოხვდა. სერბული საკალათბურთოს სკოლა კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ერთადერთი მეტ-ნაკლებად სასურველი მეტოქე ჩვენზე ერთი კალათით ზემოთ მდგომი **თურქეთია**, რომლის დამარცხებაც ნამდვილად არ აღემატება ჩვენს ძალებს. თუმცა, ამ კალათიდანაც შეიძლებოდა უფრო სუსტი მეტოქის - მაგალითად ლუქსემბურგის ან კვიპროსის ამოსვლა.

საკვალიფიკაციო ეტაპს 29-30 ოქტომბერს ვიწყებთ და 2009 წლის 20-21 აგვისტოს ვამთავრებთ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჯგუფის 2 საუკეთესო გუნდი გადის.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA

# სამწვრთნელო ამბები



აიზია ტომასი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთბაშად სამი კლუბი დაიწყებს მომავალ სეზონს ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით.

დღეს, "მილუოკის" გენერალური მენეჯერი **ჯონ ჰემონდი** მთავარ მწვრთნელს, **ლარი კრისტკოვიაკს** შეხვდება. საუბრის თემა წლევანდელი სეზონის შეჯამება იქნება. წელს კი, "ბაქსმა" 25 მატჩი მოიგო და 56-ში მარცხი იწვნია, რაც კლუბის ანტი რეკორდია. როგორც ამერიკული პრესა წერს, ამ შეხვედრის შემდეგ, არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, კრისტკოვიაკს "მილუოკის" დატოვება მოუწევს.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის შემდეგ, "ჩიკაგო ბულზის" რიგები დატოვა მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ჯიმ ბოილანმა**. ამ სპეციალისტმა "ხარები" სეზონის მსვლელობისას ჩაიბარა, როცა პოსტიდან განთავისუფლებული **სკოტ სკაილზის** ადგილი დაიკავა, მაგრამ გუნდის პლეი ოფში გაყვანა ვერ მოახერხა. ამის გამო, "ჩიკაგოს" გენერალურმა მენეჯერმა **ჯონ პაქსონმა** ბოილანს კარისკენ მოუთითა.

უკვე სახელდება ბოილანის სავარაუდო შემცვლელი. სპეციალისტთა აზრით, "ბულზის" მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი "დეტროიტსა" და "ინდიანას" ყოფილი დამრიგებელი **რიკ კარლაილი** გახლავთ.

სულ მალე დასრულდება "ნიუ იორკ ნიქსში" **აიზია ტომასის** სამწვრთნელო მოღვაწეობა. ნიუიორკული კლუბის გენერალური მენეჯერი **დონი უოლში**, სავარაუდოდ დღეს, ოფიციალურად გამოაცხადებს ტომასის განთავისუფლებას და ლეგენდარულ კალათბურთელს კლუბში ნაკლებად საპასუხისმგებლო პოსტს ჩააბარებენ.

■ ■ ■

კიდევ ერთი კლუბი, რომელიც შეიძლება მწვრთნელის გარეშე დარჩეს, "გოლდენ სტეიტ უორიორზი" გახლავთ. 67 წლის **დონ ნელსონს** ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა NBA-ში სამწვრთნელო კარიერას. ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი საბოლოო გადაწყვეტილებას 1 ივლისს გამოაცხადებს.

მანამდე კი, ნელსონს თავის ყოფილ კლუბთან, "დალას მავერიქსთან" სასამართლო გარჩევა ელის. კლუბმა მწვრთნელს 2005 წელს, კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტისთვის კომპენსაციის გადახდა დაუგვიანა. ეს თანხა 6.5 მილიონ დოლარს უტოლდება.

ავტოსპორტი. ფორმულა 1. ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

# მოტოციკლიდან არ ჩამოვალ

ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, მიხაელ შუმახერი ბოლო დროს აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ეწევა. გერმანელი მოტორბოლით არის გატაცებული, ამ დღეებში კი, თავის უშუალო მოვალეობების შესრულებასაც შეუდგა და ბარსელონას ტრასაზე "ფერარის" ტესტებში იღებს მონაწილეობას. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როცა გერმანელი იტალიურ საჯინიბოს უერთდება და მშობლიურ გუნდს მანქანის გამოცდაში ეხმარება.

ბარსელონაში, 39 წლის შუმი სკუდერიას 2008 წლის მოდელის ტესტირებით იყო დაკავებული. გერმანელი მოხიბლული დარჩა ახალი მანქანით და განაცხადა, რომ მოახლოებული ესპანეთის გრან-პრის წინ, "ფერარი" რბოლის მთავარ ფავორიტად ითვლება.

ტესტების დასრულების შემდეგ, შუმახერმა ბლიც-ინტერვიუს მიცემაც არ დაიზარა.

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



მიხაელ შუმახერი

**- ტესტები კვლავ იქცა თქვენს ძირითად სამუშაოდ?**

- არა. ერთი-ორჯერ "ფერარის" საჭესთან ჯდომა ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩემს ცხოვრებაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს.

**- ჩემპიონატი ევროპაში ბრუნდება. როგორია თქვენი პროგნოზები?**

- ვფიქრობ, რომ "ფერარი" ძალიან ძლიერია. ეს აშკარად იგრძნობოდა ზამთრის ტესტების დროს. გარდა ამისა, გუნდმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა ბოლო ორი გრან-პრი. ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რომ "ფერარის" ხელმძღვანელობამ მომავალს დიდი იმედითა და ოპტიმიზმით არ უყუროს. მაგრამ ამავდროულად, მუდმივი წინსვლა, მანქანის სრულყოფა და ბრძოლაა საჭირო.

**- ყველამ ნახა ლაუზიცრინგზე თქვენი მოტოციკლიდან ჩამოვარდნა. უსიამოვნო მომენტი იყო?**

- რა თქმა უნდა, სჯობს არ წაიქცე, მაგრამ ეს პროცესის ნაწილია და ამაში საგანგაშოს ვერ ვხედავ. როცა მოტოციკლის საჭესთან ზიხარ, ყოველთვის შეიძლება ჩამოვარდე, ასე მანქანის ავარიისგანაც არ ხარ დაზღვეული. მთავარია, ბედნიერი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ.

**- ე. ი. მოტორბოლებში გამოსვლას გააგრძელებთ?**

- აუცილებლად გავაგრძელებ ამ საქმეს, რადგან მოტოციკლი ძალიან მიყვარს.

**- ამ უიქ ენდს ტრასაზე გაატარებთ თუ შინ დარჩებით?**

- ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

**- ყველა აღნიშნავს ბარსელონაში "რენოს" პროგრესს...**

- სიმართლე გითხრათ, ამისთვის თვალი არ მიდევნებია.

**- ალონსოს ტესტებზე საუკეთესო დროის ჩვენება შეეძლო...**

- ტესტების შედეგების მიხედვით სერიოზული დასკვნების გაკეთება ძნელია. აქ გუნდები სხვადასხვა ამოცანებს წყვეტენ, ხოლო მათი რეალური ძალა, უშუალოდ გრან-პრის დროს გამოჩნდება.

**- მიგჩნიათ თუ არა, რომ ფერნანდო ალონსო ყველა ასპექტით უკვე "ყოფილი ჩემპიონია"?**

- ყოველთვის თავს ვიკავებდი სხვა მრბოლელების მოქმედებაზე კომენტარის გაკეთებისგან. არც ახლა ვუღალატებ ამ პრინციპს.

**- რას ფიქრობთ "ფერარის" 2009 წლის მოდელის შესახებ?**

- მხოლოდ გადმოცემით ვიცი რალაცეები. უფრო ახლოდან უნდა ვნახო.

დრიმ თიმი

# კიდი პირველი ნომერი იქნება

ამერიკელი საკალათბურთო მიმომხილველების აზრით, პეკინის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრების მწვრთნელთა მთავარი თავსატეხი ძირითადი ფლეიმეიქერის შერჩევა უნდა ყოფილიყო. მაგრამ როგორც ჩანს, ამერიკელთა დამრიგებელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** ამ საკითხზე ბჭობას აქედანვე დაუსვა წერტილი.

კრჟიჟევსკიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ნაკრების პირველი ნომერი "დალასის" ვეტერანი მცველი **ჯეისონ კიდი** იქნება. არადა, "დრიმ თიმის" გაფართოებულ შემადგენლობაში კიდევ სამი ვარსკვლავური სტატუსის მქონე გამთამაშებელი ირიცხება: **ჩონსი ბილაპსი** ("დეტროიტი"), **კრის პოლი** ("ნიუ ორლეანი") და **დერონ უილიამსი** ("იუტა").

ფორმულა 1. რენო

# ბრიატორე ალონსოს არ გაუშვებს

ბოლო არ უჩანს "რენოს" ესპანელი პილოტის, **ფერნანდო ალონსოს** სხვა გუნდში გადასვლის შესახებ სპეკულაციებს. თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ ამ სეზონის შემდეგ, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი კიდევ ერთხელ შეიცვლის გუნდს. აპრილში, თავად ალონსომაც ნაწილობრივ დაადასტურა ეს ჭორი, როცა განაცხადა, რომ "რენოსთან" ორწლიანი კონტრაქტი აქვს, მაგრამ ზოგჯერ, ტრანსფერის განხორციელებისას ხელშეკრულება ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენსო.

მოკლედ, ალონსოს ტრანსფერში ყველა დარწმუნებულია გარდა ერთი ადამიანისა. და ეს პიროვნება ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტურია. ეს გახლავთ "რენოს" ბოსი **ფლავიო ბრიატორე**. იტალიელმა შვეიცარიული Blick-ის მეშვეობით უპასუხა ამ სპეკულაციებს: *"გამარჯვებული გუნდის სტატუსიც რომ ვერ დავიბრუნოთ, 2010 წლამდე ფერნანდო აქედან ვერსად წავა"*.

ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/8 ფინალი

**დასავლეთი**

**სან ხოსე (2)–კალგარი (7) 4:3**

0:0, 2:1, 2:2

**გოლები:** 0:1 იგინლა-3 (ჰუსელიუსი-2, ფანოფი-2), 1:1 პაველსკი-2 (ერჰოფი-1, რივე-2), 2:1 მარლო-2 (ჯ. ტორნტონი-5, ბ. კემპბელი-2), 3:1 ჩიჩუ-2 (პაველსკი-4, ქლოუ-4), 4:1 ჩიჩუ-3 (მარლო-4), 4:2 ლენგკოუ-2 (ტანგეი-3, ფანოფი-3), 4:3 მოსი-11 (იგინლა-5, კონროი-1).

სერია 3:2

**მინესოტა (3)–კოლორადო (6) 2:3**

1:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 ბრუნეტი-3 (ჰეიდუკი-1, ფორსბერგი-3), 1:1 ბუშარი-2 (ბერნსი-2, როლსტონი-4), 1:2 ვოლსკი-2 (ლაილსი-2, ლეოპოლდი-3), 1:3 შჩასტნი-1 (ჰეიდუკი-2, ფორსბერგი-4), 2:3 როლსტონი-2 (კ. იონსონი-1, შეპარდი-1).

სერია 2:3

**დალასი (5)–ანაჰაიმი (4) 3:1**

1:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ლუნდკვისტი-1 (ლ. ერიქსონი-2), 2:0 ბარნსი-1 (მოდანო-3, ნორსტრიომი-1), 3:0 ოტი-2 (ბარნსი-1), 3:1 შნაიდერი-1 (პერი-1, ჰასკინსი-1).

სერია 3:1

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი (1)–ბოსტონი (8) 1:5**

1:0, 0:1, 0:4

**გოლები:** 1:0 კოვალიოვი-2 (ბრისბუა-3, ჰამრლიკი-1), 1:1 კესელი-1 (კრეისი-1, ფერენსი-2), 1:2 მეტროპოლიტი-1 (ნოკელაინენი-2, შეფერი-2), 1:3 ხარა-1 (ვიდემანი-2, სავარი-3), 1:4 შტურმი-1 (კრეისი-2, ფერენსი-3), 1:5 სობოტკა-1 (ფერენსი-4).

სერია 3:2

**ფილადელ (6)–ვაშინგტ (3) 4:3 (2ო)**

2:2, 1:0, 0:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-2 (ნუბლი-3, აპშოლი-2), 1:1 ბექსტრიომი-1 (ოვეჩკინი-3, მ. გრინი-2), 1:2 სიომინი-1 (ბექსტრიომი-2, ოვეჩკინი-4), 2:2 ჯ. კარტერი-3 (მოდრი-1, ქობურნი-3), 2:3 ემინგერი-1 (სიომინი-3, ლეიჩი-1), 3:3 ბრიერი-5 (მ. რიჩარდსი-3), 4:3 ნუბლი-2 (ჯ. კარტერი-1, აპშოლი-3).

სერია 3:1

ჩოგბურთი. ფედერაციის თასი

# ლინდსიმ უილიამსებს მიბაძა



ლინდსი დავენპორტი

მოახლოვდა ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ნახევარფინალები. 26-27 აპრილს მოსკოვში რუსეთი ამერიკას უმასპინძლებს, ესპანეთი კი, ჩინეთს ესტუმრება.

99 პროცენტით შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ ამერიკა მოქმედ ჩემპიონს, რუსეთის ნაკრებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. როგორც ცნობილია, მოსკოვში გამგზავრებაზე უარი თქვეს დებმა, **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა**. მათ არყოფნაში ნაკრების ლიდერის როლი ლინდსი დავენპორტს უნდა ეტვირთა, მაგრამ რუსეთში არც ეს ვეტერანი მიდის. ამას დაემატა **ეშლი ჰარკლროუდის** უარიც.

აქედან გამომდინარე, ამერიკის ნაკრების შემადგენლობამ უცნაური სახე მიიღო: **ვანია კინგი, ლიზელ ჰუბერი, აშა როული** და **მედისონ ბრეგლე**. მართალია, რუსები **მარია შარაპოვას** გარეშე იქნებიან, მაგრამ ამ იუნიორებს **სვეტლანა კუზნეცოვა, ანა ჩაკვეტაძე, დინარა საფინა, ვერა ზვონარევა** და **ელენა ვესნინაც** ეყოფიან.

ცნობილი გახდა ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაც. ამერიკის მსგავსად, ამ გუნდმაც ვერ შეძლო ოპტიმალური ბირთვის შეკრება. კერძოდ, პირენეელთა რიგებში არ იქნებიან **ანაბელ მედინა-გარიგესი** და **ვირხინია რუანო-პასკუალი**. მათ გარეშე ფინალში გასვლას ეცდებიან: **ნურია ლაგოსტერა-ვივესი, კარლა სუარესი, მარია ხოსე მარტინეს სანჩესი** და **არანტა პარა-სანტონხა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩოგბურთი. ახალი ამბები

# ცონგა როლან გაროსს გამოტოვებს?



ამერიკისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩი გამოტოვა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა **ჟო-ვილფრედ ცონგამ**. მან ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა და ამავე მიზეზით, ის ვერც მონაკოს მასტერსზე ითამაშებს, რომელიც 21 აპრილს დაიწყება. ცონგას ექიმები იმასაც არ გამორიცხავენ, რომ ჩოგბურთელმა შესაძლოა თიხნარის სეზონი მთლიანად გააცდინოს.

*"ამ კვირის დასაწყისში ტრავმირებული მუხლის სკანირებამ აჩვენა, რომ აღდგენითი პროცესი იმაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ეს ექიმების მიერ იყო ნავარაუდევი, - ამბობს ცონგა. - დამჭირდება თუ არა ოპერაცია? ეს ათი დღის შემდეგ გახდება ცნობილი. თუ ტკივილმა არ გამიარა, ქირურგიულ ოპერაციას დავთანხმდები და თიხნარის სეზონს სრულად გამოვტოვებ. მაგრამ იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა და როლან გაროსზე თამაშის საშუალება მომეცემა".*

**გიორგი თვალია**

# სამპრასი vs ნალბანდიანი

გუშინ ვწერდით იმის შესახებ, რომ ლეგენდარული ამერიკელი **პიტ სამპრასი** დეკემბერში, ვეტერანთა ტურის დასკვნით ჩემპიონატში აპირებს გამოსვლას. ეს ტურნირი ლონდონში გაიმართება.

მაგრამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი არც მანამდე აპირებს უქმად ყოფნას და მის თაყვანისმცემლებს სულ მალე მიეცემათ თავიანთი კუმირის კორტზე ხილვის საშუალება.

სამპრასი ბუენოს აირესში ჩავა და იქ 20 მაისს, საჩვენებელ მატჩს გამართავს არგენტინული ჩოგბურთის პირველ ნომერთან, **დავიდ ნალბანდიანთან**. ეს მატჩი და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები ბავშვებში ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პროგრამის ფარგლებში გაიმართება.

**გიორგი თვალია**

## ჩოგბურთი. ტურნირები

### ATP

#### Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 370 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 6:2; **ირჟი ვანეკი (ჩეხ)**-მიხაელ ბერერი (გერ, 8) 6:3, 3:6, 7:5; **დენის გრემელმაირი (გერ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:6 (6), 6:1; **ფედერიკო ჟილი (პორ)**-ჟოაო სოუზა (პორ) 7:6 (5), 0:1 შეწყდა.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ფედერერი (1)-სოუზა/ჟილი; გრემელმაირი-ვანეკი; ჩიპოლა-სერა; დავიდენკო (2)-ჟიკელი (7).

#### Comunidad Valenciana

ვალენსია (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 370 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 1)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:3, 6:4; **ხუან მონაკო (არგ, 2)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 5)**-ედუარდო შვანკი (არგ) 6:3, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 7)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:4, 6:2; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-მარატ საფინი (რუს) 2:6, 7:6 (9), 6:4; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ) 6:7 (8), 7:6 (2), 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ფერერი (1)-ვერდასკო (7); რობრედო (3)-სტარაჩე (8); კოროლიოვი-ჰაასე; მონაკო (2)-ალმაგრო (5).

#### US Men's Clay Court

ჰიუსტონი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 436 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 1)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:3, 6:2; **აგუსტინ კალერი (არგ, 5)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:2, 6:1; **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-დუდი სელა (ისრ, 6) 6:3, 7:5; **მარსელ პუიოლ-გრანოლერსი (ესპ, 7)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:3, 6:2; **სერხიო როიტმანი (არგ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 7:6 (3); **მარკოს დანიელი (ბრა)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 7:6 (3), 7:5.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ბლეიკი (1)-კალერი (5); ფიში (3)-ერნანდესი (8); გრანოლერს პუიოლი (7)-დანიელი; ოდესნიკი-როიტმანი.

### WTA

#### Family Circle Cup

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:0, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 7:5, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 13) 6:4, 7:5; **სერენა უილიამსი (აშშ, 5)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 12) 4:6, 6:4, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს, 9)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 6) 6:4, 4:6, 6:1; **შნიდერი (შვეიც, 7)**-აგნეშკა რადვანსკა (პოლ, 11) 6:3, 6:2; **აგნეს შავაი (უნგ, 10)**-დინარა საფინა (რუს, 8) 6:2, 7:5; **ალიზ კორნე (საფ)**-სორანა კრისტეა (რუმ) 6:1, 7:5.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

იანკოვიჩი (1)-ზვონარევა (9); დემენტიევა (4)-შნიდერი (7); შავაი (10)-კორნე; შარაპოვა (2)-ს. უილიამსი (5).

#### Estoril Open

ეშტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**მარია კირილენკო (რუს, 2)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:3, 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა, 5)**-სანდრა მამიჩი (ხორ) 6:2, 6:2; **ოლგა სავჩუკი (უკრ)**-სოფია არვიდსონი (შვედ, 7) 6:2, 6:2; **მარეტ ანი (ესტ)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:0, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ბენეშოვა-პინი (8); ანი-სავჩუკი; კნაპი (3)-ზაკოპალოვა (6); კირილენკო (2)-გარბინი (5).

## TV სპორტი

### 19 აპრილი. შაბათი

#### I არხი

22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი (LIVE).

#### მზე

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ლოკომოტივი-ბორჯომი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:10 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-რედინგი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ლივერპული (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-ბოლტონი.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ალმერია (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
07:31 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სანტოსი-კუკუტა.
09:18 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:33 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:03 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
12:08 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
13:37 სპორტის სამყარო.
13:06 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. V მატჩი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი.
15:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. B დივიზიონი. უნგრეთი-უკრაინა. საპორო. იაპონია (LIVE).
17:31 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ლივერპული (LIVE).
20:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო (LIVE).
00:28 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
00:58 ფეხბურთი. სპორტის სამყარო.
01:10 ფეხბურთი. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. გუარატინგეტა-პონტე პრეტა (LIVE).
03:08 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. B დივიზიონი. იაპონია-უკრაინა. საპორო. იაპონია.
05:01 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.

#### EUROSPORT

10:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 77 კგ. იტალია.
12:00 სნუკერი.
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 77 კგ. იტალია.
16:45 მოტორბოლა. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
17:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 85 კგ. იტალია (LIVE).
19:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 94 კგ. იტალია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ჩარლსტონი. აშშ.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:45 ახალი ამბები. ოლიმპიური გამოშვება.
14:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:30 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. საბერძნეთის თასი. პანათინაიკოსი-პანიონიოსი.
16:30 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-ედმონტონი.
19:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
21:55 სერფინგი. ნორვეგია.
22:00 მოტორბოლა. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
00:30 ბილიარდი. მსოფლიო სერია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ბილიარდი. მსოფლიო სერია.
01:45 ახალი ამბები.

### 20 აპრილი. კვირა

#### მზე

16:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-ამერი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა.

#### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:20 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
14:55 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბირმინგემი (LIVE).
16:55 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ვოლფსბურგი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-პორტსმუთი (LIVE).
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-ბორდო.
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი (LIVE).
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 არგენტინის ჩემპიონატი. რომარიო-რივერ პლეიტი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:05 სპორტდოსიე. გოლფი.
07:31 ფეხბურთი. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. გუარატინგეტა-პონტე პრეტა.
09:15 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. B დივიზიონი. უნგრეთი-უკრაინა. საპორო. იაპონია.
11:07 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის შესარჩევი. ქალები. აზერბაიჯანი-უკრაინა. ბაქო. აზერბაიჯანი.
12:39 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
14:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბლექბერნი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-იუვენტუსი (LIVE).
18:57 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-რეალი (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ბენფიკა.
01:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
02:27 სპორტდოსიე. გოლფი.
02:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-პალერმო.
04:42 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ბლექბერნი.
06:29 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

#### EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 მოტორბოლა. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
14:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. იტალია (LIVE).
16:30 მოტორბოლა. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
17:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. Amstel Gold. ჰოლანდია (LIVE).
19:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. იტალია (LIVE).
21:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ჩარლსტონი. აშშ.
02:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. იტალია.
03:00 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 საფეხბურთო ფრისტაილი. საფრანგეთი.
13:00 ბილიარდი. მსოფლიო სერია.
13:30 ახალი ამბები.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. ლადა (რუსეთი)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია) (LIVE).
15:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა (LIVE).
16:15 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა . ესპანეთი.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. ზვეზდა (რუსეთი)-დიორი (უნგრეთი) (LIVE).
18:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა (LIVE).
19:15 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ესპანეთი.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. ლადა (რუსეთი)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
20:45 ახალი ამბები.
20:55 სერფინგი. ნორვეგია.
21:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. სან ხოსე-პორტლენდი.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. ზვეზდა (რუსეთი)-დიორი (უნგრეთი).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. ლადა (რუსეთი)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-სტივენეიჯი | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლიუბეკი-დორტმუნდი A | 0:4 |
| მაგდებურგი-ემდენი | 1:3 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| შტუტგარტი A-მიუნხენი A | 1:2 |
| ბაიერნი A-ზიგენი | 3:1 |
| ოგერშაიმი-ელვერსბერგი | 0:4 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-გენიონი | 2:0 |
| ამიენი-კლერმონი | 0:0 |
| ბულონი-დიჟონი | 0:1 |
| შატორუ-ჰავრი | 0:0 |
| გინგამი-ლიბურნი | 1:1 |
| ნიორი-ტრუა | 0:0 |
| რეიმსი-ბრესტი | 0:0 |
| მონპელიე-გრენობლი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ომნივორლდი | 5:1 |
| დენ ჰააგი-ვოლენდამი | 0:1 |
| ემენი-ვეენდამი | 3:2 |
| დორდრეხტი-დენ ბოში | 1:0 |
| იგლზი-ჰაარლემი | 3:3 |
| ჰელმონდი-ცვოლე | 0:2 |
| მაასტრიხტი-კამბური | 2:2 |
| ვაალვიკი-ფორტუნა | 2:1 |
| ტელსტარი-როსენდალი | 2:1 |
| ტოპ ოსი-ეინდჰოვენი II | 3:1 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე-ლოკერენი | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა-გიმარაეში | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია II-ზალცბურგი II | 1:3 |
| ლუშტენაუ-კაპფენბერგი | 3:2 |
| კერნტენი-გრატკორნი | 1:1 |
| პარნდორფი-ბად ოსი | 3:0 |
| შვანენშტადტი-შვადორფი | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-დერი | 1:0 |
| კორკი-ფინ ჰარპსი | 3:0 |
| სტ. პატსი-კობ რამბლერსი | 1:0 |
| შემროკი-უნივერსიტი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ტრელებორგი | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| შინიკი-ხიმკი | 3:2 |
| **უკრაინა** | |
| არსენალი-დნეპრი | 2:1 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-პოლონია | 2:4 |
| **უნგრეთი** | |
| მტკ-კაპოშვარი | 3:2 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია (ბის)-ჩახლაული | 0:1 |
| პ. ტიმიშოარა-უნივერსიტ (კრ) | 1:3 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ვიში | 90:67 |
| ჰავრი-პსჟ | 98:88 |
| ტულონი-სტრასბური | 95:84 |
| პო ორტეზი-შოლე | 91:95 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კიოლნი | 4:3 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ჰ371 | 2:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ვალენსია** | |
| რობრედო-სტარაჩე | 6:3, 6:0 |
| ალმაგრო-მონაკო | 6:3, 6:2 |
| ფერერი-ვერდასკო | 6:3, 1:6, 7:5 |
| ჰაასე-კოროლიოვი | 5:7, 4:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| როიტმანი-ოდესნიკი | 6:2, 6:7, 1:6 |
| **ATP. ეშტორილი** | |
| ჟილი-სოუზა | 7:6, 6:2 |
| ვანეკი-გრემელმაირი | 2:6, 6:3, 2:6 |
| სერა-ჩიპოლა | 6:1, 6:1 |
| დავიდენკო-ჟიკელი | 6:4, 5:7, 6:3 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| შარაპოვა-ს. უილიამსი | 5:7, 6:4, 1:6 |
| **WTA. ეშტორილი** | |
| ბენეშოვა-პინი | 3:6, 6:2, 6:3 |
| კირილენკო-გარბინი | 6:0, 6:1 |
| სავჩუკი-ანი | 6:7, 6:4, 4:6 |
| კნაპი-ზაკოპალოვა | 6:3, 4:6, 4:6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბომონდი

# ბექჰემი უკანალს მიაშტერდა



დევიდი ცუღლუტობს

ლოს ანჯელესში გადაბარგების შემდეგ, **დევიდ ბექჰემი** იქაურ "გალაქსიში" თამაშის გარდა, ბევრი სხვა გართობისთვისაც პოულობს დროს. მაგალითად, ხშირად დადის მასსავით ვარსკვლავური სტატუსის მქონე კალათბურთელების თამაშებზე. ვარსკვლავები "ლეიკერსში" მართლაც მრავლად არიან.

ინგლისელი ფეხბურთელი NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, ლოს ანჯელესის "სტეპლს ცენტრში" შეამჩნიეს. ბექზი "ლეიკერსის" თამაშის სანახავად თავისი მეუღლის, **ვიქტორიას** გარეშე მივიდა. იმ დღეს, Spice Girls-ის სოლისტი 34 წლის შესრულდა და ეს მოვლენა შოპინგითა და საკუთარი თავისთვის საჩუქრების მიძღვნით აღნიშნა.

სანამ "პოში" ოჯახურ ბიუჯეტს ანიავებდა, ბექჰემი დიდი სიამოვნებით ადევნებდა თვალს **კობი ბრაიანტისა** და მისი თანაგუნდელების თამაშს. პაუზების დროს კი, თვალს აპარებდა დამხმარე ჯგუფის გოგონების მიმართულებით.

ამ ჯგუფის ერთმა წევრმა დევიდი განსაკუთრებით მოხიბლა. *"შესანიშნავი გოგო იყო. დევიდის წინ დახტოდა და "ლეიკერსს" ამხნევებდა. არანორმალურად სექსუალური უკანალი ჰქონდა, რომელსაც ბექზი თვალს ვერ აშორებდა. მაგრამ ზედმეტად ნუ გაკიცხავთ ბექჰემს - ეს ხომ ბუნებრივი რეაქცია იყო?! ყველა ასე მოიქცეოდა"*, - განუცხადა ბრიტანულ "სანს" ფეხბურთელის ერთ-ერთმა მხლებელმა.

გია თვალაბეიშვილი

კალათბურთი. NBA. პლეი ოფის წინ

# ვინ ვის?

## აღმოსავლეთი

### ბოსტონი (1)-ატლანტა (8)

***რეგულარულის სერია:*** *3:0*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *პოლ პირსი VS ჯოშ სმიტი*

"ჰოქსისთვის" პლეი ოფში მოხვედრა ძალიან ბევრს ნიშნავს - გუნდი აღარ შეელევა მთავარ მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს, ზაზა ფაჩულიას** მთელი საქართველო უგულშემატკივრებს, ხოლო **მაიკ ბიბის** ტრანსფერს კი შეიძლება, წარმატებული ეწოდოს. უბრალოდ, ამ სერიის შემდეგ, "ატლანტასთვის" სეზონი დასრულდება, რადგან გუნდი ხვდება მეტოქეს, რომელმაც რეგულარულში ჯორჯიელები სამივეჯერ მოინელა და ახლაც წაუგებლად შევა მეორე წრეში. მოტივირებული **კევინ გარნეტი**, გაბრაზებული **პოლ პირსი**, კარგ ფორმაში მყოფნი **სემ კასელი** და **რეი ალენი** - ჩემპიონობის ფორმულა თქვენს წინაშეა.

**პროგნოზი: 4:0**

### დეტროიტი (2)-ფილადელფია (7)

***რეგულარულის სერია:*** *2:2*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *რიჩარდ ჰამილტონი VS ანდრე იგუოდალა*

"დეტროიტი" ერთადერთია, რომელიც ამ ეტაპზე "სელტიქსის" რეალურ კონკურენტად მიიჩნევა (აქ აღმოსავლეთი იგულისხმება, თორემ დასავლეთიდან "ბოსტონის" მომგები ბარე 3-4 გუნდი გვეგულება). **ფლიპ სონდერსს** ბოლო შანსი ეძლევა, იმისთვის, რომ ამ გამოცდილი და დღესაც საკმაოდ სახიფათო შემადგენლობით ჩემპიონობა მოიპოვოს. **ლარი ბრაუნმა** ეს გუნდი ზედიზედ ორჯერ სუპერფინალში გაიყვანა, სონდერსმა კი ამის გაკეთება ვერ მოახერხა. "პისტონზისთვის" "სიქსერზი" უხერხული მეტოქეა, მაგრამ "ფილადელფია" ძალიან გამოუცდელია და ამ სერიას დიდხანს გაგრძელების პერსპექტივა ნამდვილად არ აქვს.

**პროგნოზი: 4:1**

### ორლანდო (3)-ტორონტო (6)

***რეგულარულის სერია:*** *2:1*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *დუაიტ ჰოვარდი VS კრის ბოში*

ახალგაზრდა და უხვქულიანი "მეჯიქი" სეზონის სტარტზე გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ბოლოსკენ კი გუნდმაც უკლო თამაშს და მისმა ლიდერმა **დუაიტ ჰოვარდმაც**. და მაინც, "მეჯიქმა" 1996 წლის შემდეგ, პირველად მოიგო 50-ზე მეტი მატჩი, თუმცა პლეი ოფი არაა რეგულარული და ამჯერად უპირატესობა უფრო გამოცდილი და უკეთ დაბალანსებული "რეპტორზის" მხარეს იქნება. **რაშო ნესტეროვიჩი** ბოლო ორი თვის განმავლობაში საშუალოდ 15 ქულასა და 7 მოხსნას აგროვებდა, რაც ჰოვარდსა და მთლიანად მის გუნდს, დიდ პრობლემებს შეუქმნის.

**პროგნოზი: 2:4**

### კლივლენდი (4)-ვაშინგტონი (5)

***რეგულარულის სერია:*** *2:2*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *ლებრონ ჯეიმსი VS კეირონ ბატლერი*

"კლივლენდმა" სეზონი ჩააგდო, გუნდის ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** კი კარიერაში საუკეთესოდ ითამაშა. აი, ასეთი ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებით ხვდება **მაიკ ბრაუნის** გუნდი პირველ წრეს, სადაც მადაზე მოსული და **გილბერტ არენასით** გაძლიერებული "უიზარდსი" ელის. აღმოსავლეთის მოქმედ ჩემპიონებს "ძველი" **ბენ უოლასის** ხილვის იმედი აქვთ, რადგან ის, რაც უოლასი რეგულარულში იყო, მაქსიმუმ, "ვაშინგტონის" ბარიერის გადასალახად იყოს საკმარისი. "კლივლენდს" უპიარტესობა ფარზე ბრძოლისას ექნება - უოლასი, **ჯო სმიტი, ჟიდრუნას ილგაუსკასი** და **ანდერსონ ვარეჟაო** ბევრს ააცილებენ, მაგრამ ორჯერ მეტს მოხსნიან და შემდეგ წრეშიც "კავალიერსი" გავა. **პროგნოზი: 4:3.**

## დასავლეთი

### ლეიკერსი (1)-დენვერი (8)

***რეგულარულის სერია:*** *3:0*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *პაუ გასოლი VS მარკუს კემბი*

2002 წლის რეგულარულის შემდეგ, "ლეიკერსს" ასეთი წარმატებული სეზონი არ ჰქონია. კალიფორნიელები, რომლებმაც საპლეიოფო სერია ბოლოს 2004-ში მოიგეს, გადამწყვეტ ფაზას ტრავმირებული **ენდრიუ ბინუმის** გარეშე კი ხვდებიან, მაგრამ ეს ნორჩი ტიტანიც შეიძლება ვიხილოთ მოედანზე, რაც **ფილ ჯექსონის** გუნდს კიდევ უფრო სახიფათოს გახდის. ვინ შეაჩერებს **კობი ბრაიანტისა** და **პაუ გასოლის** ტანდემს? სავარაუდოდ, ამ ორს შესაბამისად, **კარმელო ენტონი** და **მარკუს კემბი** დაუდგებიან, ხოლო **ალენ აივერსონისა** და ენტონის წყვილზე, **ფილ ჯექსონი** ერთბაშად რამდენიმე დაცვით სპეციალისტს დაგეშავს.

**პროგნოზი: 4:2**

### ნიუ ორლეანი (8)-დალასი (7)

***რეგულარულის სერია:*** *2:2*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *დევიდ უესტი VS დირკ ნოვიცკი*

"ნიუ ორლეანმა" თავის არცთუ მდიდარ ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა, "კრაზანების" ახალგაზრდა ვარსკვლავი **კრის პოლი** საუკეთესო მოთამაშის პრიზის მოგების მთავარი ფავორიტია, ხოლო **ტაისონ ჩენდლერი** კი პლეი ოფში დამცველთა შორის გამორჩეული უნდა იყოს. და მაინც, უპირატესობა უფრო გამოცდილი, ასეთ დონეზე გამობრძმედილი "მავერიქსის" მხარესაა. **ჯეისონ კიდი, დირკ ნოვიცკი, ჯეისონ ტერი, ერიკ დემპიე** და **ჯერი სტექჰაუზი** გამოცდილების მხრივ ფორას ნებისმიერს მისცემენ და სერიაში გადამწყვეტიც სწორედ ეს უნდა იყოს.

**პროგნოზი: 2:4**

### სან ანტონიო (3)-ფინიქსი (6)

***რეგულარულის სერია:*** *1:3*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *ბრიუს ბოუენი VS სტივ ნეში*

გუნდები, რომლებსაც რეგულარულში ოდნავ სტაბილურად რომ ეთამაშათ, პირველივე წრეში ამ დაპირისპირებას თავიდან აიცილებდნენ, მაგრამ რაკილა ბებერმა ჩემპიონებმა და არანაკლებ ასაკოვანმა არიზონელებმა ბლომად მოგებები ჩამოარიგეს, პირველივე წრეში შარშანდელის რიმეიქი გველის. **ტიმ დანკანის** შესაჩერებლად "სანზმა" **შაკილ ონილი** დაიმატა და ბოლო ორ მატჩში, შაკმა ტიმი თამაშიდან მხოლოდ 40-პროცენტიან მაჩვენებელს დააჯერა. "სპურსი" საკუთარი მოედნის უპირატესობას ფლობს, რასაც **მანუ ჯინობილის** ფაქტორთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს.

**პროგნოზი: 4:3**

### იუტა (4)-ჰიუსტონი (5)

***რეგულარულის სერია:*** *2:1*

***სერიის მთავარი დაპირისპირება:*** *ანდრეი კირილენკო VS ტრეისი მაკგრეიდი*

"იუტა" მეოთხე ნომრად კი არის განთესილი, მაგრამ მოედნის უპირატესობას რეგულარულში "ჯაზზე" ერთი მატჩით მეტის მომგები "როკეტსი" ფლობს, რომელსაც არ ეყოლება ფეხმოტეხილი **იაო მინი** და პირველ ორ შეხვედრაში ტრავმირებული გამთამაშებელი **რაფერ ალსტონიც** დააკლდება. გაითვალისწინეთ ისიც, რომ **ტრეისი მაკგრეიდის** კარიერაში ერთხელაც არ გადაულახავს პლეი ოფის პირველი წრე. "იუტას" მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა** კი კარგად იცის, როგორ უნდა გადალახოს პირველი წრე ასეთი ოპონენტების წინააღმდეგ. მოკლედ, "ჯაზი" ულაპარაკო ფავორიტია.

**პროგნოზი: 4:1**

ზურაბ თალაკვაძე




# მორბენალი ანა



ანა კარგ ფორმაშია

დროს უქმად არ კარგავს ქალთა ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავი **ანა კურნიკოვა**, რომელმაც აქტიური სპორტული კარიერა ხუთი წლის წინ დაასრულა, თუმცა დღესაც შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. ამის თვითმხილველები ისინი გახდნენ, ვინც ტრიატლონში, Nautica South Beach-ის ტრადიციულ ტურნირს დაესწრნენ.

მოგეხსენებათ, ტრიატლონში სპორტსმენები სპორტის სამ სახეობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს - ცურვაში, ველოსპორტსა და სირბილში. კურნიკოვა მოცურავე **დარა ტომასთან** და ველომრბოლ **კატია მაიერსთან** ერთად, "ტოიოტას ოცნების გუნდში" გამოდიოდა. რუს ჩოგბურთელს ესტაფეტის ბოლო ნაწილი - სირბილი ერგო. ანას 6.5 კილომეტრის გარბენა მოუწია, გუნდი არ დაალალატა და ფინიშზე პირველი მივიდა.

თავისი გამოსვლის კომენტირებისას, კურნიკოვამ აღნიშნა, რომ პირველი ორი კილომეტრი ძალიან გაუჭირდა, რადგან ერთი კვირის წინ მოირჩინა გრიპი. *"დაწყება რთული აღმოჩნდა, მაგრამ შემდეგ მობილიზება შევძელი. ჩემი პარტნიორების წყალობით მოვახერხეთ გამარჯვება. ისინი ბრწყინვალე სპორტსმენები არიან"*, - განაცხადა კურნიკოვამ.

გია თვალაბეიშვილი